# სწორედ ახალგაზრდობა, ნიჭიერი, განათლებული და პატრიოტი ახალგაზრდობაა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების, მისი განუხრელი წინსვლა-განვითარების საუკეთესო გარანტი

სიმართლე კი ასეთია

## საქართველოს რკინიგზა „ეი-ი-ესთან“ პირნათელია

## ვის დასჭირდა მცდარი ინფორმაციის გავრცელება?

დებატები საქართველოდან „ეი-ი-ესის“ წასვლის თაობაზე არა და არ ცხრება. რას იზამ, ჭეშმარიტების დადგენის სურვილი ერთობ დიდია. ზოგიერთი ისე გაიტაცა ვარაუდების ძიებამ, რომ დაუმოწმებელ (თანაც ცრუ) ინფორმაციას გაუთავებლად იმეორებს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, „ეი-ი-ესი“, თურმე იმიტომ დაგვემშვიდობა, რომ მსხვილი გადამხდელები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არ ანაზღაურებენ. მათ შორის ასახელებენ საქართველოს რკინიგზას.

**— რამდენად მართებულია ეს ბრალდება? — ამ კითხვით მივმართე საქართველოს რკინიგზის გენერალურ დირექტორს აკაკი ჩხაიძეს.**

— ეს ბრალდებები ყოვლად უსაფუძვლო, ყურით მოთრეულია. არ ვიცი, პირველად ვინ გამოგვივლო პირში, მაგრამ ეს თემა მას შემდეგ კიდევ მრავალგზის წამოატივტივეს.

სამწუხაროა, რომ ბრალდებებს გვიყენებენ არა მარტო რიგითი ჩინოვნიკები, ვისაც ამ საკითხთან რაიმე შეხება აქვს, არამედ ხელისუფლების ელიტის წარმომადგენლებიც. სხვათა შორის, შარშან, ამერიკაში ყოფნისას, იგივე ბრალდება წამომიყენეს. თქვენ „შევრონის“ ნავთობი გადაგაქვთ, საფასურს იღებთ, „ეი-ი-ესს“ კი არ უხდითო. ვუპასუხე, რომ ეს სიმართლე არ იყო. საიდან და ვისგან მიიღეს ეს ცნობა შორეულ ამერიკაში, ვერ დამისახელეს.

იხ. მე-2 გვ.

პოზიცია

## კონტროლის პალატა არაპოლიტიზებული უწყებაა,

### ამიტომაც ნურვინ ეცდება, რომ მას თავს მოახვიოს თავისი პოლიტიკური მიზნები

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებამ მკვეთრად გაზარდა არაჯანსაღი ინტერესი საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის მიმართ.

გაძლიერდა პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების ინტერესი ამა თუ იმ ქალაქისა და რაიონის ბიუჯეტების სარევიზიო მასალების მიმართ, რომლებსაც სუბიექტურად, ცალმხრივად წარმოაჩენენ და პოლიტიკური ანგარიშსწორებების პროცესში კონტროლის პალატის ჩათრევას ცდილობენ. ამასთან, სურთ, თავს მოგვახვიონ საკუთარი ნება და გვიკარნახონ, ვინ, როდის და როგორ შევამოწმოთ.

კონტროლის პალატა თხოვნით მიმართავს დაინტერესებულ მხარეებს, თავი შეიკავონ ნებისმიერი ზემოქმედებისგან იმ უწყებაზე, რომლის დამოუკიდებლობა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებითაა აღიარებული.

ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, თავისი არსითა და დანიშნულებით, მკვეთრად ემიჯნება პოლიტიკურ თამაშებს, ყოველგვარ ვითარებაში მხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოვალეობების ფარგლებში მოქმედებს და მუშაობს პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელშიც საბიუჯეტო უწყებებისა და ტერიტორიული ერთეულების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის პერიოდულობაცაა გათვალისწინებული.

**საქართველოს კონტროლის პალატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიურო.**

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ჟიულ ვერნი

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.


სს „საქართველოს რკინიგზა“ The Georgian Railway Ltd

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №214 (4593) ოთხშაბათი, 13 აგვისტო, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.


საწარმო

## „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში“ წარმოების ტექნიკური განახლებისა და სარეაბილიტაციო პროგრამა განხორციელდება

სასამართლოს განჩინებით სააქციო საზოგადოება „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ უმძიმესი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გამო რეაბილიტაციის მმართველის მიერ გასხვისებულ იქნა კომბინატის რეორგანიზებული ქონების ნაწილი საწარმოს ტექნიკური განახლებისა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის პირობით.

ამ პირობათა შესრულება იკისრა იტალიის კომპანია „არეს ინტერნაციონალმა“, გაითვალისწინა ხუთი წლის განმავლობაში წარმოების ტექნიკური განახლებისათვის 132 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტირება და 108 მილიონი ამერიკული დოლარის კრედიტორული დავალიანების 15 წლის განმავლობაში დაფარვა ინვესტორის მიერ დაფუძნებული საწარმოს მოგების ნაწილის სააქციო საზოგადოება „რუსთავის მეტალურგიული კომბინატისათვის“ გადარიცხვით.

სააქციო საზოგადოება „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ რეაბილიტაციისა და ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების 2003-2017 წლების პროგრამის განხორციელებაში ინვესტორის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება.

იხ. მე-2 გვ.

გუშინ

## „თაობა, რომელიც ენდობა დღევანდელ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას, ენდობა საქართველოს დემოკრატიული განვითარების პერსპექტივასაც“

როგორ წარმოუდგენიათ ქვეყნის განვითარება და ამ პროცესში თავიანთი როლი და ადგილი, რა მიაჩნიათ თავიანთ უმთავრეს ამოცანად, რა პრინციპები განაპირობებს მათს პოლიტიკურ არჩევანს, რა არის მისაღები და რა — დაუშვებელი მაშინ, როდესაც ქვეყანა ბეწვის ხიდზე გადის და ასე შემდეგ — ასეთი მრავალფეროვანი იყო იმ საკითხთა სპექტრი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ შეხვედრაზე შეეხნენ ბაკურიანში, ახალგაზრდულ ცენტრ „მზიურ ველში“ ორიოდე დღის წინათ დასრულებული ტრადიციული შეხვედრის მონაწილე სტუდენტები. 12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, ამ ახალგაზრდებმა ბაკურიანში მიღებული შთაბეჭდილებები, ზოგადად თავიანთი გეგმები, პრინციპები, მიზნები და ამოცანები უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს გაუზიარეს.

იხ. მე-2 გვ.

კანონმდებლები

## რას ერჩიან ცესკოს ძველ წევრებს?

როგორც ცნობილია, პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ახალ ცესკოში ძველი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების ყოფნას არ გამორიცხავს. შეგახსენებთ, პარლამენტმა ამას წინათ პლენარულ სხდომაზე საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა შერჩევისას გათვალისწინებულ შეზღუდვებს უარი სტკიცა. შესაბამისად, ჩავარდა ვახტანგ ხმალაძის ინიციატივა საარჩევნო კოდექსის მე-18 მუხლის იმ ნაწილში, რომელიც ძველი კომისიის წევრების ხელახლა დანიშვნას კრძალავდა.

ცესკოს ძველი შემადგენლობის შენარჩუნებას სახელისუფლებო ფრაქციებმა, „აღორძინებამ“ და „XXI საუკუნემ“ ხმათა უმრავლესობით მიაღწიეს. ოპოზიციამ ეს ხელისუფლების მხრიდან დემოკრატიის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. ამის შესახებ უკმაყოფილება საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელმა როი რივსმაც გამოხატა. მან განაცხადა, რომ ძველი საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას მომავალ არჩევნებზე მუშაობის გაგრძელების უფლება არ უნდა ჰქონდესო, რამაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამჟამინდელი თავმჯდომარე გია ზესაშვილი გაანაწყენა.

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდენ!

## აკვანთ სიმრავლე არ მოგვკლებოდეს

ოჯახის შექმნის, ურთიერთთანადგომის ძალისა და შთაგონების წყარო დიდი სიყვარული გახდა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ჩვენი ოჯახი. გვიჭირს, მაგრამ მე და ცირა უფლის ნებას მივყვებით და უკვე მესამე შვილის მშობლები გავხდით. უფროსი თამარი 10 წლისაა, მისი მომდევნო უშანგი — რვისა, ახლა პაატა შეგვეძინა.

ექიმის რჩევით პატარას აკვანში არ ვზრდით, „პამპერსები“ ძვირი კია, მაგრამ ჩვილის მოვლას გვიადვილებს. ცირა ხშირად იხსენებს ხოლმე სამეგრელოში ბავშვობაში გაგონილ თავისი ბებიის სიტყვებს, თურმე ოჯახში პატარის შემომატებისას რომ ამბობდა: აკვანთ სიმრავლე არ მოგვეკლებოდესო. ჩვენც ასე ვფიქრობთ.

**როსტომ გარუჩავა,**
**რუსთავი.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ოჯახი

## ამ სვლას ჩვენ ვერც შევაჩერებთ და ვერც დავაჩქარებთ

**ინტერვიუ პაატა შევარდნაძესთან იბეჭდება ჟურნალ „მუდმივი კავშირის სამყაროს“ რედაქციის თავაზიანი ნებართვით.**

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

ვანდლამდე აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია თავად აფინანსებდა თავის წილს პროექტში.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა 2004 წლის დამლევისათვის დასრულდება და მისი გამტარუნარიანობა იქნება 50 მილიონი ტონა ნავთობი წელიწადში.

### გაიმართება ქართულ-აფხაზური შეხვედრა

აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესამუშავებლად 15 სექტემბერს თბილისში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის მონაწილეობით რიგით მეორე ქართულ-აფხაზური შეხვედრა გაიმართება.

### დავით მირცხულავა გადადგა

გუშინ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ. ვარაუდობენ, რომ მინისტრის პოსტზე დასანიშნავად წარადგენენ სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მამუკა ნიკოლაიშვილის კანდიდატურას. ექსმინისტრს კი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ხელმძღვანელად დანიშნავენ.

### დამსვენებლებს სიურპრიზს უმზადებს

კომპანია „არტ-იმედი“ შავი ზღვის სანაპიროს დამსვენებლებს სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებს. 15-დან 25 აგვისტოს ჩათვლით, ქობულეთში საესტრადო სიმღერის ფესტივალი „არტ-იმედი, მზე და ლურჯი ზღვა“ გაიმართება.

ქობულეთის კლუბებსა და ზღვის სანაპიროზე „არტ-იმედის“ მსახიობები — ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“, მამუკა ონაშვილი, კახა ცისკარიძე და დათო გომართელი ზაფხულის სასიამოვნო განწყობას მეტ მხიარულებასა და ენერგიას შემატებენ.

### კახეთის გაზმომარაგება აღდგენილია

კახეთის გაზმომარაგებაში არსებული ორდღიანი შეფერხება აღმოფხვრილია. გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ კახეთის სამი რაიონისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება ჩვეულებრივ რეჟიმში განაახლა.

როგორც გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი კიზირიამ განმარტა, „ფასანაურთან ახლოს, თიანეთის მიმართულებით გამავალი მაგისტრალური მილსადენიდან ბუნებრივი აირი დიდი ხნის განმავლობაში ჟონავდა და მილსადენის შეკეთება იყო საჭირო“. დაზიანებული მილსადენი კომპანიამ საკუთარი სახსრებით აღადგინა.

### კულტურული ცენტრები თბილისსა და სანქტ-პეტერბურგში

საქართველოსა და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის მიღწეულია პრინციპული მორიგება რუსული კულტურული ცენტრის თბილისში და ქართული კულტურული ცენტრის სანქტ-პეტერბურგში გახსნის შესახებ.

ახლა თბილისისა და პეტერბურგის ხელისუფლები წყვეტენ საკითხს ამ ცენტრების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ.

### ითხოვენ ამომწურავ ინფორმაციას

საქართველოს ხელისუფლება ამერიკული კომპანია „ეი-ი-ესისგან“ „თელასის“ შესყიდვის თაობაზე 1998 წელს ქართულ მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ითხოვს.

ანალოგიური მოთხოვნა რუსულ ენერგოკომპანია რაო „ეესსაც“ გაეგზავნა. ქართული მხარე რაო „ეესისგან“ გაფორმებული ხელშეკრულების გაცნობას და იმის დადგენას ითხოვს, თუ რა შეიძინა რაო „ეესმა“ „ეი-ი-ესისგან“ საქართველოში.

იმედია, რომ როგორც რუსული, ასევე ამერიკული კომპანიები ყურად იღებენ ქართული მხარის სამართლიან მოთხოვნას და მათ შორის გაფორმებულ ბიზნესგარიგებაში სრულ სიცხადეს შეიტანენ.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: „ინტერ-პრესმა“, საქინფორმმა.**

### მშენებლობა გრაფიკით მიმდინარეობს

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის სამუშაოთა დაახლოებით 30 პროცენტი უკვე შესრულებულია. ეს ჟურნალისტებს განუცხადა აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა ილხამ ალიევმა. ამ სტრატეგიული მაგისტრალის ღირებულება 2,95 მილიარდი დოლარია. როგორც მან თქვა, ნავთობსადენის მშენებლობა „მიმდინარეობს დასახული ტემპის შესაბამისად, გრაფიკის მიხედვით“. მან აღნიშნა, რომ დღე-

ოფიციალური ინფორმაცია

## სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმის წარმატებით განვითარებისათვის საჭირო დამატებით ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშის განხილვისას გამოთქმული წინადადებების შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვით ქვეყნის სამინისტროებმა, სახელმწიფო უწყებებმა, ორგანიზაცია-დაწესებულებებმა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა სახელმწიფო შესყიდვები უნდა განახორციელონ მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით და განუხრელად შეასრულონ შესაბამისი ბრძანებულებებითა და განკარგულებებით განსაზღვრული ღონისძიებანი.

საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურმა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ქვეყნის რეგიონებში ადგილობრივი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების აღსრულების სფეროში არსებულ პრობლემათა გადაჭრასთან დაკავშირებით სამუშაო თათბირების გამართვაში.

იხ. მე-2 გვ.

ხიდები

## უთანხმოებას საღმა აზრმა უნდა სძლიოს

სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარება ამ ქვეყნების განვითარებისთვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ექსპერტების აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ კონფლიქტი ფასეულობათა რომელ სისტემაში განიხილება. ფასეულობათა საერთო სისტემის ამორჩევა სამშვიდობო პროცესის წარმატებისა და მოლაპარაკებათა პროცესის მოსამზადებელი ფაზის უზრუნველყოფის თავისებურ გარანტიად მიიჩნევა. სწორედ ამ საკითხებზე ბჭობდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ახალგაზრდა ლიდერები სემინარზე, რომელიც თელავში ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სემინარის მონაწილეები აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითმა საპარლამენტო კომისიამ ამ დღეებში საქართველოს პარლამენტში მიიწვია. შეხვედრის დროს სამი ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ახალგაზრდა ლიდერები გამოთქვამდნენ რწმენას, რომ კონფლიქტის ეთნოცენტრისტული განწყობებიდან საერთო დემოკრატიულ განწყობებზე გადასვლა, სამხრეთ კავკასიის რთული და მრავალეროვანი საზოგადოების თითოეული სპექტრის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების დაჩქარებამდე მიგვიყვანს.

იხ. მე-2 გვ.

### ამინდი დღეს

| | | |
|---|---|---|
| ბათუმი — მც. მოღრ. ხანმოკლე წვიმა. | ღამით +18 | დღისით +25 |
| სოხუმი — ცვ. მოღ. მოსალოდნელია წვიმა. | ღამით +17 | დღისით +24 |
| ფოთი — ცვ. მოღრ. მოსალოდნელია წვიმა. | ღამით +17 | დღისით +24 |
| ქუთაისი — ცვ. მოღრ. მოსალოდნელია წვიმა. | ღამით +17 | დღისით +23 |
| გორი — ცვ. მოღრ. მოსალოდნელია წვიმა. | ღამით +17 | დღისით +22 |
| თელავი — ცვ. მოღრუბ. სუსტი ქარი. | ღამით +19 | დღისით +24 |
| თბილისში — მც. მოღ. სუსტი ქარი. ხანმოკლე წვიმა. | ღამით +19 | დღისით +25 |

იხ. მე-2 გვ.

### ლარის კურსი

6 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.4442 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1350 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.4286 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0705 | ლარი. |

### უკანასკნელ საათს



ჰუსეინის პირადმა ჯადოქარმა მიანიშნა ადგილი, სადაც ამერიკელები მალე ნახავენ სადამის გვამს. 62 წლის ჯადოქარი ამტკიცებს, რომ სადამი მოკვდება ბაღდადიდან 88 კილომეტრის დაშორებით მდებარე პატარა სოფელ თხულუაიაში. ამერიკელი სამხედროები ამბობენ, რომ ჯადოქარი საოცრად არის შეშინებული და თავისი ყოფილი პატრონის სახელის ხმამაღლა წარმოთქმაც არ შეუძლია.

კოფი ანანს უკვე არა აქვს იმის საშუალება, რომ იაროს ფურგონის თანხლებით, რომელშიც იარაღის მთელი არსენალია. გაეროს ნიუ-იორკის შტაბს უკვე არა აქვს იარაღის რეზერვი, რომელიც ქალაქში გენერალური მდივნის გადაადგილებისას მის დასაცავად იყო შექმნილი.



### გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვარ 6 შვილის დედა, შრომის ვეტერანი. ვცხოვრობ რაიონში. როგორც მრავალშვილიანს, მეკუთვნის თუ არა შეღავათი ელექტროენერგიის გადასახადზე?**

**თამთა ნადარეიშვილი.**

— მოქმედი კანონმდებლობით, მრავალშვილიან დედებზე, ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათი გათვალისწინებული არ არის.

**ირინე ლლონტი.**

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

პალესტინის ადმინისტრაცია გეგმავს, რომ პარასკევს გამართოს „რისხვის დღე“, რომელიც დასავლეთ სანაპიროზე უსაფრთხოების კედლის მშენებლობის საწინააღმდეგო მიტინგებითა და აქციებით აღინიშნება.



დუბაიში აშენდება მსოფლიოში პირველი წყალქვეშა ოტელი „ჰიდროპოლისი“, რომელსაც გიგანტური ბუშტის ფორმა ექნება და სანაპიროს სიახლოვეს წყალქვეშ „იქანავებს“. 107 700 კვადრატული მეტრი ფართის სასტუმრო 220-ნომრიანი იქნება და მისი მშენებლობა ნახევარი მილიარდი დოლარი დაჯდება.



სიცხისგან გალღობა დაიწყო ალპების რელიქტურმა ყინულმა. ალპების უმაღლეს წერტილში — მონბლანზე დაიწყო ყინულის აქტიური ლღობა. უახლეს ისტორიაში ასეთი რამ არ მომხდარა. მიმდინარეობს ალპინისტთა სასწრაფო ევაკუაცია.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 214. ოთხშაბათი, 13 აგვისტო, 2003 წელი

გუშინ

# „თაობა, რომელიც ენდობა დღევანდელ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას, ენდობა საქართველოს დემოკრატიული განვითარების პერსპექტივასაც“

პირველი გვერდიდან

„კარგია, რომ ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც, ბევრისაგან განსხვავებით, ლობირებენ ახალგაზრდობას“, „მხარი უნდა დავუჭიროთ არა კონკრეტულ პიროვნებებს, არამედ პოლიტიკურ კურსს, ქვეყნის განვითარების პერსპექტივას“, „ჩვენ, ახალგაზრდები, მზად ვართ, მხარში ამოვუდგეთ ხელისუფლებას და მხოლოდ კრიტიკით კი არ შემოვიფარგლოთ, არამედ მასთან ერთად ვიზრუნოთ პრობლემების გადასაჭრელად“, — დაახლოებით ასე ჟღერდა შეხვედრის „პოლიტიკურ“ ნაწილში გამოთქმული ახალგაზრდული აზრი. თბილისის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის, მათ შორის, სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების — კონსერვატორიის, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, რომლებიც თავიანთ აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ბაკურიანში გატარებული დღეების გამო, მადლობას უხდიდნენ ამ შესანიშნავი ღონისძიების ორგანიზებისათვის ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტს. მათი გულწრფელი მადლობის სიტყვები კი, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნოდა, რომლის ინიციატივითაც აღდგა ახალგაზრდა ხელოვანთა ბაკურიანის შეხვედრა-სემინარები და რომელიც, სტუდენტთა შეფასებით, თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ ახალგაზრდობის ხელშეწყობას, მათი ინიციატივის, ნიჭისა და ტალანტის რეალიზებისათვის სათანადო პირობების შექმნას მიიჩნევს. სწორედ ამგვარი ხელშეწყობის გამოვლინებად მიაჩნიათ მათ განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის პრეზიდენტის სტიპენდიებისა და გრანტების დაწესება, ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა წახალისების მიზნობრივი პროგრამების განხორციელება და ა.შ. ეს ყველაფერი, სტუდენტთა შეფასებით, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ახალგაზრდებმა განახორციელონ თავიანთი იდეები, გამოიჩინონ ინიციატივა, დაამყარონ საქმიანი და შემოქმედებითი კონტაქტები უცხოელ თანატოლებთან. მაგრამ იმისათვის, რომ მათ ამ საქმიანობაში ხელი არ შეეშალოთ, ქვეყანაში სიმშვიდე და სტაბილურობაა საჭირო. ამიტომაც გაისმა საკმაოდ კატეგორიულად შეხვედრაზე ერთ-ერთი სტუდენტის სიტყვები: „დღემდე რასაც მივაღწიეთ, სიმშვიდე და სტაბილურობაა. ამიტომ არავის მივცემთ უფლებას, გამოვიდეს ქუჩაში და ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს“. პარალელურად, სტუდენტები ხაზს უსვამენ, რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას, ნდობას, ურთიერთპატივისცემასა და კეთილგანწყობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობასა და უფროს თაობას შორის.

სტუდენტთა ეს პათოსი სრულად გაიზიარა სახელმწიფოს მეთაურმა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ბაკურიანის შეხვედრაში უკრაინელი და ლიტველი ახალგაზრდების მონაწილეობას მიესალმა. „ყველაზე სასიამოვნოა, როცა ხედავ, რომ ხალხებს შორის მეგობრობა არა უბრალოდ გრძელდება, არამედ ახალ დონეზე ადის“, — განაცხადა მან და აღნიშნა, რომ მომავალში ამ ურთიერთობის განვითარება სწორედ ახალი თაობების პოზიციაზე იქნება დამოკიდებული.

ედუარდ შევარდნაძემ გაიზიარა შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებები სახელმწიფოებრივი სიძლიერის საფუძველთა თაობაზე. „რა არის სახელმწიფოს აღმშენებლობა? ეს არის ურთიერთობა ადამიანებს შორის. როგორიც არის ურთიერთობა სახელმწიფოში, ისეთია სახელმწიფოც. სიხარულს ვერ ვფარავ იმის გამო, რომ ასე აზროვნებთ, ასე გიყვართ და პატივს სცემთ ერთმანეთს. ეს უნდა იყოს საფუძველი სახელმწიფოსი. მადლობელი და ბედნიერი ვარ იმით, რომ სწორედ ასეთია თქვენი პოზიცია“, — მიმართა მან შეხვედრის მონაწილე ახალგაზრდებს. ედუარდ შევარდნაძემ მხარი დაუჭირა მათ მიერ გამოთქმულ აზრს სტუდენტური ფონდის შექმნის თაობაზე და იმედი გამოთქვა, რომ ქართველი ბიზნესმენები გამოეხმაურებიან ამ ინიციატივას, რომელიც ხელოვან ახალგაზრდებს ახალი იდეებისა და ინიციატივების რეალიზების შესაძლებლობას მისცემს.

საქართველოს პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ახალგაზრდები ასე შინაარსიანად და ნაყოფიერად ატარებენ დროს ტრადიციულ შეხვედრა-სემინარებზე და პირობა მისცა მათ, რომ შეეცდება თავადაც ეწვიოს „მზიურ ველს“. „დიდად ვაფასებ თქვენს ასეთ გულწრფელობას. უბედნიერესი კაცი ვარ, თუ თქვენ მენდობით. თუ თაობა, რომელიც ახლა გამოდის ასპარეზზე, ენდობა დღევანდელ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას, იგი ენდობა საქართველოს დემოკრატიული განვითარების პერსპექტივასაც“, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

* * *

იმავე დღეს ბაკურიანის შეხვედრის მონაწილე ახალგაზრდები სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ მიიღო. სახელმწიფო მინისტრს სტუდენტებმა ის კონკრეტული პროექტები გააცნეს, რომელთა განსახორციელებლად მთავრობის თანადგომა და მცირედი დახმარებაა საჭირო.

— სახელისუფლებო ბლოკის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის, ახალგაზრდობის მხარდაჭერაა. ამიტომაც ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა დახმარება გაგიწიოთ არსებული პრობლემების დაძლევაში, — განუცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ ახალგაზრდებს.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 9 აგვისტო ქ. თბილისი

### რამიზ მუხთარის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ორი ერის მეგობრობის ამსახველი მაღალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების შექმნისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის აზერბაიჯანელი დრამატურგი და პოეტი **რამიზ მუხთარი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 9 აგვისტო ქ. თბილისი

### ნუგზარ ხოჯევანიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

თხევადი გაზის სარეალიზაციო საბითუმო ბაზის შექმნასა და ჩამომსხმელი სადგურის გამართულ ფუნქციონირებაში, მოსახლეობის მომსახურებასა და საბიუჯეტო შემოსავლების სტაბილურ ზრდაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი ორგანიზაციული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპანია საქთხევადგაზის“ გორის თხევადი გაზის ჩამომსხმელი სადგურის დირექტორი **ნუგზარ ხოჯევანიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 9 აგვისტო ქ. თბილისი

### ლეილა ალადაშვილის, ენუქი ირემაძის, ლონდა კოპალეიშვილისა და ლეილა შეროზიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის №13 პოლიკლინიკის“ თანამშრომლები:

**ლეილა ალადაშვილი** — თერაპიული განყოფილების გამგე; **ენუქი ირემაძე** — დირექტორი; **ლონდა კოპალეიშვილი** — ექიმი-ოფთალმოლოგი; **ლეილა შეროზია** — დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 9 აგვისტო ქ. თბილისი

### ანანი ქსენიდის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ ბოლნისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის ინდივიდუალური მეწარმე მეწაღე **ანანი ქსენიდი** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### „ცხელი ხაზი“ ამოქმედდა

**შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ამოქმედდა სატელეფონო „ცხელი ხაზი“, რომელიც სამედიცინო დაწესებულებებში მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი კანონდარღვევის ოპერატიულ დაფიქსირებას და სათანადო ღონისძიების განხორციელებას შეუწყობს ხელს.**

### გაზმომარაგება დროებით შეუწყდებათ

**მომავალი კვირიდან თემქისა და სანზონის დასახლებებს გაზმომარაგება დროებით შეუწყდებათ. ამის მიზეზი „თბილგაზის“ გაზგამანაწილებელ ქსელზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობაა.**

### ერიდეთ ვადაგასულ პროდუქტებს!

**ვეტერინარიულმა პოლიციამ გურიაში ვეტსამსახურებთან ერთად პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება დაიწყო.**

**მხარეში აკრძალული, ვადაგასული, არასერტიფიცირებული საქონლით ვაჭრობამ სისტემატური ხასიათი მიიღო, რაც მოსახლეობაში მოწამვლის შემთხვევებს იწვევს. განსაკუთრებით დიდია ასეთი ვადაგასული პროდუქტები თევზეულის, ძეხვეულისა და საქონლის ხორცით ვაჭრობაში.**

### ვერტმფრენი ჩამოვარდა

**წალკის რაიონში უბედური შემთხვევა მოხდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალების „იროკეზის“ ტიპის ვერტმფრენი ჩამოვარდა. ვერტმფრენში ეკიპაჟის შვიდი წევრი იმყოფებოდა, მათ შორის ერთი ამერიკელი.**

**წინასწარი ინფორმაციით, არავინ დაღუპულა, თუმცა არიან დაშავებულები.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა: „ინტერ-პრესმა“.**

ხიდები

# უთანხმოებას საღმა აზრმა უნდა სძლიოს

პირველი გვერდიდან

**ვახტანგ ყოლბაია, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე:**

— ჩვენი კომისია აქტიურად თანამშრომლობს ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის საქართველოს ორგანიზაციასთან, სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების ინსტიტუტთან, რომელიც ძირითადად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციის საკითხებს იხილავს. ერთობლივად ვიხილავთ იმ პრობლემებს (პირველ რიგში, რა თქმა უნდა, კონფლიქტურ სიტუაციებს), რომელიც ჩვენს ქვეყნებში ჯერჯერობით არსებობს. ძალიან საინტერესოა ამ კუთხით ახალგაზრდა პოლიტიკოსებთან ურთიერთობა. მოგეხსენებათ, ახალგაზრდებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი არ არიან, ასე ვთქვათ, ძველი შეცდომებით დატვირთული, კონფლიქტისადმი ახლებურ მიდგომებს გვთავაზობენ, რაც უდავოდ გასათვალისწინებელია. ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდა ლიდერებს თელავის სემინარზე ათი დღის განმავლობაში საშუალება ჰქონდათ სამხრეთ კავკასიის პრობლემებზე ემსჯელათ. XXI საუკუნეში კონფლიქტების მოგვარების გზა ახლებურ ხედვას ითხოვს, რაშიც ახალგაზრდების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, რომ მათი ინტერესების გათვალისწინება კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების დაჩქარებამდე მიგვიყვანს.

**გივი შუღაროვი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე:**

— არასამთავრობო სექტორის ახალგაზრდა პოლიტიკურ მოღვაწეებთან ნებისმიერი შეხვედრა ყოველთვის ორმხრივ სასარგებლოა. ამ შეხვედრაზეც ამასვე ვიტყოდი. ახალგაზრდები უფრო თავისუფალი არიან, ძალიან ბევრ მტკივნეულ თემაზე ღიად, უშუალოდ საუბრობენ. ეს კი ბევრისმომცემია. რაც მთავარია, ახალგაზრდა კოლეგებს აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოდან ჩვენს იმ ინიციატივაზე, რომელსაც სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივა ჰქვია დეტალურად ვესაუბრეთ. რამდენიმე დღის წინათ ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან დავბრუნდით, რომლებსაც ამ მხრივ სერიოზული გამოცდილება აქვთ. მეტსაც გეტყვით, ბალტიისპირეთის სამმა ქვეყანამ ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ და მათმა საპარლამენტო ასამბლეამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაწყვეტად, რასაც ევროპაში, ევროგაერთიანებასა და ნატოში გაწევრიანება ჰქვია, დიდი პოზიტიური როლი ითამაშეს.

მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ქვეყანა ცალ-ცალკე, დასავლეთისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ რეგიონულ მიდგომას, ერთობლივ თანამშრომლობას დასავლეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ვფიქრობ, ამ საკითხში სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ასამბლეა ქმედით როლს შეასრულებს.

**მზია გელენავა.**

კანონმდებლები

# რას ერჩიან ცესკოს ძველ წევრებს?

პირველი გვერდიდან

**გია ზესაშვილი:** — ერთი ხელის მოსმით მთელი საარჩევნო ადმინისტრაციის ძაგება გაუმართლებლად მიმაჩნია. ვფიქრობ, ცესკოს შეგნებულ დისკრედიტაციაში გარკვეული პოლიტიკური ძალების ინტერესები მოიაზრება.

გია ზესაშვილი საარჩევნო კოდექსში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც ცესკოს ძველ პერსონალს ახალ საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობას აუკრძალავს, საარჩევნო კომისიის წევრების კონსტიტუციური უფლების შელახვად მიიჩნევს და თუ ეს ცვლილებები დამტკიცდა, აპირებს პარლამენტს სასამართლოში უჩივლოს. მიუხედავად მუქარისა, პარლამენტი ამ საკითხს მაინც დაუბრუნდა. სავარაუდოდ, კოდექსის ამ ნაწილში გარდამავალი დებულება ჩაიდება.

დებულების მიხედვით, იმ პირებს, რომლებიც 1992-99 წლების არჩევნების დროს საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობდნენ, 2003-2005 წლების არჩევნებში ამის უფლება აეკრძალებათ. მომდევნო, 2003-2005 წლის შემდგომ არჩევნებს კი, ეს აკრძალვა არ შეეხება. თუ რა ფორმით იქნება ეს დებულება წარმოდგენილი, ჯერჯერობით გარკვეული არ არის. გადაწყდა, როცა კოდექსის განხილვა დამთავრდება და კენჭიც ეყრება, გარდამავალ დებულებაზე მერე იმსჯელებენ.

**ჯემალ გამახარია, ფრაქცია „XXI საუკუნე“** — მე-18 მუხლს, როგორც იცით, ჩვენ ხმა არ მივეცით. იმიტომ კი არა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ძველი შემადგენლობა ძალიან მოგვწონს. იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც არჩევნებს აყალბებდა, სისხლის სამართლის საქმე აღძრან და თუ საჭიროა, კიდეც დააპატიმრონ. „აღორძინების“ ბლოკს ცესკოში სამი წევრი ჰყავდა. მათ პატიოსნად იმუშავეს, როცა არჩევნების შედეგები მტკიცდებოდა. ჩვენს წარმომადგენლებს არც ერთ გადაწყვეტილებაზე თანხმობა არ მიუციათ. არაფერი არ გაუყალბებიათ, ქრთამი არ აუღიათ და არავისთან არანაირ გარიგებაში არ შესულან. ახლა თურმე ამ პატიოსან ხალხს ხელში მგლის ბილეთი უნდა მივცეთ და გავუშვათ. ასეთი უსინდისობა რატომ უნდა ჩავიდინოთ, ამაზე დამაჯერებელ პასუხს ვერავინ ვერ გვაძლევს. გარდამავალ დებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუჭერთ მხარს, თუკი იქ ისეთი მექანიზმი ჩაიდება, რომელიც მხოლოდ გამყალბებლებს შეეხება და არა იმათ, ვისაც გაყალბებაში არანაირი წვლილი არ მიუძღვით.

რიგგარეშე სესიის გუშინდელ სხდომაზე პარლამენტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიათა წევრებს 2004 წლის 1 მაისიდან, ხოლო საუბნო კომისიათა წევრებს 2005 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით უფლებამოსილება შეუწყდებათ, თუკი ისინი აღნიშნულ ვადებში, სავალდებულო წესით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატს არ მოიპოვებენ. პროექტი, პარლამენტს ინტერფრაქციული ჯგუფის წევრმა ვახტანგ ხმალაძემ წარუდგინა. ეს მუხლი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების საკითხს ეხება, გუშინ პარლამენტმა 138 ხმით სამივე მოსმენით დაამტკიცა.

13 აგვისტოდან პარლამენტი ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტს განიხილავს. მოგეხსენებათ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულების ვადა იწურება. 2003 წლის კორექტირებული ბიუჯეტი პარლამენტმა 15 აგვისტომდე უნდა დაამტკიცოს. რაღა დარჩა?

**მზია გელენავა.**

ოფიციალური ინფორმაცია

# სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კანონდარღვევათა მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიმდინარე წლის დამლევამდე ვალდებულია მოამზადოს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო ცვლილებათა პროექტი. ეროვნული უშიშროების საბჭო კი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შემუშავებას.

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის და ფინანსთა სამინისტროები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან ერთად მოამზადებენ წინადადებებს ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და საბიუჯეტო ასიგნებათა მრავალწლიანი გეგმის შესაქმნელად, გრძელვადიანი შესყიდვების ეფექტიანად განხორციელების მიზნით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაევალა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის დამლევამდე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაასრულოს მოლაპარაკება სამთავრობო შესყიდვების შეთანხმებასთან საქართველოს შეერთების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს კანონპროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე.

განათლების სამინისტრო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან ერთად უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტთა კადრების სწავლებისა და გადამზადების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას და მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე დაამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტთა მომზადებისა და სერტიფიცირების წესს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურების და ანგარიშგების მეთოდოლოგიური სრულყოფისათვის მოახდენს მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებისა და წესების შემდგომ დეტალიზაციას და მიმდინარე წლის დამლევამდე დაამტკიცებს სათანადო ინსტრუქციებს, ხელს შეუწყობს ქვეყნის რეგიონებში სახელმწიფო შესყიდვების საინფორმაციომეთოდოლოგიური ცენტრების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას.

**საქინფორმი.**

სიმართლე კი ასეთია

# საქართველოს რკინიგზა „ეი-ი-ესთან“ პირნათელია

პირველი გვერდიდან

დავბრუნდი თუ არა, ირიბარენი მოვიწვიეთ. იმანაც ხელები გაშალა, ასეთი ცნობის გაცემა არც დამსიზმრებია, რადგან ყველაზე კეთილსინდისიერი გადამხდელები ხართ, სხვებიც თქვენ რომ გბაძავდნენ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაყეფდაო.

**— მხოლოდ ზეპირი განცხადებებით დაკმაყოფილდით?**

— არა, ერთად გავაკეთეთ შედარების აქტი და ხელის მოწერითაც დავადასტურეთ. არავითარი გაუგებრობა ჩვენს შორის არ ყოფილა. ჩემი აზრით, ბრალი იმ პირებმა დაგვდეს, ვისაც საქართველოს რკინიგზის წარმატებები ყელში ძვალივით გაეჩხირა. იმათ სულაც არ აინტერესებდათ, სიმართლეს ამბობდნენ თუ ცრუობდნენ. მათთვის მთავარი ის იყო, რომ საქართველოს რკინიგზისათვის ტალახი შეესხათ. სამწუხაროდ, ჩვენი არაერთგზისი პროტესტი ყურად არავინ იღო. სიცრუეს იმეორებენ და იმეორებენ.

აი, ასეთი განმარტება მომცა ბატონმა აკაკი ჩხაიძემ. არაერთი შემთხვევა ვიცი, როცა მასმედიაში ერთს ამტკიცებენ, ფაქტები კი მეორეს ღაღადებენ. ამიტომ ამ შემთხვევაში უნდა მომიტევოს რკინიგზის თავკაცმა, ვინაიდან მისი ნათქვამი მაინც გადავამოწმე. საამისო საბაბი მომცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ 10 აგვისტოს ღამით ტელევიზიის პირველი არხის პროგრამაში „რა ხდება?“ არაერთგზის ნათქვამმა, საქართველოს რკინიგზა „ეი-ი-ეს თელასს“ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არ უხდიდაო.

რა გაირკვა? გაირკვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარესაც ათქმევინეს, საქართველოს რკინიგზა „ეი-ი-ეს“ კუთვნილ ფულს არ უხდიდაო. არადა, **საქართველოს რკინიგზას „ეი-ი-ესისა“ არაფერი მართებს! ხელთა მაქვს „ეი-ი-ეს თელასის“ ცენტრალური მომხმარებლების ექსპერტის ი. ჩიკვაიძის მიერ დამოწმებული საქართველოს რკინიგზის 1999-2002 წლების დარიცხვებისა და შემოსავლების შედარების აქტი, რომელსაც ადასტურებენ შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე და „ეი-ი-ეს თელასის“ გენერალური მენეჯერი ი. ირიბარენი. იქ შავით თეთრზე წერია, რომ 2002 წლის 2 ოქტომბრისათვის საქართველოს რკინიგზას „ეი-ი-ესისა“ გროშიც არ მართებს!**

რა მდგომარეობაა მიმდინარე წელს? საქართველოს რკინიგზის ელექტრომომარაგების სამსახურის მიერ გაცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ **6 თვეში „ეი-ი-ეს თელასს“ საქართველოს რკინიგზიდან ეკუთვნოდა 388603,38 ლარი, რომ გადახდილია ამდენივე.** ივლისში საქართველოს რკინიგზას გადასახდელი აქვს 46205,38 ლარი. **თანახმად მოქმედი წესებისა, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა წარმოებს მომდევნო თვეში, ე. ი. ივლისის დავალიანება აგვისტოში დაიფარება.**

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ საქართველოს რკინიგზა პირნათელია ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართანაც — 6 თვეში მის ანგარიშზე გადარიცხულია 4430137,29 ლარი — ზუსტად იმდენი, რამდენიც ეკუთვნოდა. ივლისის დარიცხვა — 846728,73 ლარი ზემოთ მოხმობილი წესის თანახმად დაიფარება, როგორც კი ანგარიშ-ფაქტურას მიიღებენ. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ა. სოლისი და შპს „საქართველოს რკინიგზის“ ენერგეტიკის დარგის დირექტორი გ. მაისურაძე 2002 წლის 2 დეკემბრის შედარების აქტით ადასტურებენ, რომ 2002 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს რკინიგზას ბაზრიდან შესყიდულ ელექტროენერგიის დავალიანება არა აქვს, ის კი არა, ავანსიც კი აქვს გადახდილი!

**ამ საბუთების მოძიება და მიღება თავისუფლად შეეძლო ყველას, ვინც ბეჯითად ერთსა და იმავეს გაუთავებლად იმეორებს, საქართველოს რკინიგზა „ეი-ი-ესს“ მოვალეაო. როგორც ჩანს, მათ სიმართლე კი არა, ფარსი აინტერესებთ, ფარსი, რომლის მიზანი ამ წარმატებული უწყებისათვის სახელის გატეხვაა.**

**ელგუჯა ლებანიძე.**

**მინაწერი: საქართველოს რკინიგზის, მისი თავკაცის წინააღმდეგ ცილისწამებებით განსაკუთრებით თავი გამოიჩინა „რუსთავი-2“-ის გადაცემა „60 წუთმა“. ახსნა-განმარტებებით სასურველ მიზანს რომ ვერ მიაღწია, აკაკი ჩხაიძემ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მორალური შეურაცხყოფისათვის ერთი მილიონი ლარი მოითხოვა. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და „რუსთავი-2“-ს ამ თანხის გადახდა დააკისრა.**

**ვფიქრობთ, ეს ფაქტი მწარე გაკვეთილი უნდა გახდეს სხვებისთვისაც, ვისაც სერიოზული ბრალდებების ჰაიჰარად წამოსროლა ძალზე ეიოლება. როგორც ვნახეთ, „შუბი ხალთაში არ იმალება“. დაფიქრება ყველას გვმართებს, ვინაიდან ერთი მილიონის გადახდა არც ისე იოლი უნდა იყოს!..**

საწარმო

# „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში“ წარმოების ტექნიკური განახლებისა და სარეაბილიტაციო პროგრამა განხორციელდება

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ იტალიის კომპანია „არეს ინტერნაციონალმა“ ქ.რუსთავის სასამართლოს განჩინებით სააქციო საზოგადოება „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ ქონების ნაწილის საკუთრებაში მიღებასთან ერთად წარმოებაში უკვე განახორციელა რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია და აამოქმედა წლების განმავლობაში გაჩერებული მილების წარმოება; ამასთან, ბრძანებულების თანახმად, ინვესტორს ეთხოვა, რომ დააჩქაროს წარმოების ტექნიკური განახლების პროცესი.

ფინანსთა, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროებს და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყონ სააქციო საზოგადოება „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ რეაბილიტაციისა და ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების 2003 –2017 წლების პროგრამის განხორციელებას.

სტრატეგიულ სამრეწველო საწარმოებში ინვესტორების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებთან ერთად უნდა დააჩქაროს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონებში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე კანონპროექტების პაკეტის შეთანხმება და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში წარდგენა.

შპს „საქართველოს რკინიგზას“ ეთხოვა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროსთან ერთად „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ ქონების ბაზაზე შექმნილი საწარმოს ტვირთებზე „ტრასეკას“ დერეფნით სარგებლობისას გაავრცელოს სუუამის ქვეყნების (ამ ქვეყნების საწარმოებთან ურთიერთობისას) ტრანზიტული ტვირთების ტარიფები.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაევალა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან ერთად განიხილოს და აღმოუჩინოს დახმარება რუსთავის მეტალურგიულ საწარმოს ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების საკითხში, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის პირობით: 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ელექტროენერგიის დავალიანების რესტრუქტურიზაციის საკითხში კომბინატის რეაბილიტაციისა და ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების 2003 –2017 წლების პროგრამის შესაბამისად.

საქართველოს გენერალურ პროკურორს ნ. გაბრიჩიძეს ეთხოვა, აუცილებლობის შემთხვევაში, სს „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს“ აღმოუჩინოს დახმარება და ხელი შეუწყოს კრედიტორულ დავალიანებათა დაზუსტების საქმეში, მათი წარმოშობისა და კანონიერების დადგენის თვალსაზრისით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს შესაბამისი საელჩოების მეშვეობით ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ვალდებულია ხელი შეუწყოს რუსთავის საწარმოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის რეგიონების ქვეყნებიდან მილების პროდუქციის შეკვეთების მიღებაში და უზრუნველყოს მისი კონტროლი.

**საქინფორმი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვერსია

# აქა ამბავი პროვოკაციების და ინტრიგანობის ანატომიის შესახებ

ამ დროს ინთება ჯემალ გოგიტიძის მიკროფონი. დეპუტატი კითხულობს რაღაც წერილს, რომელიც, მისი აზრით, უნდა იყოს ის, რაც აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა, მალხაზ კორძახიამ მისწერა საქართველოს უშიშროების მინისტრს. დარბაზი აღელდა. თამაზ ნადარეიშვილი მწყობრიდან გამოვიდა და გინებით ჯემალ გოგიტიძისკენ წაიწია. „გამშველებლებიც“ გაჩნდნენ...

ამ დროს შეიარაღებული ხალხი შემოვიდა პარლამენტში. დარბაზში მყოფი ძალოვანი მინისტრები და გენერალური პროკურორი კინაღამ მუშტი-კრივში ჩაებნენ...

შესვენება გამოცხადდა. სიმართლე არავინ იცოდა. ამიტომ დეპუტატთა გარკვეულმა ნაწილმა ხელი გაიშვირა მიხეილ ოსაძისაკენ. გენერალია და არ იცის ინფორმაცია როგორ მიაწოდოს პარლამენტსო, ზოგიერთი კი ტრადიციულად პრეზიდენტის პასუხისმგებლობაზე ალაპარაკდა.

ყველაზე მეტად მეცხოველეობის სპეციალისტი დეპუტატი აქტიურობდა. სხვაზე უკეთ როგორ უნდა სცოდნოდა საიდუმლო დოკუმენტებთან მუშაობის წესი?! მაგრამ ვინაიდან ეს ქალბატონი ყველაფერზე აზრს გამოთქვამს ხოლმე, ალბათ, ამაშიც რაღაც იცის-მეთქი. მაგრამ, როცა ყველამ გაიგო, რომ მიხეილ ოსაძე და კომისია ამ საქმეში ცამდე მართალია, კითხვა გაჩნდა, რისთვის იბრძოდა ოპოზიციონერი მეცხოველე?

აგრესიული იყო მისი თანაფრაქციელი, პატიმრების უფლებების დამცველი დეპუტატი ელენე თევდორაძე. ეს არ იყო საკვირველი. თავის დროზე ელენე თევდორაძე ამ კომისიის წევრი იყო და ოსაძე კარგად იცნობდა მის საქმიანობას. ქალბატონი ელენე პიროვნულად იყო ნაწყენი ბატონ მიხეილზე, რადგან მან კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ხმა ქალბატონ ნანა ბიჭიაშვილს მისცა...

ქალბატონმა ელენემ ბატონ მიხეილს რაც 11 თებერვალს დააკლო, ის „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული წერილით შეუსრულა. „ოსაძემ ხალხი უკანონოდ დააპატიმრა“... ადამიანის უფლებების დამცველ ქალბატონს უნდა სცოდნოდა, რომ დაპატიმრების სანქციას ერთ დროს გასცემდა პროკურატურა, ამჟამად სასამართლო გასცემს.

მიხეილ ოსაძე კი არც პროკურორი ყოფილა და არც მოსამართლე!

აი, ასე, მთავარია, დაწერო, მთავარია, მკითხველი მოატყუო.

## ელენე თევდორაძის და მისი გუნდის ფიქრები... „იმპიჩმენტოვნები“ ვიქნებით...

„ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ქალბატონ ელენეს ეკითხებიან:

**— უფრო ზუსტად ხომ ვერ გვეტყვით, რის გაკეთებას აპირებთ?**

იგი უპასუხებს:

— რას გავაკეთებთ და მიხეილ ოსაძის იმპიჩმენტის საკითხს დავსვამთ. თუმცა ეჭვიც კი არ გვეპარება იმაში, რომ მის გადაყენებას ვერ შევძლებთ!

**— ოპოზიციის ერთი ნაწილი შს მინისტრის იმპიჩმენტსაც ითხოვს, თქვენც დაუჭერთ მხარს მის იმპიჩმენტს?**

მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილში თევდორაძე აკრიტიკებს ბატონ კობას, ის უპასუხებს: — არავითარ შემთხვევაში. მის იმპიჩმენტს ვერ მივესალმები. ახლა ამის დრო ნამდვილად აღარ არის.

აი, ასე. „გადარჩა“ ახალგაზრდა ნარჩემაშვილი იმპიჩმენტს, მაგრამ რა უნდოდა ქალბატონ ელენეს მიხეილ ოსაძისგან? თუ იცოდა, რომ იმპიჩმენტს ვერ გაიტანდა, რატომ უნდა დაესვა აუცილებლად საკითხი? ხმაურია საჭირო? სიცრუის და სიმართლის აღრევაა აუცილებელი?

მკითხველმა უნდა იცოდეს სიმართლე, ანუ რას ედავება მიხეილ ოსაძეს ელენე თევდორაძე.

1. უნდობლობა გასჩენია თამაზ (?!) ასანიძის საკითხის განხილვის პროცესში.

(ამ საკითხს გავეცი პასუხი და მკითხველმა ყველაფერი გაიგო).

2. ლომის წილი მიუძღვის ერთ-ერთი მოქალაქის „დაპატიმრებაში“.

მკითხველმა უნდა იცოდეს მოკლე ინფორმაცია ამის თაობაზეც, დანარჩენი მისი საფიქრალია:

მიხეილ ოსაძეს არ გაუცია და ვერც გასცემდა სანქციას ვინმეს დაპატიმრებაზე.

მიხეილ ოსაძეს არ აღუძრავს და ვერც აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეს.

**1995 წლის 10 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სახელმწიფო გადასახადებისაგან დიდი ოდენობით თავის არიდების ფაქტზე საქართველოს სსკ-160 მუხლის მე-2 ნაწილით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ამ პირის მიმართ (გამომძიებელი თ. ფანცულაია), რის საფუძველზეც შემდეგ დააპატიმრეს კიდეც.**

**ამ დროს მშვენიერი ელენესაგან „დაწუნებული“ მიხეილ ოსაძე არც დეპუტატი იყო და არც შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.**

1996 წლის 27 დეკემბერს განცხადებით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას. წერილი რეაგირებისათვის დაეწერა დეპუტატებს გ. ბარამიძეს და მ. ოსაძეს. გატარდა შუალედური ღონისძიებები, გაგრძელდა მოკვლევა. **1998 წლის მარტში მოკვლეული მასალები სამართლებრივი შეფასებისათვის გადაეგზავნა საქართველოს უშიშროების მინისტრს ჯემალ გახოკიძეს. ამ საკითხზე კომისიას დასკვნა არ გაუკეთებია.**

ეს არის და ეს. რა უნდა ქალბატონ ელენეს? როდიდან გახდა დავალების კეთილსინდისიერად შესრულება, ობიექტურობა და სამართლიანობა იმპიჩმენტის დაყენების საფუძველი? „ოსაძემ არასწორად წარმოადგინა დოკუმენტები. ამან კი კინაღამ ორი კუთხის დაპირისპირება გამოიწვია. ოპოზიცია ამ ფაქტს ასე ნამდვილად არ დატოვებს და ჩვენ რაღაცას მოვიმოქმედებთ“, იქადნებოდა ქალბატონი ელენე.

ისე კი, მართლა გადარჩენილა ბატონი მიხეილი. „კანონიერად და გონიერებით რომ არ მოქცეულიყო, გახდებოდა საქართველოს ისტორიის „შავი ფურცლის მფლობელი“, დაბრალდებოდა ის, რის გაკეთებაც სურდათ ოპოზიციონერებს, რაც ასე სურდათ შემკვეთებს, დამგეგმავებს და განმახორციელებლებს.

რაც მოხდა, ყველამ გაიგო. ლუსტრაცია სახეზეა. სამართალმა პური ჭამა, მაგრამ რა იქნება ხვალ ამ ნაცრისფერი ნისლის მიღმა? გვაქვს რამე გასახარებელი და საიმედო დღეს?

პირადად მე რაღაც მაინც მიხარია და, უპირველესად, ის რომ თურმე შემრჩენია კმაყოფილების და გაკვირვების უნარი.

**კმაყოფილება ჯანსაღი ჟურნალისტიკის და ჯანსაღი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ჟურნალისტების საქციელისადმი.**

**კმაყოფილება თამაზ ნადარეიშვილის, მიხეილ ოსაძის, მეომრების, დევნილების გონიერების გამო.**

**კმაყოფილება „აღორძინებისადმი“: ბრძოლა მდგომარეობის განმუხტვისათვის.**

**კმაყოფილება საქართველოს პრეზიდენტის მოთმინებისათვის.**

გაკვირვება?

ერთმა ჟურნალისტმა მითხრა: „ქალბატონო მაყვალა, მე მიკვირს, თქვენ კიდევ რაღაც რომ გიკვირთო“... დიახ, გამიკვირდა „აღორძინებელი“ გიორგი თარგამაძის გამოსვლა პარლამენტში. ვერ გავიგე, ინფორმაციის დეფიციტთან მქონდა საქმე თუ ზნეობის დეფიციტთან.

გიორგის ნიჭიერებას პატივს ვცემ, მაგრამ არსებობს სხვადასხვა სახის ნიჭიერება.

**იგი იდგა მიკროფონთან და საქართველოს გასაგონად მიმართავდა ტრიბუნასთან მდგარ მიხეილ ოსაძეს: „თქვენ მე გაგაკრიტიკებთ და ეს კრიტიკა იქნება ობიექტური. თქვენ სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი გაქვთ. თქვენ დარტყმის ქვეშ დააყენეთ იმ წერილის ავტორი“.**

გასაოცარი იყო! გიორგი თარგამაძემ ხელი მოაწერა პარლამენტის თავმჯდომარისადმი მიწერილ წერილს 2002 წლის 15 დეკემბერს, **აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა 2002 წლის 14 აგვისტოს წერილი მისწერა საქართველოს უშიშროების მინისტრსო, შიგ ესა და ეს წერია „ზუსტად ვიცითო“...** კატეგორიულად ითხოვდა, გამოითხოვოს ოსაძემ და პარლამენტს წაუკითხოს ეს წერილიო და... ღმერთის მაინც არ ეშინოდა? მალხაზ კორძახია „ჩაუშვეს“ ყველგან და სხვას უწუნებდნენ სახელმწიფოებრივ აზროვნებას პარლამენტის დავალების შესრულების გამო...

**მალხაზ კორძახია ბოდიშს იხდიდა პარლამენტში საჯაროდ. ეს არ იყო უშიშროების მუშაკის, თანაც მინისტრის თუ მოადგილის სტილი. ესეც გამიკვირდა!**

**საქართველოს უშიშროების მინისტრი საჯაროდ აცხადებდა: „საიდუმლო დოკუმენტებთან ვინც მუშაობს, დაბალი ხელფასი აქვთ და, რა ვქნათ, ინფორმაციები ჟონავსო“... ეს ორჯერ გამიკვირდა!**

**მალხაზ კორძახიას, აფხაზეთის უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი ამ მოვლენების შემდეგ თამაზ ნადარეიშვილმა დააყენა. საქართველოს უშიშროების მინისტრმა ეს არ გააკეთა. სკანდალური წერილის სკანდალური ავტორი თავის პოსტზე დარჩა!**

**ეს ორჯერ და მეტად გამიკვირდა!**

**ცნობილი მსახიობის თენგიზ ჩანტლაძის არ იყოს „აი, უკვე რამდენჯერ გამიკვირდა“, დაჭერაზე აღარ არის ლაპარაკი.**

და ის ჟურნალისტები, ვინც საზოგადოებისათვის ცნობილნი არიან, არ კითხულობენ, რატომ უნდა სცოდნოდა გიორგი თარგამაძეს, რა წერილებს წერდა აფხაზეთის უშიშროების მინისტრი საქართველოს უშიშროების მინისტრს?

ან რატომ მიდიოდა ასლან აბაშიძის „მოწინააღმდეგე მხარესთან“ გიორგი თარგამაძე?

აი, ასე, თებერვლის რევოლუციამ მკვდარი ნაყოფი შობა. ორხელისუფლებიანობა არ შედგა!

მაგრამ ყველაფერი რომ კარგად დამთავრდა, აღარ გამოვაქვეყნე ეს ჩემი წერილი მაშინ, ისედაც დაძაბული ვითარება აღარ დავძაბე. თურმე არ უნდა მექნა ეს.

აღარ დამთავრდა ინტრიგანთა ხლართების დაგება და აგება, სიცრუე, ცილისწამება. როგორც ჩანს, ეს საქმე ზოგიერთმა პროფესიად და, შესაძლებელია, შემოსავლის წყაროდაც გაიხადა.

**მაყვალა ბერიანიძე.**

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 211-212, 213.

ო, ენავ ჩემო!..

# „სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა“...

## ქართული სული ფერეიდანში

**რამდენადაც ცნობილია, მსოფლიოს ათასობით ენის ლექსიკაში ეროვნული ენის აღმნიშვნელი სახელი მრავალი მნიშვნელობითაა წარმოებული. უმეტეს შემთხვევაში — როგორც მშობლიური და ეროვნული, შესაძლოა, სხვაგვარი შინაარსითაც, მაგრამ უშუალოდ რომ მიუთითებდეს, სახელდობრ, დედას, არ მეგულება.**

**აღსანიშნავია, რომ დღესაც ფერეიდნულ ქართულ დიალექტში იქაური „გურჯები“ თავის ქართულს „დედის ენით“ მოიხსენიებენ.**

საოცარი და გასაკვირია, რომ ოთხი საუკუნის წინათ სამშობლო მიწას მოწყვეტილმა ქართულმა გონმა და ჯილაგმა უცხო მიწაზე, უცხო ცისქვეშ და, რაც მთავარია, უცხო ეროვნებათა შორის მყოფმა, რომელიც თავის ფესვს, სამშობლოს, ისე იყო მოწყვეტილი, რომ ის მხოლოდ სიზმარში თუ ხედავდა თავის „ძველს“, თავი ისე შეინახა, რომ არც ეროვნება და არც თავისი დედის ენა არ დაუკარგავს.

და დღეისათვის აღსანიშნავი სწორედ ის არის, რომ ეს ოთხი საუკუნის წინათ სამშობლოს მოწყვეტილი მზად არის თავის გასაწირად! — დავესესხები ერთ სტრიქონს მელექსე ტარიელ ხარხელაურს.

„ — იმ ჯილაგის ვარ, კრწანისზე მოვკვდე
სამასმეერთე არაგველ კაცად!“

დიახ, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რამეთუ კარგად ვიცნობ მათ, რომ ფერეიდნელი ვაჟკაცები დღეს მზად არიან, გახდნენ სამასმეერთე არაგველები!

დიახ, ამ ძველი მეომარი ვაჟკაცი ქართველების ნაშიერებმა შემოინახეს დედის ენა და ძირითადად ამის წყალობით თავისი გურჯობა მიუხედავად იმ მრავალი გაჭირვებისა და ძალადობისა, რაც მათ გადაიტანეს ამ ოთხი საუკუნის განმავლობაში. რამ შემოანახვინა ყოველივე ეს? — პასუხი ერთია — იმ ქართული სულისა და გონის ძალამ, რომელიც მათ სისხლსა და ხორცში ჰქონდათ!

... სისხლი კი მათ არ აურევიათ, და სატრაბახოდაც აქვთ — „ჩონ ჩონი სისხლ და ხორც შავინახეთყე“.

აღნიშნულის გარდა, ბუნებრივია, გარკვეული პირობებიც იყო გასათვალისწინებელი, რამაც ხელი შეუწყო გურჯობის შემონახვას. ეს იყო: კომპაქტური დასახლება, უგზოობა, მთის ფაქტორი და, რაც მთავარია, ეროვნული ერთობის გრძნობა — ესეც საოცარი ქართული გრძნობა ჰქონდათ და აქვთ ფერეიდნელ ქართველებს.

მაგალითად, თუ წაჩხუბებულ მეზობელთაგანს უცხო ეროვნების ვინმე მიუხტა მტრად — ის მეორე ნაჩხუბარი მეზობელი შეიარაღებული პირველ ქომაგად მირბის მის დასახმარებლად. მომხდურს რომ გააგდებენ, ერთმანეთში შუღლს მაინც გააგრძელებენ...

ეს წაჩხუბებულნი ერთმანეთს ეხმარებიან იმიტომ, რომ თავისი სისხლხორცი სხვამ არ დააღონოს!..

დღეისათვის ის ჩამორჩენილი კუთხე-ფერეიდანი აღარ არის, იქ სკოლებია, უნივერსიტეტი, ლაჩინანის სახელობის ბანკი, კომპიუტერები, მშვენიერი გზები და სხვა.

ყველაფერმა ამან კი უკვე საფრთხე შეუქმნა საუკუნოებით შემონახულ ქართულს. ეს თავად ფერეიდნელებმა კარგად აღიქვეს და თავადვე ცდილობენ ყოველნაირად შემონახული ეროვნული ნიშანი არ დაკარგონ...

საქართველოში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — დედაენის დღესასწაული. ეს ფერეიდნელთათვის გვიან იქნა ცნობილი და წელს, ჰიჯრით 1382 წელს, 24 ფარვარდინის თვეში (14 აპრილი), მათ საზეიმოდ აღნიშნეს ფერეიდუნშაჰრში (ზემო მარტყოფი) ეს უკვე „დედის დღე“!

დედის დღის ჩატარების ორგანიზატორები იყვნენ თავად ქალაქის გამგებელი ბაღირ მოყადასი (ზუბიტაშვილი) — რაიონის სულიერი წინამძღვარი, იმამი ჯომესი (ასლანიშვილი), ქალაქის უნივერსიტეტის საბჭო და ზემო მარტყოფის საზოგადოებრიობა.

ღონისძიებას ხელმძღვანელობდა საიდ მულიანი (მულიშვილი), ფერეიდუნშაჰრის უნივერსიტეტის ლექტორი, ავტორი წიგნისა „ქართველთა როლი (ადგილი) ირანის ცივილიზაციასა, კულტურასა და ისტორიაში“ და ალი რაჰიმი (ონიკაშვილი).

ვრცელი სიტყვით გამოვიდა მუჰამედ სეფიანი (სეფიაშვილი), ავტორი წიგნისა „ქართველები ირანში“. მან ილაპარაკა ქართული ენის წარმომავლობაზე და მნიშვნელობაზე ერის განვითარებისათვის. ითქვა: დედა ენა ქართული პოეზიის ენააო და თან მის მიერ ირანულად თარგმნილი „მერანი“ და „მოყმე და ვეფხვი“ წაიკითხა მუხთარ ასლანმა (დარჩიაშვილი).

სიტყვებით გამოვიდნენ ჰასან გუგუნანი, მაჟამად ლაჩინანი, ჰოსეინ სეფიანაანი და სხვ.

მოხსენებებს შორის იონიკა სინთეზატორზე სრულდებოდა ქართულ-ირანული მელოდიები — „სულიკო“ და სხვა სიმღერები.

აღსანიშნავი იყო ფერეიდუნშაჰრელი მხატვრის არსენ ონიკაშვილის ლექსი და მისივე შეთხზული მელოდიები, რომლებიც შეასრულეს ქალაქის უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

სხვათა შორის, ფერეიდუნშაჰრის უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი უაღრესად დაინტერესებულია საქართველოთი და ქართული ენით და სწავლობენ კიდეც.

ბოლოს, მოწვეულ სტუმრებს დაურიგეს საჩუქარი — არსენ ლაჩინანის და ჰოსეინ გუგუნანის შედგენილი და „ახალგაზრდა ქართველთა ასოციაციის“ მიერ გამოცემული კალენდარი, რომელშიც ფერადი ფოტოებითაა წარმოჩენილი ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი სხვადასხვა კუთხის ქალ-ვაჟი.

ეს ღონისძიება გაიმართა როგორც ქართულ, ასევე ირანულ ენაზე, ეს კი ნიშანი იყო იმ მეგობრული ურთიერთობისა, რაც დღეს ირანსა და საქართველოს შორისაა.

მართალია, ეს ინფორმაცია მიზეზთა გამო ნაგვიანევადაა მოწოდებული, მაგრამ ნიშანდობლივი უნდა იყოს ზოგიერთათვის!

... ხოლო თუ რაოდენ განუზომელია მშობლიური ენის ფასი და დიდება, ოთხი საუკუნის წინათ მოწყვეტილ ქართველთა გრძნობა და სიყვარული ეროვნებისა და ჯილაგისადმი, აუცილებლად ყურადსაღები მაგალითია.

**ნოდარ კოჭლაშვილი.**

P. S. **ეს ყველაფერი, ე. ი. ღონისძიება, აღბეჭდილია ვიდეოკასეტაზე. იმედია, რომელიმე ტელეარხი მოისურვებს მის ჩვენებას.**

### საქართველო ინვესტორებისთვის მიმზიდველი გახდება

12 აგვისტოს საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლცმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ ევროკომისიას აუცილებლად მიაჩნია საქართველოში საბაჟო პროცედურების გამარტივება. საქართველოს საბაჟოებზე ეფექტიანი ღონისძიებებია განსახორციელებელი, რათა ქვეყანა ინვესტორებისათვის მიმზიდველი გახდეს. თუ საგადასახადო წესები არ გამარტივდება, საქართველო ჩაითვლება „ძვირ“ ქვეყანად და მას სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის დაკარგვა ემუქრება, — თქვა მან.

### სემინარი ტურიზმის განვითარებას ეძღვნება

გერმანული სამთავრობო ორგანიზაციის „გამოცდილების განვითარების საერთაშორისო ფონდის“ („ინვენტი“) ფინანსური მხადრაჭერით თბილისში, კავკასიაში ეკოტურიზმის განვითარების 10-დღიანი სემინარი ტარდება.

როგორც „ინტერ-პრესს“ აღნიშნული ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „მდგრადი ტურიზმის ცენტრის“ დირექტორმა ვანო ვაშაყმაძემ განუცხადა, — სემინარი საქართველოში სამთო ტურიზმის განვითარებას, ეროვნული პარკების დაცვასა და მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს. მასში მონაწილეობას საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლობა იღებს.

### დაიწყო სარეაბილიტაციო პროგრამა

საუკეთესო მებრძოლები, ფიზიკურად მომზადებულები, მორალურად მტკიცენი და შესანიშნავი დიპლომატები — ასე შეაფასა კოსოვოს სამშვიდობო ჯარების ქართული ოცეული იტალიელმა მეთაურმა, რომელმაც მათ ქართული დროშის აღმართვის უფლება მისცა, - აღნიშნა თავდაცვის სამინისტროს აპარატის უფროსმა, გენერალმა ალექსანდრე მჭედლიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში. მან განაცხადა, რომ დაიწყო ჯარიდან დათხოვნილი ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების სარეაბილიტაციო (დასაქმების) პროგრამა, რომლის თანახმადაც წელს პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ინგლისელ კოორდინატორებთან ერთად მსურველებს შეეძლებათ, ისწავლონ კომპიუტერზე მუშაობა, მომავალში კი გათვალისწინებულია უცხო ენების შესწავლაც.

### 12 ტაძარს აღადგენენ

იმერეთის ახალგაზრდობის სახელმწიფო დეპარტამენტის სამხარეო სამმართველო იმერეთში არსებული ქართული ეკლესიის ხუთივე ეპარქიის ლოცვა-კურთხევით, ერთი წლის განმავლობაში, რეგიონში 12 ტაძარს აღადგენს.

მხარის ახალგაზრდობის ლიდერის ზვიად შანიძის განცხადებით, სტუდენტებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ საჩხეურში მაცხოვრის აღდგომისა და ხარაგაულის რაიონის სოფელ ხიდში აგებული წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების აღდგენა უკვე დაიწყეს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „ინტერ-პრესმა“.**

ზნეობა

# ქართველის სახელი სათრევ-სალანძღავად არავის გავუხადოთ

**ქართველის ბუნებას ოდითგანვე სინდისი, პატიოსნება განსაზღვრავდა. ასე მოვედით აქამდე, და თუ დღეს სული და გული კიდევ შეგვრჩენია, გვეყო საკუთარი ბედის სხვაზე მიგდება. დროა, თავს ჩვენვე ვუპატრონოთ, გასაჭირი და ტკივილი ჩვენვე დავიამოთ, მომავალი თავად განვჭვრიტოთ, რომ ქართველის სახელი სალანძღავ-სათრევად არავის გავუხადოთ. ამაზე ყველამ უნდა ვიფიქროთ, რადგან ერის ტრაგედია თითოეული ადამიანის უბედურებიდან მოდის, ქვეყნის ბედს ხომ ჯანმრთელი საზოგადოება განსაზღვრავს, რომელიც, თავისთავად, უნდა ზრუნავდეს მომავალი თაობის როლსა და მნიშვნელობაზე.**

**„ხე ნაყოფით შეიცნობაო“ — ნათქვამია და ასეცაა. საზოგადოება ყოველთვის ელის ახალ თაობას, ამიტომ იგი განსაკუთრებულ მოპყრობას ითხოვს. მომავალი დიდი ძალაა, რომელსაც სწორი მიმართულება (და არა მართვა) სჭირდება, რადგან გავა დრო, და ახალი თაობა აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს.**



დღეს საზოგადოებრიობა მრავალი შემაშფოთებელი პრობლემის წინაშე დადგა. სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების გადაფასებამ დიდი სატკივარი წარმოშვა. დღითი დღე კატასტროფულად ვრცელდება ნარკომანია, პროსტიტუცია, ძალადობა, სქესობრივი გაუკუღმართების სხვადასხვა ფორმები და ა. შ. სავალალოა, რომ ამ პროცესებს ვერც ჩვენი ქვეყანა ასცდა. მათ წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო და უფრო რთულდება, მიზეზი მრავალია, მათ შორის — ძლიერი პროპაგანდისტული მასმედიის საშუალებათა მუშაობა. ტელევიზია, რადიო, პრესა არ ერიდება უამრავი ბინძური პროდუქციის გაშვებას; პორნოგრაფია, სექსუალური ძალადობა, პათოლოგიური გადახრები თავისუფლად ტრიალებს ჩვენს ცისფერ ეკრანებზე, ეს დამღუპველი იდეოლოგიაა ერისთვის.

სამართლებრივ სახელმწიფოში ორი პრინციპი უნდა მოქმედებდეს: ერთი მხრივ, მასმედიის თავისუფლება და პიროვნების არჩევანის თავისუფლება, მეორე მხრივ, — მასმედიისა და პიროვნების პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და კანონის წინაშე. სამწუხაროდ, არჩევანის თავისუფლება, ხშირად, ცალმხრივად მოიაზრება. კერძოდ, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება მოიწონოს და მიიღოს საზოგადოებაში დამკვიდრებული რომელიმე ზნეობრივი ნორმა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ არსებობს მეორე მოქალაქე, რომელსაც ასევე აქვს უფლება არ მიიღოს იგივე ნორმა. აქედან გამომდინარე, ყოველი მშობელი უფლებამოსილია არ სურდეს, რომ მისი არასრულწლოვანი შვილი ასაკისთვის შეუფერებელ ინფორმაციას ფლობდეს.

განვითარებულ ქვეყნებში ამ ამოცანის გადაჭრა სახელმწიფოებრივ დონეზე ხდება და კანონმდებლობით რეგულირდება. **რა ხდება ამ მხრივ საქართველოში? როგორ დავიცვათ საზოგადოება და მომავალი თაობა მავნე ზეგავლენათაგან?** აღმოჩნდა, რომ საკითხის სიმწვავე, თავიდან, მხოლოდ ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგთა კავშირსა და საქართველოს საპატრიარქოს აღელვებდა. მათ არაერთგზის მიმართეს შესაბამის ინსტანციებს, მაგრამ ამაოდ.

შარშან, გაზაფხულზე, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში სკოლების ხელმძღვანელთათვის სემინარები ჩატარდა თემაზე — ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია. ლექციაზე „ცხოვრების ჯანსაღი წესი“ ითქვა მოსწავლეთა სექსუალურ „გაუთვითცნობიერებლობაზე“ და სკოლების დირექტორებს რეკომენდაცია მიეცათ ბავშვებისათვის კონტრაცეპტივებითა და დამცავი საშუალებებით სარგებლობა ესწავლებინათ (უხერხულია, მაგრამ მაგალითისათვის: პრეზერვატივის დემონსტრაციულად წამოცმა ბანანზე და ა. შ.) დამეთანხმებით, უმსგავსობაა ამგვარი საქციელის ჩადენა გაკვეთილზე საკლასო ოთახში. შარშან, ოქტომბერ-ნოემბერში განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილ სასკოლო წიგნების გამოფენაზე, „დამხმარე სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოების კატალოგში“ წარმოდგენილი იყო გამომცემლობა „დიოგენეს“ წიგნი — „მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ“. რომელიც განათლების სამინისტროს მიერაა დამტკიცებული. როდესაც გაირკვა წიგნის აშკარა გარყვნილი შინაარსის შესაძლებლობა, რომელიც მოსწავლეებში უზნეობის პროპაგანდას ეწეოდა, თავი იმით იმართლეს, რომ სახელმძღვანელოს სამინისტროს გრიფი არა აქვს. დავიჯეროთ, რომ ეს შემთხვევითობის ბრალია, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ჩატარდა მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის გამოკვლევა, გაზეთ „ახალ განათლებაში“ (რომელიც განათლების სამინისტროს ორგანო გახლავთ) დაიბეჭდა მეორე, არანაკლებ საგანგაშო, ამერიკელი ავტორის რუთ ბეილის წიგნიდან „ცვლილებები სხეულში: ცვლილებები ცხოვრებაში“ სატიტულო ფურცელი. სადაც დეტალურადაა აღწერილი ყველანაირი სახეობის პათოლოგიური ქცევები, ძალადობის შესაძლო ვარიანტები და რჩევები. წიგნში განზოგადებულად არის მოყვანილი მაგალითები ამერიკული ოჯახების ტრაგიკულ მოვლენებზე; არადა, ამერიკამ, დიდი ხანია დაიწყო ბრძოლა სექსუალური თავისუფლების წინააღმდეგ, რადგან მათ პრაქტიკულად საკუთარ თავზე იწვნიეს საყოველთაო აღვირახსნილობის, ამორალურობის პროპაგანდის შედეგები.

აღნიშნულ წიგნებთან დაკავშირებით. პედაგოგთა კავშირმა (თავმჯდომარე დარეჯან ხაჩიძე) საპროტესტო აქცია მოაწყო დევიზით „ყველანი ზნეობის დასაცავად“. აქციაში არასამთავრობო ორგანიზაციებიც მონაწილეობდნენ. მათი სახელით მიმართვა გაეგზავნათ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს, ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა პედაგოგთა და მშობელთა სარჩელის საფუძველზე, რომელიც დაკვირვებით განიხილეს და შეისწავლეს, დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და ამ წიგნებს „არასრულწლოვანებზე მავნე ზეგავლენის“ მომხდენი კატეგორია მიენიჭეს. არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე აიკრძალა არასრულწლოვანთათვის მისი მიყიდვა და სარეალიზაციოდ გადაცემა. ამდენად გამომცემლობა „დიოგენეს“ უნდა ჰყოფნიდეს სინდისი, (თუ აქვს), რომ აღარ „გაასაღოს“ საკუთარი ბინძური პროდუქცია. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის 11-14 ივნისს გამართულ თბილისის V წიგნის ფესტივალზე (რომელსაც ახალი მემარჯვენეებიც აფინანსებდნენ) კვლავ წარმოდგენილი იყო აკრძალული გამოცემები. ამ ფაქტთან დაკავშირებით სატელეფონო ზარიც გაისმა, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის კითხვაზე, აპირებდა თუ არა ჩივილს პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონმა დარეჯან ხაჩიძემ უარით უპასუხა. ეს მათი დაწყნარების გარანტი გახდა და მას შემდეგ არც არავის შეუწუხებია თავი.

თუმცა, დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ, ხმა აიმაღლა უზნეობის წინააღმდეგ განათლების სამინისტრომაც (საინტერესოა, ბოლოს და ბოლოს რამ დაუფრთხო მას „საღათას ძილი“).

დღემდე უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია და ცალკეული პირები იბრძოდნენ ზნეობის დამკვიდრებისათვის. სასიხარულოა, როდესაც განათლების მინისტრის მოადგილემ რუსუდან გორგილაძემ საპატრიარქოში გამართულ პრესკონფერენციაზე, ყველას აღუთქვა მხარდაჭერა და გაერთიანებისკენ მოუწოდა საზოგადოებას არასრულწლოვანთა ღირსეული აღზრდისა და განვითარების საპასუხისმგებლო საქმეში (გაერთიანება მოხდება საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის ირგვლივ). მან განათლების სფეროს უპირველეს კრიტერიუმად ზნეობა დაასახელა და გამოხატა თანადგომა ყველასთან, ვინც ამ საკითხით არის დაინტერესებული. კანონის „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ აღსრულებაზე ზედამხედველობა დაკისრებული აქვს ახალგაზრდობის სახელმწიფო დეპარტამენტს. მაგრამ, რეალობიდან გამომდინარე, საჭიროა უფლებამოსილების გაფართოება და მასში საზოგადოების ფართო ფენების აქტიური ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ახალგაზრდობის ჩამოყალიბებას.

საბედნიეროდ, დღითი დღე იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ხმას იმაღლებენ საქართველოში გამეფებული უზნეობის წინააღმდეგ. მათ რიცხვში პირველი განათლების სამინისტრო უნდა მოიაზრებოდეს, რომლის მთავარი მიზანი, დანიშნულება და მოვალეობა ქვეყნისთვის ღირსეული მემკვიდრის აღზრდაა.

**ეთერ საბანაშვილი.**

სიტუაცია

# მზად ვართ თანამშრომლობისთვის

## საქართველოს კონტროლის პალატის განცხადება

საქართველოს კონტროლის პალატის — საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს საქმიანობის მიზნები, ფუნქციები და უფლებამოსილება საქართველოს კონსტიტუციით „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით არის განსაზღვრული.

ამდენად, სხვადასხვა უწყების წადილი, რომ აღნიშნულ საკანონმდებლო აქტებში კონტროლის პალატისათვის უფლებამოსილებათა შეზღუდვის ხარჯზე შეიტანონ ცვლილებები, კონსტიტუციით მონიჭებული დამოუკიდებლობის ხელყოფის ერთგვარი მცდელობაა, რაც მავანთა მიერ მათი საქმიანობის გამჭირვალობის დაფარვის სურვილითაა განპირობებული. სამწუხაროდ, ასეთ ცვლილებათა პროექტებს, ხშირად, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციების არასწორი ინტერპრეტაციებით ხსნიან.

ვაცხადებთ, რომ თუ ჩვენი საქმიანობის სრულყოფისათვის რეალობა ზოგ საკანონმდებლო ცვლილებას მოითხოვს, ასეთი წინადადებები, უწინარესად, საქართველოს კონტროლის პალატასთან ერთად უნდა იყოს განხილული. ყოველთვის მზად ვართ თანამშრომლობისათვის.

**საქართველოს კონტროლის პალატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიურო.**

გაზეთის იუბილე

# „კოლხეთი“ 80 წლისაა

რვა ათეული წელიწადია, სენაკის რაიონული გაზეთი „კოლხეთი“ მართალ სიტყვას ემსახურება, ხალხის გვერდით დგას და მათს სიხარულსა თუ ტკივილს იზიარებს. ამ ხნის განმავლობაში ჟურნალისტთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს ქვეყნის სადიდებლად მრავალი კარგი საქმე უკეთებიათ. შეიძლება ითქვას, რომ „კოლხეთმა“ მრავალ ქართველს გაუძლო და პირნათელი წარსდგა თავის იუბილეზე.

გაზეთის დაარსებიდან 80 წელთან დაკავშირებით სენაკში საზეიმო საღამო გაიმართა. „კოლხეთის“ მიერ განვლილ სახელოვან გზაზე ილაპარაკა მისმა მთავარმა რედაქტორმა, შპს „საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორმა თამაზ კანკიამ.

საიუბილეო საღამოზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მწერალი ბორის დავითაია, პროფესორი გული ცეკვავა, სენაკის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, „კოლხეთის“ ყოფილი რედაქტორი მამანტი ქვარცხავა, სტამბის დირექტორი გურამ გიგიბერია და სხვები. იუბილარი გაზეთის თანამშრომლებს ფასიანი საჩუქრები გადასცეს სენაკის აეროპორტის, გაზეთ „მრწამსის“ რედაქციის, საზოგადოების განვითარების რაიონული ასოციაციის, საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენლებმა და ქალაქის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ტარიელ კოხიამ.

კოლხეთელებს იუბილე მიულოცა სენაკის რაიონის გამგებელმა გურამ მისაბიშვილმა, რომელმაც გაზეთის რედაქციის თანამშრომლები თითო თვის ხელფასით დააჯილდოვა, ბატონი თამაზ კანკია კი სენაკის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

**იოსებ გოგბერია,**
„სრ“ საკ. კორ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ოჯახი

# ამ სვლას ჩვენ ვერც შევაჩერებთ და ვერც დავაჩქარებთ

ვსწავლობდი თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში, შეიძლება ითქვას, რომ ბუნებით ჰუმანიტარი ვარ, თავისუფალი აზროვნება და მისი გამოხატვა ჩემში, ალბათ, თავისთავად არსებობდა. ყოველთვის მეხერხებოდა წერა. ქართულ ენასა და ლიტერატურას ქალბატონი თამარ ბურჯანაძე მასწავლიდა. ალბათ, ბედი უნდა გქონდეს, რომ ასეთ ადამიანთან ურთიერთობის ბედნიერება გხვდეს წილად. იგი ინდივიდუალურ, იმპროვიზებულ და ინტუიტიურ აზროვნებას მასწავლიდა.

1976 წელს სკოლა დავამთავრე და, იმავე წელს, ჩავაბარე მისაღები გამოცდები სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, არაბულზე. მისაღებ გამოცდაზე თავისუფალი თემა დავწერე. „შპარგალკის" გამოყენება გამორიცხული იყო. კომისიის თავმჯდომარე მზექალა შანიძე გახლდათ და მისი ყველას ეშინოდა. გამოცდის წინ ისე ვინერვიულე, რომ სიცხე მომცა, მაგრამ თემა კარგად დავწერე და ხუთიც მივიღე.

**— რატომ ჩააბარეთ ამ ფაკულტეტზე, დაინტერესებული იყავით აღმოსავლური, არაბული კულტურით?**

— რა თქმა უნდა, აღმოსავლური კულტურით, არაბული სივრცით და სამყაროთი დაინტერესებული ვიყავი, მაგრამ, როგორც ჩანს, არჩევანი ნაჩქარევად მივიღე. სკოლის პერიოდში ბევრს ვკითხულობდი ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვან ლიტერატურას და, ალბათ, გადაწყვეტილებაც ამან მიმაღებინა — პირველი კურსის დახურვის შემდეგ, ჩავაბარე გამოცდა განსხვავებულ საგანში, ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში და გადაველი დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ინგლისურზე. ამ დროიდან დავიწყე ინგლისურ ლიტერატურაში მუშაობა. თავიდან ედგარ პოზე ვმუშაობდი, მაგრამ შემდეგ ცნობილ ირლანდიელ მოდერნისტ პოეტ უილიამ ბათლერ იეითსზე შევჩერდი, მის შემოქმედებაზე დავიცავი დიპლომი და შემდეგ, განვრცობილი სახით, დისერტაცია, რომელიც კონკრეტულად ამ პოეტის შემოქმედებისა და, ზოგადად თანამედროვე მოდერნისტული ხელოვნების არა მხოლოდ ლიტერატურულ-კრიტიკულ, არამედ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ანალიზს წარმოადგენდა.

სტუდენტობის ხანაშივე გამოვეცით „პოეტური ხატის მემკვიდრეობითობა", წიგნი, რომელიც XVII საუკუნის ცნობილი ინგლისელი პოეტის ჯონ დონის, უილიამ ბათლერ იეითსისა და თომას სტენს ელიოტის შემოქმედებას ეხებოდა და რომელსაც სამი ავტორი — ზურაბ ქარუმიძე, მე და თემურ კობახიძე ჰყავდა. წიგნი საინტერესო გამოვიდა იმ თვალსაზრისით, რომ წინა საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისთვის საკმაოდ თამამ, გაბედულ იდეებს ვანვითარებდით...

**— ეს თამამი ნაბიჯი როგორ მიიღო საზოგადოებამ?**

— საზოგადოებამ, მე მგონი, დადებითად მიიღო. ეს 1981 წელი იყო, როცა სიახლის, ცვლილებათა აუცილებლობაზე ყველა, ჩუმად მაინც ლაპარაკობდა.

ამის შემდეგ, ჩემი ლიტერატურულ-ესთეტიკური დაკვირვებანი უკვე ფილოსოფიურ მუშაობაში გადაიზარდა. პრაქტიკულად, მთლიანად გადავერთე და დასავლური ფილოსოფიის ისტორიის შესწავლა დავიწყე. ხელმძღვანელობა, შეიძლება ითქვას, ცნობილმა ფილოსოფოსმა გურამ თევზაძემ გამიწია. იმანუელ კანტით, ჰაიდეგერით, შემდეგ უკვე ნეოკანტიანიზმით — ერნსტ კასირერითა და, განსაკუთრებით, ფრანგი ანრი ბერგსონით — ინტუიტივიზმისა და სიცოცხლის ფილოსოფიის ავტორით — დავინტერესდი. ამ დროს XX საუკუნის პირველი მეოთხედის ლიტერატურასა და ხელოვნებასაც უკვე კარგად ვიცნობდი.

შემდგომ ეტაპზე ტექნოლოგიური პროცესების და მათი საზოგადოებაზე ზემოქმედების კვლევა დავიწყე. მოვამზადე რამდენიმე სტატია (მაგ. „ტექნოლოგიური მითი და თანამედროვე აზროვნება"), მაგრამ ახლა ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ბერგსონს ნაშრომებში, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ჰქონდა მინიშნებები დღეს ესოდენ „პოპულარულ" გლობალიზაციასა და მისი თანამდევი პრობლემების შესახებ. თუ

„ხმამაღლა ნათქვამად" არ ჩამომართმევთ, ვიტყვი, რომ ეს ნააზრევი მე იმავე საუკუნის მიწურულს, 80-იან წლებში განვავრცე და, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ მაშინ აღვნიშნე, რომ ეს პროცესი დაწყებულია და თანამედროვე მსოფლიო მას ვერ ასცდება! ყოველივე ამით იუნესკოც დაინტერესდა, რომლის ეგიდითაც და ჩემი ინიციატივით ამ პრობლემას სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე დიდი კონფერენცია მიეძღვნა.

**— ბატონო პაატა, გთხოვთ, საუბრის თემა დროებით შევცვალოთ და იუნესკოს, როგორც ორგანიზაციის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ მოგვითხროთ.**

— ამ თემაზე მეც მსურდა მესაუბრა. ხშირად ეშლებათ და საზოგადოებას ჩვენში ჰგონია, რომ მე იუნესკოში საქართველოს წარმომადგენელი ვარ. ეს ასე არ არის. გაეროს მთელი სისტემა (მათ შორის იუნესკოც) ორად არის გაყოფილი. არსებობს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლობები, იგივე საელჩოები, რომლებიც ორგანიზაციაში ამა თუ იმ ქვეყანას წარმოადგენენ და მათ მისიას ეძახიან და მეორე — არსებობს სამდივნო, ასე ვთქვათ კანცელარია, რომელიც შემდეგი სისტემით მუშაობს: ორ წელიწადში ერთხელ ტარდება გენერალური კონფერენცია, მტკიცდება ბიუჯეტი, რომელიც შემდეგ ნაწილდება სხვადასხვა პროგრამაზე, პროექტზე. თითოეული პროექტი პროგრამის სპეციალისტებს, კოორდინატორებს მიჰყავთ. ნებისმიერი პროექტის გატანა და დამტკიცება რთული პროცესია, მაგრამ დამტკიცების შემთხვევაში მისი განხორციელება იოლი საქმეა. დღეს იუნესკოში საქართველოს წარმომადგენელი საფრანგეთში ჩვენი ელჩი, ბატონი გოჩა ჩოგოვაძეა, მე კი იუნესკოს სამდივნოში ვმსახურობ.

იუნესკოში სამსახური ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 1990 წლის სექტემბრიდან დავიწყე. ამ დროს ჩვენში უკვე საუბრობდნენ საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიაზე, პროცესი დაწყებული იყო და დასაწყისში, იუნესკოს ეგიდით, ჩემ მიერ მომზადებული კონფერენციების (უკრაინაში, ბულგარეთში, საფრანგეთში — პარიზსა და ლიონში) თემატიკაც აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენებს ეხმიანებოდა. იმ ჯერ კიდევ ბუნდოვან და ქაოტურ დროს ყველას აინტერესებდა, თუ რას ნიშნავდა აღმოსავლეთ ევროპისთვის ახალი რეალიები, დემოკრატია და როგორ უნდა განვითარებულიყო იგი. ეს თემა, უკვე 1991-92 წლებში, ძალიან აქტუალური გახდა და ყველა ეძებდა პასუხს კითხვაზე: როგორ მოხდებოდა ინტეგრირება? როგორ წარიმართებოდა აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთის ურთიერთობები? იქმნებოდა მომავალი განვითარების სცენარები და ა. შ.

**— ალბათ, ეს თემატიკა, მეტნაკლებად, ჩვენს რეგიონსაც ეხება. თუ დაინტერესებულა იუნესკო სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებითა და იმ გრანდიოზული პროექტებით, რომლებიც დღეს ჩვენში ხორციელდება?**

— იუნესკო წმინდა პოლიტიკური საკითხებით არ არის დაკავებული, ეს სხვა ორგანიზაციების ფუნქციაა, მაგრამ ეკონომიკური საკითხები, იდეოლოგია, ადამიანთა უფლებების დაცვა, ზოგადად საზოგადოების განვითარება მის ინტერესს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, ჩვენში მიმდინარე პროცესებსაც თვალყურს ადევნებს. იმ გრანდიოზული პროექტებით, რომელიც თქვენ ახსენეთ, ცოტა მოგვიანებით, 1994-95 წლებში დაინტერესდა.

მანამდე კი, პირადად მე, კვლავ ინტეგრაციის საკითხებს ვუტრიალებდი. აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების პარალელურად დასავლეთშიც გარდამავალი სიტუაცია იყო: მიმდინარეობდა გერმანიის გაერთიანება და სხვ. ამ თემაზე რამდენიმე კონფერენცია მოვამზადე და ჩავატარე იტალიაში. ერთ-ერთი კონფერენციის თემა გახლდათ „ახალი ტექნოლოგიები და დემოკრატია", რომელიც ისევ გლობალიზაციის თემას უკავშირდებოდა. მას შემდეგ, რაც კომპიუტერი ჩვეულებრივ სამუშაო იარაღად იქცა და მისი მეშვეობით მსოფლიომ „დაპატარავება" დაიწყო, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობების კონტექსტში — ტექნოლოგიები და დემოკრატია — ძალიან საინტერესო და აქტუალურ თემად მივიჩნიეთ. ამ კონფერენციაზე გაჩნდა იდეა, შეგვექმნა სისტემა, კომპიუტერიზებული ქსელი, რომლის მეშვეობითაც აღმოსავლეთ ევროპის მთავრობებს, პარლამენტებს და ა. შ. საშუალება მიეცემოდათ მიეღოთ პასუხი და რეკომენდაცია ქვეყნის განვითარების და სხვაგან მიმდინარე მათთვის საინტერესო პროცესების შესახებ.

**— რეკომენდაციის მიცემა ცოტა ძნელი და სათუო საქმეა, თუ არ იცნობ ამა თუ იმ რეგიონს, ქვეყანას, მის კულტურას...**

— მართალი ბრძანდებით. პროექტი ითვალისწინებდა იუნესკოს ხელმძღვანელობით ყველა ქვეყანაში ე. წ. ცენტრების გახსნას, რომელიც ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდებოდა და რომელთა მეშვეობითაც მოხდებოდა იუნესკოსთან ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. რა თქმა უნდა, საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტიკის უფლება არ მაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ამან განვითარება ვერ ჰპოვა. მიზეზი კი დაფინანსებაა. იუნესკო მდიდარი ორგანიზაცია არ არის, სახსრების საკითხი საკმაოდ რთულად დგას. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ყოველი პროექტის განხორციელებისთვის ისიც სპონსორს ეძებს, რაც საკმაოდ რთული პროცესია.




ერთ კონკრეტულ შეხვედრას გავიხსენებ: 1995 წელს, ჰარარეში, იუნესკოს ეგიდით, არატრადიციული ენერგეტიკისადმი მიძღვნილი დიდი სამიტი ჩატარდა. ამ კონფერენციაზე ჩვენ მიერ წარდგენილმა, საქართველოში, ვარძიაში, „მზის სოფლის" (რომელიც მთლიანად არატრადიციული ენერგეტიკით დაკომპლექტდებოდა) მშენებლობის პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, პროექტი განუხორციელებელი დარჩა.

კიდევ ერთი საინტერესო თემა: 1992 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარდა გაეროს კონფერენცია მდგრადი განვითარების შესახებ. მასში წამყვანი ქვეყნების პირველმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა. ამ კონფერენციის ძირითადი თემა ბუნების დაცვა, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა იყო და ეს ტერმინიც — „მდგრადი განვითარება" — ამის შემდეგ შემოვიდა ხმარებაში. ჩვენი ინიციატივით „მდგრადი განვითარება", რომელიც მხოლოდ ეკოლოგიურ საკითხებს ეხებოდა, გაფართოვდა და ადამიანთა ურთიერთობების, კულტურის, რელიგიის, ისტორიის და სხვ. საკითხებიც მოიცვა, რითაც გაცილებით უფრო კომპლექსური და საინტერესო გახდა. მას საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს.

დღეს ჩემი ინტერესის საგანი, სფერო, რომელზეც ვმუშაობ, გლობალიზაციაა. თუ უფრო დავაკონკრეტებ, საქმე ეხება ჰანთიგთონის თეორიას „ცივილიზაციათა შეჯახება" — და მის საწინააღმდეგო მოსაზრებას „კულტურათა დიალოგს". თუ დღევანდელ სამყაროს გადავავლებთ თვალს, მუსულმანურ და ქრისტიანულ სამყაროთა დაპირისპირებას ანუ „ცივილიზაციათა შეჯახებას", განსაკუთრებით 11 სექტემბრისა და ერაყის მოვლენების შემდეგ, აუცილებელია „კულტურათა დიალოგი" დაუპირისპირდეს.

ერთი რამ ცხადია: დიქტატორული რეჟიმები აღარ უნდა არსებობდეს! ბუნებრივია, მიამიტი არავინაა და გვესმის, რომ ერაყის მოვლენების ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი ნავთობი და ზოგადად ეკონომიკაა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ამერიკისთვის ეს კონფლიქტი, უპირველეს ყოვლისა, დიქტატურასთან შეურიგებლობის გამოხატულება იყო. ამერიკისთვის დემოკრატია უპირველესი ღირებულებაა. ბოლო წლებში ევროპაში განვითარებული მოვლენებიც (ბალკანეთში) ამერიკელთა დახმარებით არ მოგვარდა? ჩვენს მხარდაჭერასაც ამერიკისადმი სრულიად გამართლებული მოტივი ჰქონდა, რადგან მიმაჩნია, რომ მომავალი მსოფლიოს მოდელი ამერიკული დემოკრატიაა.

**— ბატონო პაატა, თქვენ საზღვარგარეთ ცხოვრობთ და იქიდან ადევნებთ თვალს სამშობლოში მიმდინარე მოვლენებს...**

— აქაურ სიტუაციას რომ ვუყურებ, ნამდვილად გულსატკენი მდგომარეობაა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ხანდახან უფრო ობიექტურად ვაფასებ, ვიდრე აქ მცხოვრები ქართველი. მესმის, როცა უამრავი პრობლემა გაქვს, როცა ელემენტარული ყოფითი პრობლემები მოუგვარებელია, როცა ადამიანი გათბობაზე, შუქზე და გაზზე ფიქრობს, ნაკლებმნიშვნელოვნად ეჩვენება ის სამომავლო უზარმაზარი კონცეფციები და პროექტები, რაც, დღესდღეობით, საქართველოს განვითარებისთვის იქმნება და კეთდება. მაგრამ განა იგივე გზა — სიმძიმე, სიდუხჭირე არ გაიარა ევროპამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ? ამ სვლას ჩვენ ვერც შევაჩერებთ და ვერც დავაჩქარებთ.

**— და დღეს, ყოველივე ამის სათავეში, მამათქვენი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დგას. ბანალურ „ტრადიციულ" კითხვას არ დაგისვამთ, უბრალოდ, ვისაუბროთ თქვენს ურთიერთობაზე.**

— ალბათ, უპრიანია ბავშვობით დავიწყოთ, რაც თავი მახსოვს, მამაჩემი სულ დიდი კაცი იყო და, რომ გითხრათ, თავისუფლებით გათამამებული ვიყავი, თქო, ნამდვილად არ ვიქნები მართალი. მას ჩემთვის არასოდეს მიუთითებია, რა როგორ უნდა მეკეთებინა, ეს დედის ფუნქცია უფრო იყო. მამაჩემის ერთი გამოხედვა, ერთი სიტყვა და უკვე ვიცოდი რა იყო საჭირო და რა არა. დედას კი ერთი-ორჯერ შემოურტყამს კიდეც ბავშვობაში. მანანას და მე იგი გვზრდიდა, მამა, ძირითადად, სამსახურში იყო. მომვლელი ქალი ჩვენ არ გვყოლია, ოჯახის მოვლა-პატრონობას დედა უძღვებოდა, და ამავე დროს, მას სხვა დიდი ტვირთიც აწვა, იგი იყო უდიდესი მორალური მხარდამჭერი მეუღლისა.

სკოლაში რომ მივდიოდი დაცვა მომყვებოდა, რისიც მრცხვენოდა და ვიმალებოდი. „უცხო" კაცები მეუბნებოდნენ — შინ ამხანაგებთან ერთად კი არა, მარტო უნდა დაბრუნდე, ცალკე უნდა იარო. ამ დროს, უბრალოდ, კომპლექსდები ადამიანი, მით უმეტეს, როცა არ გესმის რატომ ხდება ასე. დღეს უკვე აღარანაირი კომპლექსი არ მაქვს იმისა, რომ მამაჩემი დიდი კაცია, პირიქით — მეამაყება.

მამა არასოდეს მზღუდავდა, არ მამძიმებდა თავისი ურთიერთობით, პრობლემებით. დღეს ჩვენ თანამოაზრეები ვართ. ის, რაც ბავშვობაში უფრო ემოციურ, ინტუიტიურ ხასიათს ატარებდა, ახლა გააზრებული მაქვს თავიდან ბოლომდე და ვამაყობ ყოველივე ამით. ასეთ პიროვნებებზე ისტორია ამბობს თავის სათქმელს. ამას ვლაპარაკობ არა როგორც შვილი, არამედ როგორც პიროვნება, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ეს ხედვა და სრულიად ეთანხმება მას.

**— თქვენ ოჯახზე რას გვეტყოდით?**

— მყავს მეუღლე და ოთხი შვილი. შვილები ჩემთვის ცხოვრების ყველაზე დიდი ღირებულებაა, თუმცა არა მგონია, ამაში ორიგინალური ვიყო. მე და ნინო ძალიან ადრე, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას შევუღლდით. ერთმანეთის გარეშე ცხოვრება ძნელად თუ წარმოგვიდგენია. იგი ინგლისური ენის სპეციალისტია. დღეს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს თანამედროვე ქართულ მხატვრობას. რამდენიმე ფრიად წარმატებული გამოფენის ავტორია. შვილებიც ჩვენ დაგვემსგავსნენ — უფროსებს, ჩვენსავით, აზროვნების ჰუმანიტარული წყობა აქვთ, უმცროსი ჯერ მხოლოდ ხუთი წლისაა, მაგრამ „თავდაუზოგავად" ხატავს.

**— ბატონო პაატა, თქვენ ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში, პარიზში გაატარეთ. მშობლიურობის გრძნობა თუ გაგიჩნდათ ამ ქალაქისადმი?**

— ცოტა უფრო ადრე ამას ასე ვერ ვიტყოდი. ახლა კი ძალიან გაორებული ვარ. თხუთმეტი წელი დიდი დროა. ძალიან შევეჩვიე იქაურობას, ჩემეული გახდა. თბილისი ხომ ჩემია, ძალიან მიყვარს, მაგრამ მონატრების გრძნობა პარიზისადმიც გამიჩნდა. როცა თვითმფრინავით ვუახლოვდები, მგონია, რომ სახლში ვბრუნდები. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრების ერთი ეტაპი ამ მშვენიერ და ულამაზეს ქალაქში გავატარე.

**— შინ, სამშობლოში დაბრუნებაზე თუ ფიქრობთ?**

— საზღვარგარეთ მდიდარი გამოცდილება მივიღე, იქ ცხოვრებამ ბევრი რამ შემძინა. ადრე თუ გვიან ყველა ქართველი უბრუნდება თავის მიწა-წყალს და მეც მათ რიცხვს მიევკუთვნები.

## „ვარკეთილის" შემოგარენს ვეღარ იცნობთ

ბოლო ათ წელიწადში დაბადებული ვარკეთილელი რომ 12 აგვისტოს დილით თავის უბნის მეტროსთან მივიდოდა, ალბათ, შეცბუნდებოდა, სხვაგან ხომ არსად მოვხვდიო. მართლაც დილის 11 საათისათვის მნახველი მეტრო „ვარკეთილის" შემოგარენს ვეღარ იცნობდა. იგი არა მარტო თავისუფლად შეძლებდა გავლა-გამოვლას, არამედ ადრე ათასგვარი ხუხულებისაგან დაბურულ ცას დაინახავდა.

ვარკეთილის მეტროს გათავისუფლების ოპერაცია დილის 6 საათზე დაიწყო, ვიდრე დაფლეთილი ფანერის, ჟანგიანი თუნუქის, დალეწილი ყუთებისა და სხვა ხარახურისაგან შეკოწიწებულ დახლებზე მოვაჭრეები თავიანთ საქონელს გამოფენდნენ. თერთმეტი საათისათვის მეტროს ტერიტორია გათავისუფლდა, სატვირთო მანქანებმა ათობით ტონა ნაგვის გაზიდვა დაიწყეს.

## ამოღებულია უაქციზო საქონელი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარმა სამმართველომ განახორციელა სპეციალური ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება, რომლის შედეგადაც მარტო 8 პირისგან ამოღებულია 10000 ლარის ღირებულების უაქციზო სიგარეტი.

ღონისძიება გრძელდება.

## თაღლითები — მახეში

პოლიციამ დააკავა რუსთავში მცხოვრები დავით ბურდულაძე, რომელსაც ჩამოართვა მის მიერვე დამზადებული ყალბი სანოტარო აქტი, შედგენილი ბადრი ჯანიაშვილის ავტომანქანის განკარგვის უფლების თაობაზე, რომელიც დამოწმებული იყო რუსთავის ნოტარიუსის მაია მეტრეველის სახელით. იმავე დღეს დააკავეს ასევე რუსთავში მცხოვრები, ბურდულაძის თანამონაწილე ნონა კილასონია, რომლის საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია სხვადასხვა სანოტარო შევსებული ბლანკები. შპს „ვობი-რუსთავის" საამქროდან კი ამოიღეს რუსთავის ნოტარიუსის მაია მეტრეველის სახელზე დამზადებული ყალბი სანოტარო ბეჭედი. გამოძიებას ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურა აწარმოებს.

## თავს დაესხნენ

რუსეთის ელჩის მდივანს საქართველოში ალექსანდრე ბალუხინს თავს დაესხნენ და თავში ბლაგვი საგანი დაარტყეს. მართალია, დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა და თავად ბალუხინმაც არ ისურვა საავადმყოფოში გადაყვანა, მაგრამ ვაკე-საბურთალოს პოლიციამ იგი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

თავდასხმის შემდეგ ჯერჯერობით დაუდგენელი პირები მიიმალნენ. პოლიცია ვარაუდობს, რომ თავდასხმა ავტომანქანა „ტოიოტის" მარკის ჯიპის მოტაცების მიზნით მოხდა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დაიწყო მოკვლევა.

## გამფლანგველი ამხილეს

იმერეთის საოლქო პროკურატურამ ტყიბულის რაიონის ენერგეტიკის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ქვანია სახელმწიფო ქონების მითვისება-გაფლანგვაში ამხილა. მან „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ტყიბულის ფილიალის დირექტორად მუშაობის დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით, უნებართვო რეალიზაცია გაუკეთა საზოგადოების ბალანსზე მყოფ ხუთ სატვირთო ავტომანქანას, რომელთა რეალიზაციიდან აღებული 1800 ლარი მიისაკუთრა.

## ქურდი დაცვის თანამშრომელი აღმოჩნდა

პოლიციამ დაცვის სამსახურის „რეინჯერის" თანამშრომელი, დიღმის მასივში მცხოვრები ზვიად ფხაკაძე იმ დროს დააკავა, როცა მან იმავე დასახლებაში მცხოვრებ თამილა მ.-ს ბინა გაქურდა.

პოლიციამ მას ნაქურდალი ჩამოართვა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „ინტერ-პრესმა".

მუზა

# ეს ჩემი ლექსი ჩემი ფიცია

**ამ გაზაფხულზე მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ქართველ და დაღესტნელ ხალხებს შორის ტრადიციული ურთიერთობის გაღრმავებისათვის და, ცხადია, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი, თანამედროვეობის გამორჩეული პოეტი და მოაზროვნე რასულ გამზათოვი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ „ოქროს საწმისის" ორდენით დააჯილდოვა!**

**... წარმოიდგენია, როგორ გაახარებდა პოეტის გულს ეს ქართული ხელგაშლილობა!..**

... გუშინდელი დღესავით მახსოვს: დავით გურამიშვილის საიუბილეოდ მოწვეულმა რასულ გამზათოვმა სცენიდან რომ თქვა: „ჩვენ ვაღიარებთ, რომ მოვიტაცეთ დავით გურამიშვილი, მაგრამ მოვიტაცეთ ქართველი თავადი, ტყვეობაში კი იგი პოეტად იქცა! ახლა დაღესტანია მისი პოეზიის ტყვე" — ენამოსწრებული კაცია და ასე ერთი ხელის მოსმით მოწმინდა ნამუსი მოთარეშე წინაპრებს...

იგივე უთქვამს ოდნავი სხვაობით პოეტ ალექსანდრე გომიაშვილისათვის, რომელსაც ეს „აღსარება" მის მიერ თარგმნილი რასულის პოემის — „საუბარი მამასთან" წინათქმაში გამოუყენებია (1974 წ. „ნაკადული").

„ჩემმა წინაპარმა ლეკებმა ერთი ქართველი თავადი დავით გურამიშვილი დაატყვევეს და ახლა ერთმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა მთელი დაღესტანი დაატყვევაო"...

ეს იყო დიდი ხნის წინათ, 50-იანი წლების დასაწყისში — ახლა სხვა დროში ვცხოვრობთ, მაგრამ მეგობრობა შორიდან იწყება!..

— „საქართველო მამაჩემის ნაამბობით შემიყვარდა, უნახავადო" — ესეც რასულ გამზათოვის სიტყვებია — სცოდნია პოეტ გამზათ წადას საქართველოს ფასი.

**„არწივი მართვეს ასწავლის ფრენას,**
**არწივის ლანდში მამაჩემს ვხედავ"**

— ამბობს მთაში, მამის ბუდისკენ მიმავალი პოეტი...

... 1955 წელს იხილა პირველად რასულ გამზათოვმა საქართველო და პირველი ხილვის ხიბლითაა შექმნილი ციკლი „ლექსები საქართველოზე", რომელშიც უმღერის კახეთს, ალაზანს, ქართველ ქალიშვილებს, წინანდლის გზაზე მიმავალს სამი ცისფერი ყვავილი აჩუქა ქართველმა ასულმა... და ისევ დაბრუნება წარსულში, როცა გაახსენდება ისევ წინაპრების მიერ გატაცებული ჭავჭავაძის ქალი — ახლა კი მის სახლში მოყვარედ მოვედიო...

... დიდი ძალაა მოყვრობა და მეგობრობა... ახლა მას „ოქროს საწმისიც" განამტკიცებს!

**„ვფიცავ მეგობრობას, — აღმოსავლური**
**ქათინაურით არ გეხუმრებით,**
**არც ქებით გაქებთ ტკბილ-სამურითო"**

— ამბობს პოეტი და განაგრძობს:

**„არა, მე ქებით არ გემალებით,**
**ეს ჩემი ლექსი ჩემი ფიცია, —**
**ქართლის ქალებო, თქვენი თვალების**
**მე დავიწყება არ შემიძლია".**

... და თხოვნა: „ახლა ერთსა გთხოვთ: — რაც აქ გითხარით, არ დამკლათ, ჩემს ცოლს არ გაუმხილოთ"... გვერდს კი ტურფა ფატიმატი უმშვენებდა.

ეს ლექსი ქართულად რასულ გამზათოვის უახლოესმა მეგობარმა ირაკლი აბაშიძემ ააჟღერა. ირაკლი აბაშიძის ასულს კი ეძღვნება ლექსი „ლეკი" (თარგმანი გიორგი კაჭახიძისა).

**„მთები ჩამორჩნენ. გზა ჭალას ვკვრის,**
**ზოგან მზე ცხრობს, ზოგან ჩრდილია...**
**ჰა, შემოვიჭერ შენს სახლში ლეკი,**
**რისთვის არ ტირი, არ გეშინია?**

**...**
**თავს დამღეროდნენ ნანად შენს**
**სწორებს**
**საქართველოში დედები მაშინ:**
**„ნანინა, შვილო, იძინე, თორემ**
**ლეკი მოვა და წაგიყვანს მთაში"...**
**...**
**შენ დაიბადე კარგ დროს, პატარავ, —**
**და შენს მშობლიურ ქვეყნის მიწაზე**
**ლეკი სტუმარი, შენს გასახარად,**
**მაღლა, ვით ვარსკვლავს,**
**ხელში გიტაცებ".**

ეს კეთილი ფიქრი შეპყრობილი კეთილი ლეკის სიტყვებია — პატარა იყო მაშინ ქალბატონი ირინე აბაშიძე — ახლა ღიმილით რომ კითხულობს ხოლმე ალბათ კეთილი ლეკის ნამღერ ნანას.

... ერთი ლექსი ჩემთვისაც მოუძღვნია მაშინ პოეტს, რომელიც პოეტებმა ხუტა ბერულავამ და თეიმურაზ ჯანგულაშვილმა გამაცნეს. ამის შესახებ მოგვიანოდ გავიგე, როდესაც რუსულ ალმანახ „მოლოდაია გვარდიაში" ამ ლექსის კოზლოვსკისეული თარგმანი გამოქვეყნდა, მერე კი ისევ ეწვია საქართველოს რასულ გამზათოვი და ამიერკავკასიის ახალგაზრდა მწერალთა საღამოზე, მშობლიურ, ავარულ ენაზე წაიკითხა ლექსი, რომელსაც პირდაპირ ჩემი სახელი და გვარი დაანათლა. მახსოვს ეს ფრაზა:

**„ნანა ღვინეფაძე, კიოხტა გიაურ"...**

რაც რუსულადაც და ქართულადაც ასე ითარგმნა: „ძვირფასო ნანა".

ქართულად ამ ლექსის თარგმანი გიორგი კაჭახიძეს ეკუთვნის (1957 წ. „რჩეული ლექსები")

**„ძვირფასო ნანა, შენი თბილისი**
**მომხიბლავია, კარგი საერთოდ,**
**მაგრამ არ მინდა ახლა მე მისი**
**მშვენიერებით დავტკბე, გავერთო".**

... და ისევ ბრგე წინაპარს ამართლებს რუსულ ვარიანტში რაქაბადინს:

**„როგორ ეცხოვრა წყნარი ცხოვრებით,**
**როგორ ჰქონოდა მას სხვა მოქცევა,**
**თუკი შესძლებდა დაუცხრომელი**
**შენამდე ბეწვის გზებით მოღწევას?!**

ეჯიბრება კიდეც წინაპრებს: „იმ დროში მეც კი საქართველოდან გავიტაცებდი განთქმულ ლამაზებს... ლექსი ასე მთავრდება:

**თვალციმციმები, ცხენზე გაკრული**
**იმ ჩემს წინაპრებს მიჰყავდათ მთებში,**
**მიტომ არიან ალბათ განთქმული**
**დაღესტნელები ქართული ვნებით".**

აი, ასეთი გულითადია პოეტის სიტყვა. სწორედ ამ გულითადობისათვის შეიყვარეს იგი ქართველმა პოეტებმა, საპასუხოდ ლექსებიც უძღვნეს, მანაც არ დააკლდა და ირაკლი აბაშიძეს მშვენიერი ლექსი აჩუქა, რომლის თარგმნაც ბატონმა ირაკლიმ მე მთხოვა — ვთარგმნე თუ არა, ტელეფონში წავუკითხე — მომიწონა, დაიბეჭდა კიდეც. ამ მეგობრობის ძალით შეიქმნა ალი ისაევ-ავარსკის, მისი ვაჟის ბექას და უდროოდ დაღუპულ მზია იაშვილის ფილმი „საქართველო და დაღესტანი — მიზიდულობის ფორმულა", რომელშიც ფილმის გმირი ისევ და ისევ გულითადად აღიარებს — საქართველო მესიზმრებაო. (ფილმში მეც ვმონაწილეობ, როგორც პოეტის ერთ-ერთი მუზა).

კეთილი იყოს ეს სიზმრები.

რასულ გამზათოვი.

იოსებ ნონეშვილი, გრიგოლ აბაშიძე, რასულ გამზათოვი.

P. S. **თბილისელმა ინჟინერმა და ხელმარჯვე კაცმა შალვა ბაბუხადიამ, რომელიც დიდი ხანია ძვლისგან ძერწავს მცირე ქანდაკებებს, ახლახან რასულ გამზათოვის პორტრეტი შექმნა. გთავაზობთ ამ ბარელიეფის ფოტოს. მეორე სურათზე კი წარწერა ალბათ ზედმეტიცაა, — მაგრამ მომავლისათვის საჭირო. რასულ გამზათოვი (მარჯვნივ) იოსებ ნონეშვილთან და გრიგოლ აბაშიძესთან ერთად.**

**ნანა ღვინეფაძე,**
2003 წლის მარიამობისთვის 1.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# მიწვევა ტენდერზე

**1. ქ. თბილისის მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს განათლების ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტებია:**

ა) 98-ე სკოლის და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის მშენებლობა ისანი-სამგორის რაიონში, მარტყოფისა და ნასაკირალის ქუჩებს შორის (ორივე დაწესებულების საერთო საორიენტაციო ფართია – 4000 კვ.მ.);

ბ) ერთ შენობაში განთავსებული საბავშვო ბაღისა და სკოლის მშენებლობა ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის IV მ/რაიონში (№1 საბავშვო ბაღის დაუმთავრებელი შენობის ადაპტაცია-რეკონსტრუქციის შემდეგ).

2. მიწოდების სასურველი ვადაა: – **2004 წლის დეკემბერი.**

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე **2003 წლის 27 აგვისტოს 10 სთ-დან 29 აგვისტოს 17 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი მ. კოსტავას I შეს. № 33, III სართული.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**4.3. ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის:**

ა) ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შესახებ;

გ) ინფორმაცია სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ;

დ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

ე) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (იურიდიული პირისათვის – უკანასკნელი ერთი წლის დამოწმებული ბალანსის ჩათვლით).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2003 წლის 1 სექტემბრის 10 სთ-დან, 3 სექტემბრის 17 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, მ. კოსტავას I შეს. № 33, III სართული.**

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა (შესყიდვის ობიექტების მიხედვით).

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **ნოდარ ქვანია** – კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახურის მთავარი ინჟინერი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, **მალხაზ ბაღაშვილი** – ეკონომიკური განყოფილების უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი, მისამართზე: **კოსტავას I შეს. № 33, III სართული. ტელეფონი: 92-07-80. 92-07-86.**

**სატენდერო კომისია.**

## ქ. თბილისის მერიის „არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის"

# განცხადება

ქ. თბილისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნის და მოქალაქეთათვის საერთო წილად საკუთრებაში გადაცემის მიზნით საქართველო-გერმანიას შორის მიწის მენეჯმენტის სფეროში ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის (GTZ) ფარგლებში მომზადდა და ქ. თბილისის მერიის „არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურს" გადაეცა შემდეგი საცდელი ქალაქმშენებლობითი პროექტი:

**1. დიდი დიღომი II მ/რ;**
**2. გლდანის მასივი I მ/რ;**
**3. მ/ს „ღრმაღელეს" მიმდებარე ტერიტორია;**
**4. მ/ს „ისნის" მიმდებარე ტერიტორია;**
**5. მ/ს „გოცირიძის" მიმდებარე ტერიტორია (ვაჟა-ფშაველას და ალ. ყაზბეგის გამზირებს შორის);**
**6. დიღმის მასივი IV კვ.**
**7. ვაჟა-ფშაველას VII კვ.**
**8. ვარკეთილი, ზემო პლატო II მ/რ;**
**9. ნუცუბიძის პლატო IV კვ;**
**10. ვაზისუბანი II მ/რ;**
**11. ჩარგლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია;**
**12. წყნეთის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია;**
**13. ყიფშიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია;**
**14. ჩოლოყაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია;**
**15. დავით აღმაშენებლის გამზ. მიმდებარე ტერიტორია (შეროზიას და მარჯანიშვილის ქ.).**

სამუშაო შესრულდა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის № 878 (საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის №49 2002წ. ბრძანება „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის შესახებ") და ქ. თბილისის საკრებულოს № 8-2 20.05.03 გადაწყვეტილების (ქ. თბილისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების ამ სახლში მცხოვრებ მოქალაქეთათვის საერთო წილად საკუთრებაში გადაცემის ღონისძიებების ჩატარების შესახებ) საფუძველზე.

– აღნიშნული მასალის გასაცნობად და განსახილველად მოსახლეობას შეუძლია მიმართოს შესაბამისი რაიონის არქიტექტურულ განყოფილებაში განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში.

**საკონტაქტო ტელეფონები:**
**მთაწმინდა-კრწანისი 99-05-82;**
**დიდუბე-ჩუღურეთი 95-93-25;**
**გლდანი-ნაძალადევი 62-96-95;**
**ვაკე-საბურთალო 33-47-51;**
**ისანი-სამგორი 71-45-23.**

**ტელეკომპანია „იმედი" გთავაზობთ**

# სატელევიზიო თოქშოუ „არჩევანი – თქვენ"




**„თავისუფლება არჩევანის შესაძლებლობებით განისაზღვრება. ადამიანის ცხოვრებაც განუწყვეტელი არჩევანის გზით და ფორმით მდინარებს. არჩევანს ახლავს განსჯა. განსჯას კი პასუხისმგებლობა. ეს ყოველივე ნების გამოვლინებაცაა".**

**ჯანრი კაშია.**

არჩევანის საშუალება ყოველთვის გვაქვს, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში ადვილი არჩევანი არ არსებობს, – ასეთია ყოველკვირეული თოქშოუს **„არჩევანი – თქვენ"** დედააზრი, ეს არის პირველი თოქშოუ საქართველოში, რომელიც ზნეობრივ საკითხებს ეხება. ავტორი და მასპინძელია – ფილოსოფოსი, მწერალი და ჟურნალისტი **ჯანრი კაშია,** რომელიც სტუდიაში მოწვეულ აუდიტორიას სთავაზობს ცხოვრებისეულ მძაფრი ფსიქოლოგიური და ზნეობრივი კოლიზიის შემცველ კინოთემას, რომელიც გმირს აუცილებელი არჩევანის წინაშე აყენებს. კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი დილემა დღევანდელობის ყველაზე მტკივნეულ სოციალურ და კულტურულ პრობლემებს ეხმიანება. სწორედ ეს თემატური კოლიზია ხდება ის საბაბი, რომელიც საინტერესო მსჯელობას, ცხარე კამათსა და დაძაბულ დისკუსიას იწვევს სტუდიაში, ტელემაყურებელს კი ზნეობრივ, ყოფით და ეთიკურ პრობლემებზე ფიქრისთვის განაწყობს.

**ავტორი და მასპინძელი – ჯანრი კაშია.**
**პროგრამის ხელმძღვანელი – ქეთევან კაპანაძე.**
**რედაქტორი – თამარ ებრალიძე.**

# • სისხლიანი ინციდენტი არიზონას შტატში
# • რუსეთში მოსალოდნელია ახალი პოლიტიკური კონფლიქტი
# • ტერორისტული აქტების სერია გრძელდება

## პოლიციელებმა მოკლეს მამაკაცი, რომელიც ცდილობდა თავის მოკვლას ბუშის თანდასწრებით

**ამერიკის არიზონას შტატის შერიფის ორი თანაშემწე იძულებული გახდა ცეცხლსასროლო იარაღით მოეკლათ მთვრალი ავტომოთარეშე. იგი თავისი ავტომობილით შეიჭრა ზონაში, რომელიც დახურული იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ჩასვლასთან დაკავშირებით.**

ინციდენტი მოხდა ორშაბათს კორონადოს ეროვნული პარკის ბლოკ-საგუშაგოსთან, ტუსონის მახლობლად, პრეზიდენტ ბუშის ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე.

37 წლის სკოტ მაიკლ კურტისმა თავისი „Chevrolet Suburban" მარკის ავტომანქანა პირდაპირ პოლიციელებზე მიმართა. შერიფის თანაშემწეებმა მას ცეცხლი გაუხსნეს.

კურტისი ვერტმფრენით გადაიყვანეს ადგილობრივ საავადმყოფოში, სადაც ისე გარდაიცვალა, რომ გონზე არც მოსულა.

ეს ინციდენტი გახდა ბუშის დასახვედრად პარკის შესასვლელთან მისული ოფიციალური პირებისა და სტუმრების ორი საათით შეყოვნების მიზეზი, თუმცა, შეხვედრა გრაფიკის მიხედვით გაიმართა.

კურტისი მანქანით მიუახლოვდა ბლოკ-საგუშაგოსთან მდგომ მორიგე პოლიციელებს, ესროლა მათ ლუდის ქილა და განაცხადა, რომ „სურდა დღეს მომკვდარიყო, რადგან გარკვეულ პირებს, ალბათ, ძალზე დასწყდებოდათ გული, თუ ამას იგი დღეს ვერ მოახერხებდა".

ამის შემდეგ იგი შეიჭრა დახურულ გზაზე. კურტისმა მოასწრო 6 კილომეტრის გავლა, სანამ მას შეაჩერებდნენ.

კურტისი პოლიციელებს დაპირდა, რომ ქალაქში დაბრუნდებოდა, და როცა იგი გაუშვეს, მან მკვეთრად მოაბრუნა მანქანა და მიმართა პირდაპირ პოლიციელებზე, რომლებიც მისთვის გზის გადაღობვას ცდილობდნენ.

ოფიცრებმა ბრედ ჯადმა და ჯეფრი კოპფერმა ცეცხლი გახსნეს. თითოეულმა მათგანმა დამრღვევს ხუთჯერ ესროლა.

„ამ ინციდენტის შემდეგ კურტისის მანქანა და მისი ბინა გაჩხრიკეს, თუმცა ვერაფერი იპოვეს ისეთი, რაც პოლიტიკასთან იქნებოდა დაკავშირებული ან მიანიშნებდა მომხდარი ამბის რაიმე პოლიტიკურ მოტივაციას", – განაცხადა ადგილობრივი არხისათვის მიცემულ ინტერვიუში შერიფის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. მან დაადასტურა, რომ როცა კურტისი ბლოკ-საგუშაგოსთან გამოჩნდა, იგი მთვრალი იყო.

კურტისის ბინის გაჩხრეკვის დროს იპოვეს ოჯახის წევრების სახელზე დატოვებული ორი ბარათი, რომელშიც იგი წერდა, რომ განზრახული ჰქონდა თავის მოკვლა.

ბუში კორონადოს ეროვნულ პარკში ჩაფრინდა ვერტმფრენით, რათა დაეთვალიერებინა ტერიტორია, რომელიც მნიშვნელოვნად დაზარალდა მიმდინარე წლის ზაფხულში ტყის მძლავრი ხანძრების შედეგად. პრეზიდენტმა მოუწოდა შეკრებილთ მხარი დაეჭირათ მისი ადმინისტრაციის ინიციატივისათვის, რომელიც ითვალისწინებს ტყეების სავალდებულო გამეჩხერებას ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიების სახით.

კურტისის დაღუპვასთან დაკავშირებულ ინციდენტს თეთრი სახლი ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ უკეთებს.

## ჩარლზ ტეილორმა თავი ნიგერიას შეაფარა

**ლიბერიის პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი ორშაბათს ოფიციალურად გადადგა. როგორც „სი-ენ-ენის" ტელეარხი იტყობინებოდა, აფრიკის რამდენიმე ქვეყნის ლიდერების თანდასწრებით ჩარლზ ტეილორმა გადასცა ხელისუფლებას ვიცე-პრეზიდენტ მოზეს ბლაჰს და მონროვიის აეროპორტიდან გაემგზავრა ნიგერიის ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი თვითმფრინავით.**

მოზეს ბლაჰი ქვეყანას უხელმძღვანელებს მიმდინარე წლის ოქტომბრამდე, მანამ, სანამ ხელისუფლების სათავეში მოვა კოალიციური მთავრობა, რომლის ჩამოყალიბებისთვისაც მოლაპარაკება განაში გაიმართება.

ლიბერიის სახელმწიფოს ყოფილ მეთაურს თავშესაფარი შესთავაზა ნიგერიამ, რომლის პრეზიდენტმაც ოლესეგუნ ობასანჯომ განაცხადა, რომ არ გადასცემს ტეილორს გაეროს სამხედრო დანაშაულობების საქმეთა სასამართლოს.

ტეილორის გადადგომას მოითხოვდნენ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობის წევრი ქვეყნები. ამბოხებულებმა კი, რომლებიც ეწევიან სამოქალაქო ომს, გამოაცხადეს, რომ საომარ მოქმედებას შეწყვეტენ დაუყოვნებლივ, როგორც კი ტეილორი დატოვებს ქვეყანას.

გასულ კვირას ლიბერიაში ჩავიდნენ ნიგერიის ქვედანაყოფები, რომლებიც მოქმედებენ დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობის სამშვიდობო ოპერაციის ფარგლებში, აგრეთვე, ამერიკელ სამხედროთა მცირე ჯგუფი.

აღსანიშნავია, რომ ლიბერიას განსაკუთრებული ისტორიული კავშირ-ურთიერთობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. აფრიკის ეს სახელმწიფო XIX საუკუნეში დააარსეს ამერიკიდან ჩასულმა განთავისუფლებულმა შავკანიანმა მონებმა.

## ხოდორკოვსკი კვლავ დაეხმარება ოპოზიციას

**როგორც „ფაინენშლ ტაიმსი" წერდა, კომპანია „იუკოსის" მეთაური და თანამფლობელი მიხეილ ხოდორკოვსკი აპირებს გაუზარდოს დახმარება ოპოზიციურ ლიბერალურ პარტიებს, რაც, გამოცემის აზრით, შესაძლოა გახდეს ხოდორკოვსკისა და რუსეთის ხელისუფლებას შორის პოლიტიკური კონფლიქტის გაღვივების ახალი ეტაპი.**

დამოუკიდებელმა წყაროებმა ბრიტანეთის ამ საქმიანი გაზეთის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ხოდორკოვსკი აპირებს გააქტიუროს მუშაობა „იაბლოკოსა" და „მემარჯვენე ძალთა კავშირის" პარტიებთან. ასეთი გადაწყვეტილება ხოდორკოვსკიმ მიიღო იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი მონაცემებით, „იუკოსი" და კრემლის მოხელეები ახლა ეძებენ კომპრომისს, რომლის მიხედვითაც მაგნატმა, შესაძლებელია, გაიღოს მნიშვნელოვანი თანხები რუსეთის ბიუჯეტში სოციალური საჭიროებისათვის.

„კრემლის მხარდამჭერი პარტიები, წერს გაზეთი, ახლა ცდილობენ პოპულარობის მოხვეჭას ანტიკორუფციული საქმეებისა და ეგრეთ წოდებული ოლიგარქების მიმართ რუსეთის მოსახლეობის სიძულვილის ტალღაზე. სიტუაციის შერბილების მიზნით, „იუკოსის" ხელმძღვანელობამ, შესაძლოა აღიაროს, რომ არასაკმარის ყურადღებას უთმობდა ქვეყანაში სოციალური პრობლემების გადაჭრას". ყოველივე ამის მიუხედავად, ოლიგარქები კვლავ მტკიცედ უარყოფენ მათი მისამართით გამოთქმულ ყველა ბრალდებას.

ზოგიერთი მონაცემით, ხოდორკოვსკი ახლა ძალისხმევას მიმართავს მემარჯვენე ყაიდის ქვეყნის იმ ორი უდიდესი ოპოზიციური პარტიის მძლავრი რეგიონული სტრუქტურების შექმნისათვის, რომლებიც ტრადიციულად ვერ უჩვენებდნენ მაღალ შედეგებს პროვინციებში არჩევნების დროს.

არის ინფორმაცია იმის თაობაზეც, თითქოს „იუკოსი" საიდუმლო დახმარებას უწევდეს კომპარტიასაც, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ დაგმო „იუკოსზე" მიტანილი შეტევა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ კომუნისტები, პირიქით, ეცდებიან მოაგროვონ ხმები ოლიგარქების წინააღმდეგ კამპანიის გაჩაღების გზით," – წერს „ფაინენშლ ტაიმსი".

## ტერორისტული აქტის შედეგად 10 კაცი დაშავდა

**ისრაელის ქალაქ როშ ჰააინის სუპერმარკეტში მომხდარმა აფეთქებამ მძლავრი ხანძარი გამოიწვია. როგორც პოლიცია ვარაუდობს, ტერორისტული აქტის შედეგად სულ ცოტა 6 კაცი დაშავდა.**

„სქაინიუსის" ინფორმაციით კი, დაშავებულია 10 კაცი. ისინი მიიყვანეს ბეილინსონის და ტელ ჰა-შომერის საავადმყოფოებში. ექიმების შეფასებით, ორი დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა.

წინასწარი მონაცემებით, აფეთქება განახორციელა პალესტინელმა ტერორისტმა-კამიკაძემ. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია მისი გვამი.

როგორც ქალაქ როშ ჰააინის მერმა განაცხადა, აფეთქება მძლავრი არ ყოფილა. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ისიც, რომ ამ ტერორისტული აქტის შედეგად დაშავებულთა რიცხვი დიდი არ არის.

აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე, ტერორისტული აქტების საფრთხესთან დაკავშირებით, შარონის ოლქის პოლიცია გადაიყვანეს მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე. პოლიციამ მიიღო ინფორმაცია, რომ პალესტინის ავტონომიის ტერიტორიიდან ოლქში შეაღწია ტერორისტმა-კამიკაძემ. მარტო გასულ დღეს, ისრაელის სპეცსამსახურებმა მიიღეს 21 შეტყობინება ტერორისტული აქტების მომზადების შესახებ.

პოლიციამ ალყა შემოარტყა სავაჭრო ცენტრის მიმდებარე უბნებს. ეს ტერორისტული აქტი იყო პირველი ქალაქ როშ ჰა-აინის არსებობის ისტორიაში, რომელიც მდებარეობს ტელ-ავივის აღმოსავლეთით, ეგრეთ წოდებული „მწვანე ზოლის" უშუალო სიახლოვეს. მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ პალესტინელი ექსტრემისტები არაერთგზის იმუქრებოდნენ დაზავების დარღვევით.

თავის მხრივ, პალესტინელები გამოთქვამენ აღშფოთებას მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე რადიკალური ორგანიზაციების აქტივისტთა დაპატიმრებების გამო. მათ გულისწყრომას ისიც იწვევს, რომ ისრაელი უარს აცხადებს გაიყვანოს არმიის ქვედანაყოფები პალესტინის ქალაქებიდან და კვლავ განაგრძობს ეგრეთ წოდებული „დამცავი კედლის" მშენებლობას.

# ევროპა აშინებს თამბაქოს მწეველებს

**ამიერიდან ევროპაში წარმოებულ სიგარეტების ყოველ კოლოფზე, სიტყვიერ გაფრთხილებასთან ერთად, გამოსახული იქნება თამბაქოს წევის შედეგად დასნებოვნებული რომელიმე ორგანო.**

ასეთმა „შემაშინებელმა" სურათებმა, თამბაქოს წევის მავნებლობის შესახებ ტრადიციულ გაფრთხილებასთან ერთად, დაამტკიცეს თავისი ეფექტიანობა. ასეთი დასკვნა გამოიტანეს თამბაქოს წევისა და ჯანმრთელობის პრობლემებისადმი მიძღვნილი მე-12 საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც ფინეთში გაიხსნა.

დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ესპანეთისა და შვედეთის ექსპერტთა ექვსმა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ტრადიციული წარწერა სიგარეტის კოლოფზე – თამბაქოს მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის – იმდენად ჩვეულებრივი რამ გახდა, რომ თამბაქოს მწეველები არანაირ ყურადღებას აღარ აქცევენ მას.

მრავალი ევროპელის აზრით, ამ ფრაზას კოლოფებზე ბეჭდავენ მხოლოდ იმისთვის, რომ მთავრობამ და თამბაქოს მწარმოებელმა ფირმებმა შეძლონ წარმოადგინონ ანგარიში ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, სინამდვილეში კი არ სურთ დაეხმარონ ადამიანებს სიგარეტის „გადაგდებაში".

ბრიტანეთის თამბაქოს წევისადმი კონტროლისა და კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა ცენტრის დირექტორს ჯინ კინგს მიაჩნია, რომ ახალი, უფრო თვალსაჩინო გაფრთხილება, გაცილებით მეტ ეფექტს მოიტანს.

„მას შემდეგ, რაც სიგარეტის კოლოფებზე გამოჩნდა ახალი გაფრთხილება სურათებით, ადამიანები უფრო ხშირად რეკავენ ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციაში და ითხოვენ დახმარებას ამ მომაკვდინებელი ჩვევისაგან თავის დაღწევის საქმეში, – თქვა ჯინ კინგმა. – ადამიანები ნამდვილად შეაშინეს სურათებმა, რომლებზეც გამოსახულია ყელის ავთვისებიანი სიმსივნე ან დაავადებული ფილტვები. ასეთი თვალსაჩინო აგიტაცია ძალზე ძლიერად მოქმედებს. სიგარეტის კოლოფის დიზაინი მიმზიდველი არ უნდა იყოს".

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ თამბაქოს წევის მავნებლობის შესახებ გაფრთხილების ფორმა ხშირ-ხშირად განახლდეს, რადგან ადამიანებმა მას თვალი არ შეაჩვიონ.

ყველაზე პოპულარული იდეაა კოლოფზე დაავადებული ფილტვების გამოსახვა. ეს კანადაში უკვე დაინერგა.

მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანებმა იცოდნენ, თუ ვის მიმართონ დახმარებისათვის, თუ მოისურვებენ „გადააგდონ" სიგარეტი. არც ის არის სასურველი, რომ მეტისმეტად რეალისტურმა სურათებმა სიგარეტის კოლოფებზე თამბაქოს მწეველთა პროტესტი გამოიწვიოს, რადგან ზოგიერთმა მათგანმა ეს შეიძლება მიიჩნიოს საკუთარი უფლებების ხელყოფად.

ფინეთში მიმდინარე კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები, აგრეთვე, კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირის წევრები აპირებენ გამოაცხადონ სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც დააფინანსებს თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდას ისეთ რეგიონებში, როგორიც არის სამხრეთ ამერიკა, აზია, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, აფრიკა.

ფონდის მთავარი ამოცანაა, დაარწმუნოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები თამბაქოს წევისადმი კონტროლის პირველი საერთაშორისო კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციისა და მისი დებულებების შესრულების აუცილებლობაში. ეს გახლავთ ასეთი სახის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მოიწონა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიმდინარე წლის მაისში.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**
**ზაზა ბეჟანიძემ.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. **ქ. თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახური,** მისამართი ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. № 89/24, ატარებს ღია, ორეტაპიან ტენდერს დაბა წყნეთის გენსქემის საპროექტო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელია დაბა წყნეთის საყრდენი გეგმა, გენსქემა, რომელმაც უნდა გადაჭრას დაბა წყნეთის საცხოვრებელი, მომსახურების და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწვანე საფარის შენარჩუნების ღონისძიებები.

2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2004 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2003 წლის 27 აგვისტოდან 29 აგვისტოს 17 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. № 89/24.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ლიცენზიას საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ, პირველადი სატენდერო წინადადებების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნები, რის შესაბამისადაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ზოგადი მონაცემები ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ღირებულების გარეშე.

7. პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.

8. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.

9. პრეტენდენტის კვალიფიკაცია მიენიჭებათ ტენდერში მონაწილეობის მსურველ იმ პირებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები აკმაყოფილებენ მე-4 მუხლის მოთხოვნებს და რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემებზე არსებობს აღნიშნული მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

11. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მოწვეულ პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. № 89/24, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად, შერჩევიდან არა უმეტეს 5 დღის ვადაში. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **ბესო გელდიაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი; საკონტაქტო ტელეფონი 96-91-30 და პაპუნა ძიძიგური – სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონტაქტო ტელეფონი 96-91-30, მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. № 89/24, არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახური.**

**სატენდერო კომისია.**

## ყურადღება (განმეორებით)

2003 წლის 8 სექტემბერს, დღის 2 საათზე გაიმართება სააქციო საზოგადოება „ოქსინოს" დამფუძნებელთა საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

**1. 2002 წლის შედეგების განხილვა.**

**2. მიმდინარე საკითხები.**

**მისამართი: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. № 12**

**სს „ოქსინო".**

მიმდინარეობს შპს „დათოს" ლიკვიდაცია. რეგისტრირებული ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოში 1997 წ. 30 დეკემბერს. იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. № 21.

## ოთხშაბათი
13 აგვისტო

07.30 ალიონი 09.45 მხ. ფილმი "არამზადას სიკვდილი" 11.45 დოკ.სერიალი "ავიაშოუ" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (ლ. ბეკოლი) 14.00 სერიალი "ქვირფასი მარიანა" 15.15 მხ. ფილმი "სტივის ხერხები" 16.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 16.50 დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.20 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 კონცერტი – ანსამბლი "75" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.55 "მათი შვილები" – ლ. ასათიანი 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება?!" 00.00 მხ. ფილმი "ფრენის სიჩქარე".

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 მხ. ფილმი "ვერცხლისფერი ულაყი" 21.00 ენერგია 21.30 ჩვენი მისამართია 22.10 მხ. ფილმი "გონებრივი შეტევა".

07.00 დილა მშვიდობისა 08.25 სერიალი "კომპიუტერული ომები" 09.40 სერიალი "ასულ ტაკილა" 10.30 დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" 11.00 სერიალი "კომისარი მონტალბანო" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მოურჯულებელი პილდა" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი "ასულ ტაკილა" 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 სერიალი "კომპიუტერული ომები" 18.50 სერიალი "მაშველები" 19.40 სერიალი "მოურჯულებელი პილდა" 22.00 სერიალი "კომისარი მონტალბანო" 22.50 ღამის კურიერი 00.10 სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" 00.40 მხ.ფილმი "გამიცნი სამსახური". მთ. რ-ში: ორნელა მუტი.

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "ორმაგი მკვლელობა" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. ფილმი 14.50, 17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი "ვიქტორ ფოგელი, რეკლამების მეფე" 17.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "ბორნის იდენტიფიკაცია" 22.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი "კისრისტეხით" 01.30 ღამის ფილმი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა 09.05, 13.15, 17.20, 01.35 იმედის მელოდიები 09.30 სერიალი "იუდას ქალი" 10.30 ლარის მახე 11.05 თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" 12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" 13.30 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 14.05 სერიალი "მკვლელობის ილუზია" 15.15 მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" 17.30 "ერთხელ ჰოლივუდში" 18.05 სერიალი "იუდას ქალი" 19.30 სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" 20.30 არტ-ბულვარი 21.05 სერიალი "მკვლელობის ილუზია" 23.00 სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" 23.55 ფანების კინოკლუბი "უკვდავი სიყვარული".

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი "მარია ემილია" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "პატარა ზოომაღაზია" 19.00 სერიალი "მარია ემილია" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "იურული პერიოდის პარკი 3" 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი "არცერთი სიტყვა მეტი"

12.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 2" 13.30 მხ. ფილმი "ჯუმანჯი" 15.00 მხ.ფილმი "უკიდურესი ნორმები" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფილმი "ნიღაბი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 3"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 სცენის ოსტატები 20.30 მულტფილმი 21.30 "სპორტის სამყარო" 22.30 თინეიჯერი 23.30 მუსიკალური პაუზა 23.00 მხ. ფილმი "ზოზი"

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 მულტფილმი "ჯუჯა ცხვირა" 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 პროფათეული 22.35 პაპარაცი 23.00 სოლო 00.00 "ბრავო" "ნაპოლეონი" 1-ლი ნ. მთ.რ-ში ჟერარ დეპარდიე. 03.00 პაუზის გარეშე

09.30 სერიალი "ურმა სახელად იესო" 10.20, 15.20, 16.20, 17.20, 19.50 20.20 მუსიკა 10.30 მულტსერიალი "ტომი და შინა" 11.00 სერიალი "პოლიციელი ქალი" 12.00 "ცხელი ცხრიანი" 12.40 მხ. ფილმი "ფრანგი მეკობრის ყურე" 14.20 "ტელემეტრი" (განმ.) 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 "ევროპის სტადიონებზე" 15.30 სერიალი "ღამის ექიმები" 1-ლი ს. 16.30 დოკ. სერიალი "ბასტერ კიტონი" 17.50 სერიალი "ურმა სახელად იესო" 18.40 მულტსერიალი "ტომი და შინა" 19.00 სერიალი "პოლიციელი ქალი" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.15 სერიალი "ღამის ექიმები" 22.00 მხ.ფილმი "მთავარი ეჭვმიტანილი" 23.30 კინოგადაცემა "ნუმერატორი" 00.20 მხ. ფილმი "ჩიტები".

## ხუთშაბათი
14 აგვისტო

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 10.10 მხ. ფილმი "ფრენის სიჩქარე" 11.45 დოკ.სერიალი "ავიაშოუ" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" 14.00 სერიალი "ქვირფასი მარიანა" 15.15 მხ. ფილმი "გზაჯვარედინები" 16.45 დოკ.სერიალი "ავანტიურისტი მედიკოსები" 17.10 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.25 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 17.40 "ერთი თეთრიც ფულია" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 პალიტრა 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 22.15 საქართველო არის ესე 22.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება ?!" 00.00 მხ. ფილმი "სიკვდილი ჰოლივუდში".

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 მხ. ფილმი "ქვის მფარველები" 21.00 დიდი დასვენება 21.30 ისტორიანი 22.10 მხ. ფილმი "დანაშაულის გენეალოგია"

07.00 დილა მშვიდობისა 08.25 სერიალი "კომპიუტერული ომები" 09.40 სერიალი "ასულ ტაკილა" 10.30 დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" 11.00 სერიალი "კომისარი მონტალბანო" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მოურჯულებელი პილდა" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი "ასულ ტაკილა" 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 სერიალი "კომპიუტერული ომები" 18.50 სერიალი "მაშველები" 19.40 სერიალი "მოურჯულებელი პილდა" 22.00 სერიალი "შავი ზეცა" 22.50 ღამის კურიერი 00.10 სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" 00.40 მხ.ფილმი "ღამით გაქცეული". მთ. რ-ში: ენდრიუ მაკარტი, სკოტ გლენი.

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "ბორნის იდენტიფიკაცია" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. ფილმი 14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი "კისრისტეხით" 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.40 მხ. ფილმი "უცხოელი" 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) 22.15 დიალოგი 23.45 მუსიკა 00.05 მხ. ფილმი "წითელი სირენა"

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა 09.05, 13.15, 17.20, 01.35 იმედის მელოდიები 09.30 სერიალი "იუდას ქალი" 10.30 არტ-ბულვარი 11.00 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" 12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" 13.30 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 14.05 სერიალი "მკვლელობის ილუზია" 15.15 მხ. ფილმი "გოია ბორდოში" 17.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 18.05 სერიალი "იუდას ქალი" 19.30 სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" 20.30 სპ. პროგრამა "ესტაფეტა" 21.05 სერიალი "მკვლელობის ილუზია" 23.00 სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" 23.55 კინოვარსკვლავთა ღამე "ოინბაზი"

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი "მარია ემილია" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "პატარა ზოომაღაზია" 19.00 სერიალი "მარია ემილია" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "ძნელად საშოვნი ფული" 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი "მაკენას ოქრო"

12.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 3" 13.30 მხ.ფილმი "იამაკასები" 15.00 მხ.ფილმი "მუმია" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ზარი "ველური კოიოტი"" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ბრილიანტის პოლიციელი" 22.30 მხ. ფილმი "ნიკი, ეშმაკი შვილი"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00, 21.30 სალონი 13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "სპორტის სამყარო" 20.30 მულტფილმი 21.00 "ვესტი" 21.30 საბ. სატ. ფილმი "განძის მაძიებელნი" 23.00 მხ. ფილმი "აბდულა"

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი "ცოცხალზე" მთ. რ-ში ჯეიმი ფოქსი, დევიდ მორზი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 "ბრავო" "ნაპოლეონი" მე-2 ნ. მთ. რ-ში ჟერარ დეპარდიე. 03.00 პაუზის გარეშე

09.30 სერიალი "ურმა სახელად იესო" 10.20, 14.20, 15.15, 17.20, 19.50, 22.35 მუსიკა 10.30 მულტსერიალი "ტომი და შინა" 11.00 სერიალი "პოლიციელი ქალი" 12.10 მხ. ფილმი "მთავარი ეჭვმიტანილი" 13.50 კინოგადაცემა "ნუმერატორი" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 "ევროპის სტადიონებზე" 15.30 სერიალი "ღამის ექიმები" 16.30 დოკ. სერიალი "ბასტერ კიტონი" 17.50 სერიალი "ურმა სახელად იესო" 18.40 მულტსერიალი "ტომი და შინა" 19.00 სერიალი "პოლიციელი ქალი" 20.00 "ქართული ფეხბურთი" 21.10 სერიალი "ღამის ექიმები" 22.00 დოკ. ფილმი "მოჩვენებათა თავგადასავალი" მე-2 ს. 22.25 ტელემეტრი - რეზინის აუზები– ლაქების ამოყვანა 22.50 მოკლ. მხ. ფილმი "მსუბუქი დარტყმა", "მოლარე" 23.20 "ცხელი ცხრიანი" 00.20 რუს. მხ. ფილმი "კიკსი".

## პარასკევი
15 აგვისტო

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 10.10 მხ. ფილმი "სიკვდილი ჰოლივუდში" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.05 დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" 14.00 სერიალი "ქვირფასი მარიანა" 15.15 მხ. ფილმი "მე შენ გკარგავ" 16.55 სერიალი "ძილის წინ" 17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "ბენი ჰილი" 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 მაგთიტრონი 21.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 22.05 ხსოვნა (მურმან ლებანიძე) 22.45 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება ?!" 00.00 მხ. ფილმი "ჯეინ ეარი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 მხ. ფილმი "ჭიამაია" 21.00 საქართველო არის ესე 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 მხ. ფილმი "ცხოველური ბუნება"

07.00 დილა მშვიდობისა 08.25 სერიალი "კომპიუტერული ომები" 09.40 სერიალი "ასულ ტაკილა" 10.30 დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" 11.00 სერიალი "შავი ზეცა" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მოურჯულებელი პილდა" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი "ასულ ტაკილა" 18.00, 21.00, 03.10 კურიერი 18.20 სერიალი "კომპიუტერული ომები" 18.50 სერიალი "მაშველები" 19.40 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 22.00 სერიალი "სოპრანოს კლანი" 22.50 ღამის კურიერი 00.10 მხ.ფილმი "უცხო". მთ. რ-ში: სიგურნი უივერი, ტომ სკერიტი. 03.30 მხ.ფილმი "ამერიკული ნამცხვარი 2". მთ. რ-ში: ჯეისონ ბიგზი, სენონ ელიზაბეტი.

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "უცხოელი" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. ფილმი 14.50, 17.20, 17.50, 21.55, 23.30 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45, 19.45 მუსიკა 20.00 მიუზიკჰოლი 22.00 დიალოგი 00.55 მხ. ფილმი "ჩიზამი" 02.10 ღამის ფილმი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა 09.05, 13.15, 17.20 იმედის მელოდიები 09.30 სერიალი "იუდას ქალი" 10.30 სპ. პროგრამა "ასი" 11.05 თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" 12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" 13.30 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 14.05 სერიალი "მკვლელობის ილუზია" 15.15 მხ. ფილმი "სასიკვდილო რბოლა" 17.30 "მუღამები" 18.05 სერიალი "იუდას ქალი" 19.30 სერიალი "გოგონები ესპანეთის მოედნიდან" 1-ლი ს. 20.30 ლარის მახე 21.05 სერიალი "მკვლელობის ილუზია" 22.40 დოკ. ფილმი "იმედის ქალაქისკენ" 22.55 თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" 23.55 სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" 00.50 არტ-ფილმი "მდუმარების მიღმა".

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი "მარია ემილია" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "პატარა ზოომაღაზია" 19.00 სერიალი "მარია ემილია" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "მოჩვენებებზე მონადირენი" 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი "მატრიცა"

12.00 მხ. ფილმი "ბრილიანტის პოლიციელი" 13.30 მხ.ფილმი "ნიკი, ეშმაკი შვილი" 15.00 მხ.ფილმი "მუმია 2" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ინკოგნიტო" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "მორიელთა მეფე" 22.30 მხ. ფილმი "ადამიანები შავებში"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 სალონი 13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "ხვალ" 20.30 "მომავალი" 21.00 "ვესტი" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 "გამარჯობა" 23.00 ინდეთის დამოუკიდებლობის დღე. მხ. ფილმი "ალი ბაბა და 40 ყაჩაღი"

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 მულტფილმი "ლილო და სტიჩი" 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 სოლო 00.00 "ბრავო" "მე სემი ვარ" მთ. რ-ში შონ პენი, მიშელ პფაიფერი. 02.15 "ღამურა" "კრახი". მთ. რ-ში მაიკლ ბინი, მეტ კრეივენი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30 სერიალი "ურმა სახელად იესო" 10.20, 15.20, 16.20, 17.20, 19.50 მუსიკა 10.30 მულტსერიალი "ტომი და შინა" 11.00 მხ. სერიალი "პოლიციელი ქალი" 12.00 "ცხელი ცხრიანი" 12.40 რუს. მხ. ფილმი "კიკსი" (ორეული) 14.15 "ტელემეტრი" (განმ.) 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 "ქართული ფეხბურთი" 15.30 სერიალი "ღამის ექიმები" 16.30 დოკ. სერიალი "პაროლ ლოიდი" 1-ლი ნ. 17.50 სერიალი "ქავინქტონ კროსი" 1-ლი ს., 18.40 მულტსერიალი "ტომი და შინა" 19.00 სერიალი "პოლიციელი ქალი" 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" 21.10 სერიალი "ღამის ექიმები" 22.00 "ღამის მატარებელი" (განმ.) 00.20 მხ. ფილმი "სრული 9 იარდი".

## შაბათი
16 აგვისტო

08.00, 15.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "ჯეინ ეარი" 10.10 დოკ. ფილმი "კინოგადაღებები უარზაზატში" 11.05 "გლობუსი" 11.35 "მეტრო" 12.10 "კვალი" 12.45 "გაუმარჯოს მსოფლიოს" 13.20 უკრავს ე. გულისაშვილი 13.55 დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 14.25 საქართველო, დრო, მოვლენები 15.00 "მოამბე" 15.15 კონცერტი – ნ. ერგემლიძე 17.00 საწინდარი 17.30 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 18.00 "ვესტნიკი" 18.45 "თბილისის დროით" 19.05 ენერგია 19.35 პალიტრა 20.00 მოამბე 20.35 სერიალი "სასახლე მზეში" მე-5 ს. 21.15 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 22.10 კონცერტი 23.05 "ბენი ჰილი" 23.30 პროფათეული 00.05 მოამბე 00.20 მხ. ფილმი "მე თქვენ მიყვარხართ" 02.00 სალომე დე ბაია თბილისში.

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 მხ. ფილმი "მეორე ცხოვრება" 21.30 წარსულის ტერიტორია 22.00 მხ. ფილმი "მილიონი ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი"

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 ფიფქია 09.50 ცხოველთა ომები 10.20 საბ.ფილმი "ჰერკულესის თავგადასავალი" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 დოკ. სერიალი "ველური სამყაროს ამბები" 17.40 სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობა" 18.00, 01.00 კურიერი 18.20 სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობა" 19.35 დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" 20.05 სერიალი "მაქსი" 21.00 კურიერი P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 ფსიქო. მხ.ფ. "რეპეტიციის შემდეგ" რეჟ: ინგმარ ბერგმანი. 01.20 მხ.ფილმი "ჩვენ ჯარისკაცები ვიყავით". მთ. რ-ში: მელ გიბსონი.

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "ჩიზამი" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10 დოკ. ფილმი 15.15 მხ. ფილმი 17.20, 18.30, 21.55, 01.00 მუსიკა 18.00, 19.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 21.00 დოკ. ფილმი 23.30 მხ. ფილმი "ჭრიჭინა" 02.40 ღამის ფილმი

09.00 ქრონიკა 09.05, 13.40, 23.30 იმედის მელოდიები 10.20 ანიმაციური სერიალი "მითიური მეომრები" 10.50 მხ. ფილმი "ქაიროს ლალი" 12.30 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 13.00, 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00 ქრონიკა 13.15 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 13.50 თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" 15.10 რეტროსკოპი "ორკესტრანტების ცოლები" 17.15 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" 18.05 "იმედის ქალაქისკენ" (რეპორტაჟი ურეკიდან) 19.20 სერიალი "ყველაფერი იმ ღამის შესახებ" მე-6 ს. 21.05 ქართ. სერიალი "მგლების ხორუმი" მე-9 ს. 23.00 კონცერტი (რეპორტაჟი ურეკიდან) 01.10 საღამოს ღიმილი 01.25 ქრონიკა

09.00 მულტფილმი "მონსტრების კორპორაცია" 10.35 საბ. სერიალი "დინოტოპია" 11.30 დოკ. სერიალი "ტაიმლოტო" 12.00 საფეხბურთო მიმოხილვა 12.30 დეტექტ. სერიალი "ინსპექტორები" 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 19.45 საინფ. გამოშვება "მზერა" 18.05 სერიალი "ფანი კემბელის ამბავი" 19.00 ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ბოლტონი". 20.45 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.15 მხ. ფილმი "მოჩვენებებზე მონადირენი 2" 23.15 მხ. ფილმი "ჩასაფრებული ვეფხვი, განაბული დრაკონი"

12.00 მხ. ფილმი "მორიელთა მეფე" 13.30 მხ. ფილმი "ადამიანები შავებში" 15.00 მხ.ფილმი "ბენ – გური" (1-2ს.) 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.15 მულტფილმი "იმპერატორის მოგზაურობა" 21.00 მხ. ფილმი "ცხოველი" 22.20 მხ. ფილმი "საეჭვო პირები" 00.30 მხ. ფილმი "ინტერვიუ ვამპირთან"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 სალონი 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება 16.00 ლაბირინთი 17.00 მუსიკალური პაუზა 17.30 თქვენი ადვოკატი 18.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 20.00 თინეიჯერი 21.30 "ზერკალო" 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 საოცარი პირამიდა 23.00 მხ. ფილმი "განგო, შენი წყალი აიმღვრა"

09.00 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ფილმი 15.00 მუსიკა 16.00 ფილმი "მის დალოუეი" მთ. რ-ში ვანესა რედგრეივი, ნატაშა მაკელოუნი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 19.50, 20.15 სველი ხაზი 21.15 ქართული მუსათეული 22.35 კვირის საუკ. ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 "ბრავო" "სიზმართა მტაცებელი" მთ. რ-ში მორგან ფრიმენი, ტომას ჯეინი. 01.50 "ღამურა" "იდეალური მკვლელობა". მთ. რ-ში მაიკლ დუგლასი, გვინეტ პელტროუ. 03.45 პაუზის გარეშე

09.30 სერიალი "ქავინქტონ კროსი" 10.20, 16.20, 17.20 მუსიკა 10.30 მულტსერიალი "ტომი და შინა" 11.00 სერიალი "პოლიციელი ქალი" 11.55 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" 12.25 მხ. ფილმი "სრული 9 იარდი" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 დოკ. სერიალი "ჩაო ფედერიკო" 15.35 სერიალი "ღამის ექიმები" 16.30 დოკ. სერიალი "ჰაროლ ლოიდი" მე-2ნ. 17.50 სერიალი "ქავინქტონ კროსი" 18.40 მულტსერიალი "ტომი და შინა" 19.00 "საუბრები სტუდიაში" 20.00 დოკ. სერიალი "ფაქტზე დაჭერა" მე-12ს. 21.15 ფილმი-კონცერტი "ქორსების მეორედ მოსვლა" 1-ლი ს. 22.15 ტელემეტრი – აკლიმატიზაცია, სტანდარტი 22.30 გადაცემა "ოლიმპი" –რომი შნაიდერი 22.45 მოკლ.მხ.ფილმი "ძმები დოპერტები" 23.20 "ცხელი ცხრიანი" 00.20 მხ. ფილმი "მგზნებარე გოგონება".

## კვირა
17 აგვისტო

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "მე თქვენ მიყვარხართ" 10.00 დიდი დასვენება 10.30 დოკ. ფილმი "ფრანგული სტილი" 11.20 "ტელოტო" 12.05 სპა 12.35 მხ. ფილმი "ბარნი და მისი პატარა უსიამოვნებანი" 13.55 პალიტრა 14.25 არათბილისური ამბები 15.00 მოამბე 15.15 სპექტაკლი "სამანიშვილის დედინაცვალი" 16.35 დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.00 საკვირაო გამოფენა 17.15 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 17.35 ეძიე ქალი 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 კონცერტი 19.25 ჩვენი მისამართია 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 სერიალი "სასახლე მზეში" 21.45 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 22.35 მეალომანია 23.10 ქართული მხ. ფილმი "ახალი არკადია" 00.50 ტაიმ-აუტი 01.20 მხ. ფილმი "ზეცის დესპანი".

19.00 მულტფილმი 19.30 დიზაინი 19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები 20.30 შტრიხები პორტრეტისთვის 21.00 კონცერტი (მ. ძიძიგური) 23.00 მხ. ფილმი "ქამელეონი".

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 ფიფქია 09.50 ცხოველთა ომები 10.20 საბ.ფილმი "ჰერკულესის თავგადასავალი" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 დოკ. სერიალი "ველური სამყაროს ამბები" 17.40 სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობა" 18.00, 00.00 კურიერი 18.20 სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობა" 19.00 მხ. ფილმი "ეჟიმი დუღინტლი" 21.00 კურიერი 21.45 ჩვენი ეზო 22.00 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ხუთი შერჩენილები" 877 45-79-25 ლუი დე ფუნესი, "საგვირთო მანქანა" 877 45-79-26 ტიმოთი ბასფილდი, ბრენდა ბეკი, "ბოროტება საოცრებათა ქვეყანაში" 877 45-79-27 ლიზ ტეილორი. 00.10 მხ.ფილმი "ჯეი და ბობი". მთ. რ-ში: ბენ აფლეკი, შენონ ელიზაბეტი.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი "ჭრიჭინა" 10.20 მულტფილმი 12.30 გადაცემა - მურადა (განმ.) 13.00 გასართობი პროგრამა - მუსიკალურ ტალღაზე 15.00 ქიმერიონი 17.00 ოპერა 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "ჩემი კრიმინალური ძია" 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ. ფილმი "ანაკონდა" 01.00 ღამის ფილმი

08.55 ქრონიკა 09.05, 16.40, 18.00, 01.15 იმედის მელოდიები 10.20 ანიმაციური სერიალი "მითიური მეგობრები" 10.50 სერიალი "ყველაფერი იმ ღამის შესახებ" მე-6 ს. 12.30 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 13.00, 15.00, 16.45, 19.00, 21.00, 22.00 ქრონიკა 13.15 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 13.40 თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" 14.30 სპორტ. პროგრამა "ასი" 15.15 ქართ. ფილმი "დიდედები და შვილიშვილები" 17.15 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" 18.00 ერთხელ ჰოლივუდში 18.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 19.30 სერიალი "იმპერია "ნოუვეს პაუზი"" მე-6 ს. 20.30 X-კლუზივი 21.05 ქართ. სერიალი "მგლების ხორუმი" მე-10 ს. 22.45 მუღამები 23.00 კლიპ-ლოტო 23.30 მხ. ფილმი "წელიწადის ცხრა დღე" 02.00 ქრონიკა.

09.00 მულტფილმი "პინოქიო" 10.35 საბ. სერიალი "დინოტოპია" 11.30 დოკ. სერიალი "ტაიმლოტო" 12.00 საფეხბურთო მიმოხილვა 12.30 დეტექტ. სერიალი "ინსპექტორები" 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 20.50 საინფ. გამოშვება "მზერა" 18.05 სერიალი "ფანი კემბელის ამბავი" 19.00 სერიალი "პოლიციელთა ამბები" 20.05 ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "ლივერპული" – "ჩელსი". 21.50 საინფ. გამოშვება "მზერა" 22.20 მხ. ფილმი "გაქცევა შოუშენკოდან" 00.50 მზის სერენადა. "ვესტ ლაიფი".

12.00 მხ. ფილმი "ცხოველი" 13.20 მხ. ფილმი "საეჭვო პირები" 15.00 მხ. ფილმი "მატრიცა" 17.00 მხ. ფილმი "ტკბილი ნოემბერი" 19.00 ინდ. მხ. ფილმი "ოთხი უდარდელი" 22.00 მხ. ფილმი "გლადიატორი" 00.20 მხ. ფილმი "ფრანკენშტაინი".

11.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.35 თბილისური ოჯახები 14.00 ძველი ინდური კინო "შურისმაძიებელი" 16.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 19.00 კითხვების კორიანტელი 19.20 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 შეხვედრა ვარსკვლავთან 20.20 მოგზაურობა ბავშვობაში 20.40 თავისუფალი მიკროფონი 20.50 თქვენი აზრით 21.00 "კვირის ვესტი" 22.00 "იდენ-ტვ" 22.30 საოცარი პირამიდა 23.00 მხ. ფილმი

09.00 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ფილმი 15.00 მუსიკა 16.00 ფილმი "რაინდის ისტორია" მთ. რ-ში ჰიტ ლეჯერი, მარკ ადი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 უცხ. მუსათეული 22.30 პროფათეული 22.55 მუსიკა 23.15 სოლო 00.00 "ბრავო" "ფანფან ტულპანი" მთ.რ-ში ვენსან პერესი, პენელოპა კრუსი. 01.40 "ღამურა" "საეჭვო პირები" მთ.რ-ში პატრიკ ბერჯინი, გერი ბიუზი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30 სერიალი "ქავინქტონ კროსი" 10.20, 15.00, 16.15, 20.30 მუსიკა 10.30 მულტსერიალი "ტომი და შინა" 11.00 "საუბრები სტუდიაში" 12.00 "ცხელი ცხრიანი" 12.50 მხ. ფილმი "პატრიოტი" 14.20 "ტელემეტრი" (განმ.) 14.35 "ოლიმპი" - რომი შნაიდერი 15.15 დოკ. ფილმი "დევიდ გრიფიტი – კინოს მამა" მე-3 ნ. 16.35 მხ. ფილმი "საბრინა" 19.00 "ბელისიმო" 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 "ოსტატები" - მოეცკავვე 20.15 "ჩემი ქვეყანა" – ზლაპრის თეატრი 20.40 რუს. სერიალი "რუსი ამორძალები" მე-9 ს. 22.00 მხ. ფილმი "სისხლიანი დანაშაული" 23.45 მხ. ფილმი "ნოტინ ჰილი".

## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
## განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი
## ტენდერი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის

### შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის რეკონსტრუქცია მინი სტამბის მოსაწყობად

**კრედიტი №3474-Ge**

**სატენდერო №GEP/CW/001/NCB/A2**

### მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი მსოფლიო ბანკისაგან საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის პირველი ეტაპის დასაფინანსებლად. აღნიშნული თანხის ნაწილი გათვალისწინებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის რეკონსტრუქცია მინი სტამბის მოსაწყობად GEP/CW/001/NCB/A2 კონტრაქტის ღირებულების დასაფარავად.

საქართველოს განათლების სამინისტრო იწვევს მონაწილეებს აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ტენდერი ჩატარდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების მიხედვით საერთაშორისო შესყიდვების წესების გათვალისწინებით: შესყიდვები მსოფლიო ბანკის კრედიტებით, 1995 წლის იანვარი (შესწორებული 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში და 1997 წლის სექტემბერში). ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით უფლებამოსილ ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელს.

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ოფისში ქვემოთ მოყვანილ მისამართზე 10-დან 18 საათამდე.

**საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, 0102 თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52, 1 სართული, ოთახი №102. საკონტაქტო პირი ეკა ეზუგბაია.**

**ტელ.:** (+995) 32 95 98 37

**ფაქსი:** (+995) 32 95 83 13

**ელ-ფოსტა:** gep@wanex.net

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტების პაკეტის შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოყვანილ მისამართზე წერილობითი განცხადების წარდგენისა და 100 (ასი) ლარის ოდენობის თანხის გადახდის შემდეგ (დღგ-ს ჩათვლით), რომელიც უკან არ დაბრუნდება.

ანგარიშსწორება შესაძლოა განხორციელდეს საბანკო ჩეკით, ნაღდი ფულის შენატანით ბანკში ან საბანკო გადარიცხვით საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის სასარგებლოდ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: **„ბაზისბანკი" 380003 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №1 ანგ. №133052, მფო 220101956.**

სატენდერო განაცხადები წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ოფისში ზემოთ მითითებულ მისამართზე არა უგვიანეს **2003 წლის 11 სექტემბრის 15 საათზე.** სატენდერო განაცხადს უნდა დაერთოს განაცხადის გარანტია სატენდერო ღირებულების მინიმუმ 2%-ის ოდენობით. განაცხადის გარანტიის ფორმა მითითებულია სატენდერო დოკუმენტში.

ტენდერის მონაწილეებს სურვილისამებრ შეუძლიათ ტენდერის გახსნაზე დასწრება **2003 წლის 11 სექტემბერს 15 საათზე.**

**დაგვიანებული განაცხადები არ მიიღება.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

№ 214. ოთხშაბათი, 13 აგვისტო, 2003 წელი

კონტაქტები

# ოსტატობას საქართველოში იმაღლებენ

**ერთი კვირაა, საქართველოში სტუმრად იმყოფება იაპონიის თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 15-კაციანი დელეგაცია.** სალიცენზიო ტურნირებისთვის მზადება ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა ქართველ ფალავნებთან ერთად გადაწყვიტეს. პირველი ერთობლივი წვრთნა გორში გაიმართა. იაპონელები რამდენიმე დღეა, უკვე თბილისში არიან და ფალავანთა კლუბში ვარჯიშობენ როინ დობორჯგინიძის ხელმძღვანელობით. სტუმრები 16 აგვისტოს გაემგზავრებიან სამშობლოში.

**გიორგი გაგუა.**

**სურათებზე: გოჩა კირკიტაძე მორიგ ფანდს ასწავლის სტუმართა გუნდის წევრს; იაპონელი და ქართველი ფალავნები ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ.**

**რობერტ ბაგრიანის ფოტო.**

თაობა

# მამამ გააფრთხილა, უცხო კაცს არ აკოცნინოო

**დარბაზი გაისუსა. გოგონაც უძრავად ემხო ბატუტზე და ხმას არ იღებდა. მერე სლუკუნით ასწია თავი და ცრემლიანი თვალები მოავლო ტრიბუნებს. ნელა წამოდგა, ბატუტიდან ჩამოხტა და ნაბიჯი რომ არ წაუდგამს, ისე მიაშტერდა იატაკს. ამ დროს ერთი მამაკაცი მიუახლოვდა. თავზე ხელი გადაუსვა, დაამშვიდა, მერე – ხომ შეიძლება, გაკოცოო, ჰკითხა. ის იყო უცნობი დაიხარა, რომ გოგონამ უცებ თავი განზე გასწია.**

– არ შეიძლება, მამამ გამაფრთხილა, უცხო კაცებს არ აკოცნინოო. – ისე ხმამაღლა გამოუვიდა ნათქვამი, რომ ახლო-მახლო ყველამ გაიგონა. უცნობი ჯერ გაშრა, მერე გულიანად გადაიხარხარა. სხვებიც აჰყვნენ. გოგონამ მაჯით ცრემლი მოიწმინდა და მასაც გაებადრა სახე.

ის უცნობი მამაკაცი ისრაელის ბატუტზე მხტომელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბორის ეპილბაუმი გახლდათ, თვალცრემლიანი გოგონა კი საქართველოს ახალგაზრდა ბატუტისტთა ნაკრების წევრი **ლუბა გოლოვინა.** მაშინ იგი ათი წლისა იყო, ახლა უკვე ცამეტისაა (1990 წლის 20 აპრილს არის დაბადებული), თბილისის 83-ე სკოლის VIII კლასში სწავლობს.

პატარაობიდანვე ცელქი და მოუსვენარი იყო. სავარძელში თავდაყირა იდგა და ისე უყურებდა ხოლმე ტელევიზორში მულტფილმებს. ერთხელ ამგვარ სურათს ცნობილი ტანმოვარჯიშის – ნინა დრონოვას აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვალენტინა კლიმოვა შეესწრო. იგი ოჯახის მეგობარია. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ავარჯიშებდა ლუბას დედას – ლუდმილა სოროკინას, რომელიც სამჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში (სხვათა შორის, ოჯახის უფროსი ვლადიმირ გოლოვინიც ტანმოვარჯიშე გახლდათ, ერთ დროს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრიც). სწორედ ქალბატონმა ვალენტინამ ურჩია მშობლებს, ბავშვი ბატუტზე ხტომის სექციაში მიეყვანათ და მისი დაკვალიანება და აღზრდა თვითონ ითავა.

ასე მოხვდა ლუბა გოლოვინა თბილისის სააფეჯო კომბინატის სპორტულ დარბაზში. მაშინ ოთხი წლისაც არ იყო. 1995 წლიდან ვალერი ჩხაბერიძესთან ვარჯიშობს. წარმატებით გამოდის სხვადასხვა შეჯიბრებაზე. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია თანატოლთა შორის. 1999-2000 წლებში ორჯერ გაიმარჯვა სამხრეთ რუსეთისა და ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების სპორტულ თამაშებში, რომლებსაც კრასნოდარმა უმასპინძლა.

1999 წელს II ადგილი დაიკავა ოდესის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, მომდევნო წელს კი მესამე იყო გერმანიაში „გრენცლანდის თასის“ გათამაშებაში. შარშანწინ დანიაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობაზე ვერცხლის მედალი ერგო, ხოლო დიდებში სოფიო გულიაშვილთან ერთად სინქრონულ ხტომაში მეოთხე იყო, შვედეთში „ფრივოლტენის თასი“ მოიგო.

შარშან გერმანიაში „გრენცლანდის თასი“ დაისაკუთრა, შვეიცარიაში კი ჯორჯ ნისენის თასის გათამაშებაში მეორე ადგილზე გავიდა; იყო საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი.

წლეულს კუნძულ კრეტაზე (საბერძნეთი) თანატოლთა შორის „ისლანდის თასი“ მოიპოვა. ამჟამად თბილისის მერიის სტიპენდიატია. დედაქალაქის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის ტანვარჯიშულ სკოლაში იმაღლებს ოსტატობას.



ლუბა გოლოვინამ თავისი პირველი ჯილდო 1995 წელს დაიმსახურა.

– მაშინ ხუთი წლის ვიყავი, – მითხრა მან. – ბუნდოვნად მახსოვს, რომ მოსკოვში საბარგო თვითმფრინავით ჩავფრინდით, ცუდ საერთო საცხოვრებელში ვათევდით ღამეს. ორი დღის შემდეგ რუსეთის დედაქალაქის ღია პირველობაზე გამოვედით. პირველთანრიგოსანთა შორის II ადგილი დავიკავე, არადა, შეჯიბრებაში ჩემზე 4-5 წლით უფროსები ასპარეზობდნენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მაშინ ჩვენი გუნდის წევრი თეონა ტყებუჩავა ავიდა.

**– შენს მიღწევებს რომ ვეცნობოდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, მგონი, უპრიზოდ არსად დარჩენილხარ...**

– როგორ არა: 2000 წელს პარიზის თასის ღია გათამაშებაზე სავალდებულო პროგრამის შემდეგ პირველ ადგილზე ვიყავი. მეორე დღეს ნებისმიერი პროგრამით მაღალი კოეფიციენტის რთულ კომბინაციებს ვასრულებდი. რისკმა არ გაამართლა. ბატუტზე დავეცი და საპრიზო ადგილებს მიღმა დავრჩი. იცით, რამდენი ვიტირე...

**– ეს „საწარმოო ტრავმა“ იქიდან ხომ არ მოგყვება?** – შეხვეულ მკლავზე მივანიშნე.

– (გაიცინა). გახსოვთ ფილმი „ბრილიანტის ხელი“? მეც ისე მომივიდა. ახლახან „ისლანდის თასის“ გათამაშებისას კრეტაზე რომ ვიყავი, დამლაგებელი სასტუმროს დერეფანს სველი ჩვრით წმენდდა. სწორედ იმ დროს მეც გამოვიარე. ფეხი გამიცურდა და დავეცი. მართალია, თაბაშირში არ ჩაუსვამთ, მაგრამ რუსუდან ხოფერიამ და სოფო გულიაშვილმა იდაყვზე სველი ნაჭერი დამადეს და შემიხვიეს. ასე მტკივანი ხელით გავედი შეჯიბრებაზე და თასი მოვიგე. თბილისში დაბრუნების შემდეგ სურათი გადავიღე – იდაყვთან ძვალი გაბზარული აღმოჩნდა, თუმცა, შეხორცება უკვე დაწყებულაო და თაბაშირში არ ჩამისვეს.

**– ლუბა, რა არის შენთვის ბატუტზე ხტომა და რას გაძლევს იგი?**

– უფრო პატარა რომ ვიყავი, ბატუტზე ხტომა ჩემთვის გართობა იყო, ახლა იგი ყოველდღიური შრომაა, მართალია, დამღლელი, მაგრამ სასიამოვნოც, რადგან ტურნირებზე გამარჯვებას სახელი მოაქვს და ხელფასიც. მშობლებს ვეხმარები ფულით. შარშან საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიას რომ ვიღებდი, ჩემთვის კომპიუტერი ვიყიდე, მამას კი მსუბუქი ავტომანქანის შეძენაში შევეშველე. ახლა თბილისის მერიის სტიპენდიას ვღებულობ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც მეხმარება. ეს ჩემთვის დიდი სტიმულია.

**– სამომავლოდ რას აპირებ?**

– ოქტომბერში გერმანიის ქალაქი ჰანოვერი ბატუტზე მხტომელთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. დიდებთან ერთად იქ სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებიც იასპარეზებენ. მე თოთხმეტწლიანთა პირველობაზე გამოვალ. მანამდე ბელგიასა და ჩეხეთში საერთაშორისო ტურნირები გაიმართება. ალბათ, იქაც გავემგზავრებით.

წინა შეჯიბრებებზე და ახლაც საბერძნეთის ტურნირზე წასასვლელად თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა სასპორტო სკოლამ (დირექტორი როზა ბერიკაშვილი) დაგვაფინანსა რამდენიმე სპორტსმენი. მომავალი შეჯიბრებებისთვისაც ქალბატონ როზას დახმარების იმედი გვაქვს...

ესაუბრა **ვაჟა დანელია.**

დასაქმება

# სურვილი იყოს, თორემ სამუშაო არის

## სამუშაო ადგილების ვაკანსიები 13 აგვისტოსთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 4 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 5 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 6 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 7 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 8 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 9 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 10 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 11 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 12 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 13 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 14 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 15 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 16 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 17 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 18 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 20 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

**დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციას გასცემენ დასაქმების სამსახურში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებზე. რეგისტრაციისთვის მოქალაქემ რაიონულ განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს: ა) პირადობის მოწმობა (პასპორტი); ბ) შრომის წიგნაკი; გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი);**

## დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები განთავსებულია:

**დიდუბე-ჩუღურეთის** რაიონული განყოფილება – დავით აღმაშენებლის 140-ა გამგეობის შენობა, I სართ. ტ. 94-24-98.

**ისანი-სამგორის** რაიონული განყოფილება – მოსკოვის გამზირი 25. ტ. 71-15-40.

**მთაწმინდა-კრწანისის** რაიონული განყოფილება – გ. გულუას I. გამგეობის შენობა, IV სართ. ტ. 72-01-30.

**ვაკე-საბურთალოს** რაიონული განყოფილება – კოსტავას 68-ა გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 33-23-97.

**გლდანი-ნაძალადევის** რაიონული განყოფილება – სარაჯიშვილის 1. გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 62-59-92.

რა არ ხდება...

# „აი, ეს ოთხი ბარათი“

**ვალერი გაზაევის ცსკა რუსეთის პირველობაზე მტკიცედ ლიდერობს და შეიძლება ჩემპიონიც გახდეს, მაგრამ კომენტატორებს დღემდე ვერ უპატიებიათ მისთვის ევროპის ჩემპიონატზე უსუსური თამაში, რომელსაც ამ მოკლე ხანში მაკედონურ „ვარდართან“, ექსპერტების აზრით, უპატიებელი მარცხიც დაემატა.**

როგორ არ მოიხსენიეს ვალერი გაზაევი, პირდაპირ გალანძღეს თუ ხუმრობით შემოიფარგლნენ, მაგრამ ერთმა მიმომხილველმა მასთან გასაუბრების მეტად ორიგინალური გზა მონახა. მან ჩვენთვის უცნობი ერთი სპორტული ანეკდოტი გაიხსენა. აი, ისიც:

ერთ-ერთი კლუბის მწვრთნელი სუსტი მუშაობისათვის მოხსნეს. გამომშვიდობებისას იგი ესაუბრა ახლად დანიშნულ მწვრთნელს და უთხრა: „გიტოვებ ოთხ ბარათს. როცა გაგიჭირდება, ჯერ ერთი კონვერტი გახსენი და წაიკითხე, შემდეგ, სხვა შემთხვევაში, მეორე და ასე შემდეგ“.

ახალმა მწვრთნელმა გუნდში მდგომარეობა ვერაფრით გამოასწორა. საქმე ცუდად მიდიოდა. მაშინ ადგა და პირველი კონვერტი გახსნა. იქ ეწერა: „ყველაფერი მე დამაბრალე“.

ახალი მწვრთნელიც სწორედ ასე მოიქცა და კლუბის მესვეურებთან საუბარში ყველაფერი ძველ მწვრთნელს დააბრალა. ასე როგორ შეიძლებოდა, ვთქვათ, გუნდის მომზადება, სასელექციო მუშაობის ჩაგდება, სხვათა რჩევების უგულებელყოფაო...

გუნდი კვლავ აგებდა და აგებდა. მაშინ ახალმა მწვრთნელმა მეორე კონვერტი გახსნა. იქ ეწერა: „ყველაფერი მოთამაშეებს დააბრალე“. მწვრთნელიც ასე მოიქცა – ასეთი უგერგილო, უხეირო, უნიჭო მოთამაშეებით ვერავინ ვერაფერს გააკეთებსო.

მდგომარეობა არც შემდეგ გამოსწორებულა. მწვრთნელმა იფიქრა, მესამე კონვერტის გახსნის დრო დადგაო, იქ კი ეწერა: „მთელი ბრალი შენს თავზე აიღე, სხვას ნურაფერს დააბრალებ“.

საინტერესოა, მაინც რა ეწერა იმ უკანასკნელ, მეოთხე ბარათში? მწვრთნელმა გახსნა კონვერტი და წაიკითხა: „ახლა კი ახალი ოთხი ბარათი დაამზადე!“

რომელი ბარათი უნდა გახსნას ვალერი გაზაევმა? ეტყობა, მეორე: „ყველაფერი მოთამაშეებს დააბრალე!“

**გივი თორელი.**

ბრიფინგი

# 1500-ზე მეტი სოციალურად დაუცველი ადამიანი უფასოდ დაისვენებს

**საქართველოს** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართული ტრადიციული ბრიფინგი, რომელსაც მინისტრის პირველი მოადგილე **მარინა ღუდუშაური** უძღვებოდა, ტრადიციულად ეპიდსიტუაციის ინფორმაციით დაიწყო. როგორც სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **რამაზ ურუშაძემ** აღნიშნა, გასულ კვირას ჯილეხით დაავადების ორი შემთხვევა დაფიქსირდა. გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერაში ბალახთან კონტაქტის შედეგად 47 წლის მამაკაცი დაავადდა, ქალაქ რუსთავის მკვიდრი 43 წლის მამაკაცი კი აზერბაიჯანში ძმასთან სტუმრობისას თხის გატყავების დროს დასნებოვნდა. მათ რუსთავის საავადმყოფოში მკურნალობენ. თბილისელი 78 წლის ქალბატონი რაიონში ყოფნისას ტეტანუსით დაავადდა. მან, სამწუხაროდ, გვიან მიმართა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრს, რის გამოც იგი გარდაიცვალა.

ბატონ რამაზ ურუშაძის ინფორმაციით, სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა მობილური ბრიგადა ეწვია მთათუშეთის რეგიონს, სადაც გამოიკვლიეს ადგილობრივი მოსახლეობა და მათ 74 დასახელების პირველადი დახმარების მედიკამენტები საჩუქრად გადასცეს.

**საქციო** საზოგადოება ნარკოლოგიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა **გელა ლეჟავამ** ბრიფინგის მონაწილეთ წარუდგინა ქვეყნის სავაჭრო ქსელში შემოტანილი პოლიეთილენის 500 და 100-გრამიან პარკებში დაფასოებული ყაყაჩოს თესლი (ხაშხაში), რომელიც იყიდება როგორც კულინარული მომსახურების პროდუქტი. წარწერის მიხედვით ეს პროდუქტი დამზადებულია ჩინეთსა და გერმანიაში, გამყიდველების განცხადებით კი შემოტანილია რუსეთიდან და უკრაინიდან, როგორც კვების პროდუქტი.

ბატონი გელას ვარაუდით, ყაყაჩოს თესლი შემოტანილია ჰოლანდიიდან. ეს არის მზამზარეული ერთგვარი პრეკუსტორი (რომლისგანაც ნარკოტიკს ამზადებენ) – საქმე ის გახლავთ, რომ, – თქვა ბატონმა გელამ, მასში გაცილებით მეტი ნარკოტიკული ნივთიერებაა, ვიდრე უნდა იყოს.

საქართველოში 3-4 თვეა, რაც ეს პროდუქტი შემოიტანეს, თქვა ბატონმა გელამ და აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ აქამდე პროკურატურაში საქმე არ არის აღძრული.

მინისტრის უფროსი მრჩეველის **ჯონი ჯანაშიას** განცხადებით, თუ ამ ფაქტს სამართალდამცველების მოქმედება ახლავე არ მოჰყვა, მან შეიძლება უკურეაქცია გამოიწვიოს...

უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა **ვანო ბერიძემ** კი ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დგინდება, თუ ვინ და რომელმა ფირმამ რა გზით შემოიტანა ეს „კულინარიული დანიშნულების“ ნაწარმი.

ქალბატონმა **მარინა ღუდუშაურმა** ჟურნალისტებს ამ თემის გაშუქების ზომიერებისაკენ მოუწოდა, მისი თქმით, რაკი ეს საკითხი უკვე დგას და პრესკონფერენციაზეც გამოვიდა, მისით შესაბამისი ორგანოები არიან დაინტერესებული, და მოკვლევის შედეგებს დაველოდოთ.

ჯანდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დირექტორმა **თემურ ჯაფარიძემ** წარმოადგინა ინფორმაცია სამინისტროს სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციის მიერ 2003 წლის 6 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. საანგარიშო პერიოდში ტერიტორიულ სასამართლო ორგანოებში შემოწმების ჩატარების ნებართვის მისაღებად გადაიგზავნა 241 შუამდგომლობა, აქედან შემოწმების თაობაზე ბრძანება გაიცა 211 შემთხვევაში. შემოწმების შედეგად 10 შემთხვევაში შემდგომი რეაგირებისათვის მასალები გადაეგზავნა გენერალურ პროკურატურას, 113 ფარმაცევტულ და სამედიცინო დაწესებულებაზე დაისვა საკითხი ლიცენზიის შეჩერების შესახებ, 2 შემთხვევაში დაისვა მედპერსონალის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი (თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე), გამოვლინდა ექიმების მიერ ყალბი სერტიფიკატის აღების ფაქტები, უმცროს ექიმად გადაყვანილია 8 პიროვნება, გათავისუფლდა 26 ექიმი. გაწეული მუშაობის შედეგად 97 პროცენტის შემთხვევაში სულ აღმოფხვრილია უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობის ფაქტი.

მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია გაკონტროლებამდე მეწარმეს გადასცეს მისი უფლებებისა და მოვალეობების წერილობითი ჩამონათვალი, შემმოწმებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანება, რაიონული მოსამართლის ბრძანება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თუ სამინისტროს მაკონტროლებელი სამსახური არ აკმაყოფილებს „სამეწარმეო კონტროლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მის თანამშრომელთა მხრიდან ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, ან თუ მეწარმეს არ წარუდგინეს სათანადო დოკუმენტები დარღვევაზე ოპერატიულად რეაგირებისა და სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით სამინისტროში (გენერალური ინსპექცია) მოქმედებს „ცხელი ხაზი“, – თქვა ბატონმა თემურ ჯაფარიძემ და ტელეფონის ნომრების გამოქვეყნება გვთხოვა: 37-79-96; 38-78-73; (877) 79-39-34; (893) 32-01-79; (899) 54-08-89.

**მსოფლიოში** დედათა და ბავშვთა მეთვალყურეობის სისტემა აგებულია იმაზე, რომ პირველად დაწესებულებებს, კონტროლი გაუწიოს პერინატალურმა ცენტრმა, რაც საქართველოში დღემდე არ არსებობდა. ასეთი ცენტრის შექმნა მსოფლიო ბანკის დახმარებით ჩვენთან 1994 წელს დაიწყო, მაგრამ მიზეზთა გამო მისი განხორციელება ფაქტობრივად მხოლოდ 1997 წლიდან დაიწყო. და წლეულს, გახდა შესაძლებელი. ქვეყანაში 2000 წლიდან რეფერალური სისტემა მოქმედებს – სისტემა ემსახურება მაღალი რისკის ორსულებს, მშობიარეებს, ახალშობილებს.

პერინატალური ცენტრის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა მისი მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე დაფუძნება, სწორედ ასეთი დაწესებულებაა ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის პერინატალური სამსახური. ეს სამსახური გაშლილია 70 საწოლზე, საიდანაც 30 ემსახურება სამშობიარო ბლოკს, 15 გინეკოლოგიურ ბლოკს, 25 კი ნეონატალურ ბლოკს. რეფერალური პროგრამა ხორციელდება ცენტრის კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის სამსახურისა (ხელმძღვანელი კახა ჩიხრაძე) და პერინატალური სამსახურის (ხელმძღვანელი რეზო სულუხია) მეშვეობით.

ნეონატალური ბლოკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ბიოლოგიური სურფაქტანტი, რომელიც ღუდუშაურის ცენტრის პერინატალური სამსახურის სამკურნალო სტანდარტებშია შეტანილი. ახალშობილთა სიკვდილიანობა ხშირად სუნთქვის მოშლილობით არის გამოწვეული და ეს პრეპარატი კი ახალშობილთა სუნთქვით პროცესს არეგულირებს. ეს ნამდვილი მონაპოვარია.

**მინისტრის** მოადგილემ მანონ ხაჩიძემ ღიმილით გვამცნო, მეტად მშვიდობიან ინფორმაციას მოგაწვდითო. და მართლაც, მან მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენელთა საკურორტო-სარეაბილიტაციო უზრუნველყოფის თაობაზე ისაუბრა, რაც წლეულს პირველად განხორციელდა ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ. საკურორტო პროგრამა განკუთვნილი იყო კანონით განსაზღვრული კონტინგენტისათვის, კერძოდ: მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების, მონაწილეების, შეიარაღებული ძალების ვეტერანების, 9 აპრილს დაინვალიდებულებისა და ინვალიდი ბავშვების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის წევრებისათვის. ცალკე ლოტად გამოცხადდა სამედიცინო ჩვენების შესაბამისად მოქალაქეთა სხვა კატეგორიები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცერებრალური პათოლოგიების მქონე ბავშვთა (18 წლამდე) დაბა ურეკში, აგრეთვე, სპინალური პათოლოგიების მქონე მოზრდილთა (18 წლის ასაკს ზევით) ინდივიდუალური საკურორტო რეაბილიტაციის პროგრამა.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში შემოსული იყო 2000-მდე ინდივიდუალური განცხადება, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციების წინადადებები და მოთხოვნები საკურორტო პროგრამაში მათი ჩართვის თაობაზე.

განცხადებების მიღება თებერვლიდან დაიწყო და უკვე დასრულებულია. საკურორტო რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების გამჭვირვალობისა და საკურორტო საგზურების მიზანმიმართული განაწილების მიზნით შეიქმნა კომისია, რომლის მუშაობაში ფონდის პასუხისმგებელ თანამშრომელთა და პრესსამსახურის გარდა მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ჩვენი სამინისტროს, თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის, სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის, პენსიონერთა და ვეტერანთა პროფესიული კავშირის და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სულ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაბა ურეკში, ბორჯომის რაიონის კურორტების ორ ბაზაში „ცემსა“ და „მზიურში“, კურორტ ახტალაზე შპს „ალაზნის“ ბაზაზე სულ 1500-მდე ბენეფიციარი გაივლის საკურორტო რეაბილიტაციას, – თქვა დასასრულ ქალბატონმა მანონ ხაჩიძემ და ზემოთ ჩამოთვლილ კურორტებზე მონიტორინგის განსახორციელებლად პრესის წარმომადგენლები მიიწვია, იმისათვის, თუ დამსვენებლებს ადგილებზე როგორ მოემსახურებიან.

პირველი ნაკადი 15 აგვისტოდან დაისვენებს. მანონ ხაჩიძემ ერთხელ კიდევ ხაზგასმით გაიმეორა, რომ ეს საგზურები უფასოა.

**ბელა დურგლიშვილი.**

ყოველი მხრიდან

## „დედოფალი“ შეიცვალა

**პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა „სადედოფლო ტახტის“ მფლობელი შეიცვალა – კვირას ლოს-ანჯელესის ტურნირზე გამარჯვების შემდეგ „გადედოფლდა“ 20 წლის ბელგიელი კიმ კლიისტერსი. მან შეცვალა მთელი 57 კვირა ტახტზე მჯდომი ამერიკელი სერენა უილიამსი.**

კიმი ქალთა საჩოგბურთო ასოციაციაში 5 წლის წინ გამოჩნდა და მას შემდეგ სულ წინ და ზევით მიიწევს. 1998 წელს მსოფლიო რეიტინგში იგი 409-ე იყო, 1999 წელს – 47-ე, 2000 წელს – მე-18; 2001 წელს – 35-ე, ხოლო 2002 წლიდან – მე-4. წლეულს მან უკვე 6-ჯერ გაიმარჯვა ქალთა ტურნირებში.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული ჩოგბურთის ისტორიაში პირველად ბელგიელი ისე გახდა პლანეტის პირველი ჩოგბურთელი, რომ აქამდე „დიდი მუზარადის“ არც ერთ ტურნირში არ გაუმარჯვია.

აქვე გაცნობებთ, რომ 12 აგვისტოსთვის გამოქვეყნებულ მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილზე „ჩამოლაბორანტებული“ სერენა უილიამსია, მესამეზე – ენენარდენი (ბელგია), მეოთხეზე – დევენპორტი (აშშ), მეხუთეზე კი სერენას უფროსი და ვინუსი.

ვაჟთა შორის წლევანდელი შედეგებით ლიდერობს ფედერერი (შვეიცარია), 52-კვირიანი მაჩვენებლებით კი – აგასი (აშშ).

## მილიონი დოლარი – ათენში გამარჯვებისათვის

**როგორც არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყებიან, თითოეული რუსეთელი სპორტსმენი, რომელიც 2004 წელს ათენში ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალს მოიპოვებს, მილიონ დოლარს მიიღებს.**

როგორც ამბობენ, ამაზე შეთანხმდნენ რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვიაჩესლავ ფეტისოვი და ქვეყნის მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები, შეხვედრაზე, რომელიც 9 აგვისტოს, ფიზკულტურის დღეს გაიმართა. თანაც ასეთ პრიზს მიიღებენ არა მხოლოდ ინდივიდუალურ სახეობებში გამარჯვებულები, არამედ – გუნდურშიც.

## რეკორდები უნდა გაუქმდეს

**ასეთი ინიციატივით შესვლას აპირებენ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მძლეოსნობის ფედერაციები მძლეოსნობის უახლოეს კონგრესზე, რომელიც 20-21 აგვისტოსთვის არის დაგეგმილი პარიზში, მსოფლიო ჩემპიონატის წინ.**

2000 წლამდე დამყარებული ყველა მსოფლიო რეკორდი უნდა გაუქმდეს. 80-იან, 90-იან წლებში დამყარებული რეკორდების დამხობა შეუძლებელია, რადგან ისინი დამყარებულია დოპინგმიღებული სპორტსმენების მიერ“, – განაცხადა ნორვეგიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა სვეინ არნე ჰანსენმა.

ვითომ კონგრესი მათ მხარს დაუჭერს?

## ბექჰემი – 100 მილიონ გირვანქად

**არა, ისე არ გეგონოთ, რომ მადრიდის „რეალის“ ახალი შენაძენი, ინგლისელი დევიდ ბექჰემი ისევ იყიდება. მასთან, უახლოეს ხანში სპორტის ისტორიაში ყველაზე ძვირი – 100 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების კონტრაქტის გაფორმებას აპირებს გერმანული კომპანია** Adidas. ამდენი ფული ჯერ არ მიუღიათ ამ მხრივ რეკორდსმენებს – მეგოლფე ტაიგერ ვუდსს, კალათბურთელ მაიკლ ჯორდანსა და პილოტ მიხაელ შუმახერს.

ინგლისის ნაკრების კაპიტანი, 28 წლის დევიდ ბექჰემი კონტრაქტის გაფორმებისთანავე მიიღებს 80,5 მილიონ დოლარს, შემდეგ კი – პროცენტებს ამ ფირმის სპორტული საქონლის გაყიდვიდან. მას შემდეგ კი, როცა ბექჰემი სპორტულ კარიერას დაამთავრებს, ის დარჩება Adidas-ის სავაჭრო მარკის სახედ და მის წარმომადგენლად მთელ მსოფლიოში.

## ვინ გაიყოფს ჯეკ-პოტს?

**მინიმუმამდე შემცირდა იმ სპორტსმენთა რიცხვი, ვინც ითვლებოდა მძლეოსნობის მსოფლიო ფედერაციის „გრან-პრიზე“ – მილიონ დოლარზე პრეტენდენტთა რიცხვში.**

როგორც წესი, პრეტენდენტებს უნდა გაემარჯვათ თავის სახეობაში ექვსივე ეტაპზე. ბერლინის მე-4 ეტაპის შემდეგ დაუმარცხებელი დარჩა მხოლოდ 800 მეტრზე მორბენალი, მოზამბიკელი მარია მუტოლა.

ბერლინში ჯეკ-პოტის მაძიებლებს გამოაკლდა კიდევ ერთი პრეტენდენტი, სპრინტერი ქალი ბაგამის კუნძულებიდან ჩანდრ სტარაპი. 100 მეტრზე სირბილში ის მხოლოდ მესამე იყო. მართალია, 80 მეტრამდე შეჯიბრებას სათავეში ედგა, მაგრამ ფინიშთან მას წამოეწივნენ და გაუსწრეს კიდევაც ამერიკელებმა კელი უაიტმა და კრისტი ჰეინსმა.

„საშინლად ვწუხვარ, რომ დავმარცხდი, – აღიარა ჩანდრამ, – ჯეკ-პოტის ნაწილიც რომ ამეღო, ჩემი ქვეყნის ისტორიაში შევიდოდი, ახლა კი მთელი ძალით მუტოლას უნდა ვუქომაგო“.

## ცინცხალი ამბავი

**რამდენიმე წლით პატიმრობა ელის 54 წლის კორნელიუს ხორანს, რომელმაც კინაღამ ჩაშალა „დიდი ბრიტანეთის გრან-პრის“ წლევანდელი შეჯიბრი. მან „ფორმულა-1“ რბოლების დროს აკრძალულ ტერიტორიაზე ამოჰყო თავი რელიგიური შინაარსის პლაკატით. ამ ტრასაზე მანქანები მინიმუმ 300 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობენ. დამტკიცდა, რომ ამგვარი ქმედებით მას ალრეც სურდა შეჩრილიყო უიმბლდონის ცენტრალურ კორტებზე, კრიკეტის მატჩსა და რაგბის მოედანზე. პირველ სექტემბრამდე, როდესაც საქმის განხილვა დაიწყება, სასამართლომ მისი დროებით პატიმრობაში აყვანის გადაწყვეტილება გამოიტანა..**

სპორტის რედაქცია

## განცხადება

დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 1/14/11/28/6 გაც. 30.07.2001 წ, რომლითაც განისაზღვრება ქ. თბილისში ი. აბაშიძის ქ. № 56 მცხოვრებელ პირთა საკუთრების უფლება. მპოვნელი დასაჩუქრდება.

**მისამართი: ი. აბაშიძის 56, ლოთვაძე ბიძინა.**
25-32-16.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ეს სამახსოვრო სურათი გადაღებულია ზღვის დონიდან 2025 მეტრზე მდებარე გოდერძის უღელტეხილზე, როდესაც ვალენტინა (მარცხნიდან), ვახტანგ, ედუარდ გენძეხაძეები, რაჟდენ დიასამიძე და ალექსანდრე გენძეხაძე კურორტ „ბეშუმისაკენ" მიემგზავრებოდნენ. 1983 წლის ზაფხული.

მოგვაწოდა ნოდარ მახარაძემ.

## მხარე

# ღრმავდება კახეთის მეგობრობა პოლონეთთან

**დასრულდა კახეთის მხარის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი პოლონეთის კარპატებისპირეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ბიძინა სონღულაშვილის ხელმძღვანელობით.**

საქმიანი შეხვედრები გაიმართა დამეგობრებული მხარის ხელისუფლების, ბიზნესის, ჯანდაცვის, განათლების წარმომადგენლებთან. ისაუბრეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე, კახეთსა და პოლონეთს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის გაფართოებაზე.

ვიზიტის დროს განიხილეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალსა და ქ. ჟეშოვის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას ამ ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის. ოქტომბრის თვეში პოლონეთში სასწავლებლად გაემგზავრება სტუდენტთა ჯგუფი, რომლის ტრანსპორტირების, კვების, სწავლის და სხვა საკითხებს ორივე მხარე უზრუნველყოფს.

მოსწავლეთა ჯგუფი კი მომავალი წლის ზაფხულში ეწვევა პოლონეთს.

პოლონეთში ყოფნის დროს ქართველმა სტუმრებმა მოინახულეს კარპატებისპირეთის მხარის რამდენიმე სამრეწველო საწარმო. დაისახა მრავალი კონკრეტული ღონისძიება.

დაგეგმილია პოლონელ ბიზნესმენთა ვიზიტი კახეთში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მარმარილოსა და ეთერზეთების წარმოების პერსპექტივით, მათთან ერთად ჩამოვა ჯგუფი სპეციალისტებისა, რომლებიც დაესწრებიან კახეთში პოლონეთის სამრეწველო ობიექტის და სავაჭრო სახლის გახსნას.

კარპატებისპირეთში დიდი ავტორიტეტი აქვს ქართულ ღვინოს და ბორჯომს, საფუძვლიანად შემუშავდება პოლონეთში მათი ექსპორტის საკითხი.

კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ბიძინა სონღულაშვილმა უდიდესი მადლიერება გამოხატა კარპატებისპირეთის მხარის ხელმძღვანელობის მიმართ გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ კახეთსა და პოლონეთს შორის არსებული ურთიერთობანი მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით ვითარდება და მომავალში უფრო მაღალ საფეხურზე ავა.

**კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის პრესცენტრი.**

## არდავიწყება

# „არაფერი არ მებადა, სიმღერის და ლექსის გარდა"



ვერის ბაღში, „ლურჯ" მონასტერში დაესვენებინათ **რობერტ ბარძიმაშვილი.** მთელ სიგრძეზე – კარიბჭემდე მისი მოწაფეები იდგნენ – დაღვრემილი, შავპერანგიანი გოგო-ბიჭები... მონასტრის ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა, ტელეჟურნალისტებს ინტერვიუებს აძლევდნენ და დიდ მაესტროზე საუბრობდნენ ბუბა კიკაბიძე და რომან რცხილაძე...

დინამიკიდან კი იღვრებოდა:

*„გულმართალი კაცი მიყვარს,*
*სიკეთის გზით ანთებული,*
*მეგობრისთვის გზად და ხიდად*
*გადებული...*
*არაფერი არ მებადა,*
*სიმღერის და ლექსის გარდა,*
*მეგობარი მე ყოველთვის*
*გვერდით მეგდა...*

ვაჟა დურგლიშვილის მელოდიას მღეროდა რობერტი...

ისე მოხდა, რომ მერე მონასტრის ეზოში გვერდიგვერდ ვიდექით მე და ვაჟა დურგლიშვილი...

– ეს სიმღერა სპეციალურად დავწერე მისთვის ნუგზარ ერგემლიძის ტექსტზე – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ვაჟამ, – საერთოდ, სპეციალურად მაქვს ბატონი რობერტისთვის დაწერილი – „ჩემი თბილისი მეძახის გარეთ, თბილისელებთან ქეიფი მინდა"... „გასწით ხარებო"...

– სოლო სიმღერა, სამწუხაროდ, ბევრი არ დარჩენია... სულ ანსამბლების შექმნას, სულ სხვებს მოახმარა თავისი ნიჭი და უნარი, – ვთქვი მე.

– სწორია, სხვებს გადაჰყვა, ერთი საკუთარი ფირფიტა არ დაუტოვებია. ვეუბნებოდი ხოლმე, ახალი ინსტრუმენტები შემოვიდა, სხვა ჟღერადობა შეიძინა მუსიკამ, განვაახლოთ ძველი ჩანაწერები-მეთქი, ვერაფრით დავითანხმე... ვერ იცლიდა... ძალიან მატკინა გული, იგი ჩემი დიდი მასწავლებელი იყო.

...მერე ზაფხულის ხვატში დიდუბის მიწას მივაბარეთ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ქართველი მუსიკოსი, ლეგენდარული „ორერას" შემქმნელი, უამრავი ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლისა და მუსიკოსშემსრულებლის აღმომჩენი, დიდ ასპარეზზე გამომყვანი...

...და, ორმოცი დღეც გალეულა... იგი უკვე სულეთშია, თავის წინაპრებთანაა, ნაადრევად წასულ თავის მეგობრებთანაა...

მართლა როგორ ჰყვარებია ყველას: დღე არ ჩაივლის, მისი სიმღერა რომ არ მოვისმინოთ, რომელიმე რადიო – ან ტელეარხით, ვინმემ არ ისაუბროს იმ სიკეთეზე, რაც ქართულ კულტურას, ქართულ საესტრადო ხელოვნებას შესძინა და დაუტოვა რობერტ ბარძიმაშვილმა.

და გაისმის ისევ სევდიანად:

*მე სიცოცხლე, დამიჯერეთ,*
*მისთვის მინდა,*
*ვიმღერო და სიყვარულით*
*სიყვარულში დავიხარჯო,*
*მეც დავიდო თქვენს გულებში*
*ერთხანს ბინა,*
*და, გავიხარო...*

ერთხანს კი არა, საერთოდ დროს გაჰყვება სახელი კაცისა, რომელმაც სიცოცხლე მართლაც სიმღერაში, სილამაზის ტრფიალში, მშობელი ხალხის სიყვარულში დახარჯა.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

## სიტუაცია

# ანძები საფრთხეს არ ქმნის

**ზუგდიდში,** ენგურქაღალდკომბინატის საქვაბე მილზე, დიდი ხანია დამონტაჟებულია „ჯეოსელისა" და „მაგთის" სატელეფონო ანძები. უბნის მოსახლეობამ საიდანღაც მიიღო ინფორმაცია, რომ ისინი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. რადგან მათ ქვეშ, ყოველგვარი დამცავი მექანიზმის გარეშე, თითქოსდა, ჩამარხულია ურანი.

ჰოდა, კომბინატში გაიმართა კიდეც მოსახლეობის წარმომადგენელთა საპროტესტო აქცია, სადაც მოითხოვეს ანძების ჩამოხსნა.

მისასალმებელია მოსახლეობის ესოდენი სიფრთხილე და ოპერატიულობა, მაგრამ, როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების სახელმწიფო ზედამხედველობის ინსპექციის დასკვნაშია ნათქვამი, ამ ანძების ელექტრომაგნიტური ველის ენერგიის ნაკადის სიმკვრივე არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ დონეს. პირიქით, ნორმაზე თორმეტჯერ ნაკლებია.

ასე რომ, მოსახლეობის ჯანმრთელობას ანძებისაგან საფრთხე არ ემუქრება.

**ოდიკ ძუხილავა,**
„სრ" საკ. კორ.

## ტკივილი

# ტრაგედია მდინარე ყვირილაზე

**10 აგვისტოს 20 საათზე, ქალაქ ჭიათურაში საშინელი ტრაგედია მოხდა.**

საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთაში მცხოვრებ უჩა ცარციძეს სამი მცირეწლოვანი შვილი სოფელში მიჰყავდა.

მან ჭიათურაში, თხელიძის ქუჩაზე, ავტოსადგომთან ბავშვები მდინარე ყვირილას ნაპირზე ძელსკამზე დასხა და ავტომანქანის მოსაყვანად გავიდა.

რამდენიმე წუთში ძელსკამს, რომელზეც ბავშვები ისხდნენ, უკუსვლით დაეჯახა დიდი სიჩქარით მომავალი ავტომანქანა „ვაზ-06".

ძლიერმა დარტყმამ 8 წლის ბაქარ ცარციძე მდინარე ყვირილაში გადააგდო, პატარა ელენეს ფეხი მოსტეხა, სალომემ კი მსუბუქი დაზიანება მიიღო. ავტომანქანაც, შიგ მსხდომ პირებთან ერთად, 6 მეტრის სიმაღლიდან მდინარეში გადავარდა.

ბავშვების მამა უჩა ცარციძე სასოწარკვეთილი გადაეშვა მდინარეში, მას შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციის მუშაკები რამაზ ხვედელიძე, მამია პაპიძე და სხვა პირებიც მიჰყვნენ. თავგანწირული მოქმედების მიუხედავად, პატარა ბაქარი მდინარემ წაართვათ. ავტომანქანაში მსხდომთაგან ადგილზე დაიღუპა ფრიდონ ნეფარიძე.

შემთხვევის მომენტისათვის მამის კუთვნილ ავტომანქანას მამუკა დევიძე მართავდა, იგი თავის მეგობრებთან ერთად პოლიციელებმა იხსნეს დაღუპვისაგან. ყვირილაში დამხრჩვალი პატარა ბაქარ ცარციძე საგუბართან გაშლილი ფეხბურთის ბადეების გამოყენებით მეორე დღეს აღმოაჩინეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს მოკვლევა.

**სოზარ კუპატაძე,**
„სრ" საკ. კორ.

## ღიმილის დოზა

**ვაჰაბიტები** იგივე ჰობიტები არიან, ოღონდ წვერებიანი და ბოროტები.

* * *

**ორი** ებრაელი სასაფლაოს ხეივანში მიდის.

— აბრამ, შეხედე, რა საფლავი აქვს რაბინოვიჩს. სიამოვნებით დავწვებოდი მასთან ერთად. შენ?

— მე სიამოვნებით დავწვებოდი ქალბატონ ბროდსკაიასთან.

— ბროდსკაია რომ ცოცხალია?!

— სწორედ ამიტომ!!!

* * *

**ბიჭი** და გოგო ტელეფონით არშიყობენ.

ბიჭი:

— შენ, ალბათ, ძალიან ლამაზი ხარ!

— რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ სხვაგვარად ბუნება შენი სიშტერის კომპენსირებას ვერ შეძლებდა.

* * *

— **გამოუცვალე** თევზებს წყალი აკვარიუმში?

— რატომ უნდა გამომეცვალა? ჯერ ეს არ დაულევიათ.

* * *

**მონღოლეთში** ტყუპების კონკურსი გაიმართა. გაიმარჯვა ყველამ.

* * *

**XXI საუკუნეში** ადამიანი ადამიანს არ მოკლავს, არ იქურდებს, არავის არ გააუპატიურებს. მის ნაცვლად ყველაფერ ამას რობოტები გააკეთებენ.

* * *

**მაშველი** ზღვის ნაპირზე დგას და მეგაფონით ყვირის:

— ნავი 99-ი! დაუყოვნებლივ მოადექით ნაპირს.

არავინ უპასუხებს.

იმეორებს:

— ნავი — 99-ი! დაუყოვნებლივ მოადექით ნაპირს.

არავითარი რეაქცია.

ამ დროს გამოჩნდება პლაჟის პატრონი და მაშველს ეუბნება:

— გადაირიეთ? ჩვენ მხოლოდ 70 ნავი გვაქვს!

მცირე პაუზის შემდეგ მაშველი:

— ნავი 66-ი! რამე პრობლემა გაქვთ???

* * *

**„პლეიბოი"** გეგმავს ახალი ჟურნალის გამოცემას ცოლ-შვილიანი მამაკაცებისთვის. ყოველი თვის ნომერს გარეკანზე ექნება ერთი და იმავე ქალის ფოტო.

* * *

**რეკლამა:**

ჩვენი ფირმა შეგისრულებთ ნებისმიერ სამღებრო სამუშაოს თქვენი სიდედრის ბინაში.

100-პროცენტიანი ტოქსიკურობა გარანტირებულია.

* * *

**ორი** მეგობარი ქალი საუბრობს:

— გუშინ ეკლესიაში არ შემიშვეს — შეუფერებლად ხარ ჩაცმულიო.

— გუშინ მეც წავედი ეკლესიაში, მოვიხურე შავი თავშალი, ჩავიცვი შავი, ყელდახურული, კოჭებამდე კაბა და არ შემიშვეს.

— რატომ?!

— შაჰიდი ხარო.

შპს „პრესა-2002" სარეზერვო დამკაბადონებლად სამუშაოდ იწვევს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს.
ტელ: 99-06-88, 899-56-01-77.

## საქართველოს იუსტიციის საბჭოს განცხადება

2003 წლის აგვისტოს თვეში გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის დამატებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭო აცხადებს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

**თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე — 3 საშტატო ერთეული.**

**კონკურსში** მონაწილეობისათვის საბუთები მიიღება 2003 წლის 13 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით, სამუშაო დღეებში 10-დან 17 საათამდე.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის საბჭოში: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №80, ტელეფონი: 95-20-52, 95-81-74.

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

United Nations Development
UNDP Georgia

## გაეროს განვითარების პროგრამას პატივი აქვს გამოაცხადოს ტენდერი

საოფისე ტექნიკის შესყიდვისათვის პროექტისათვის GEO/03/U09 — „ქალთა რეგიონალური ცენტრის დაარსება სამცხე-ჯავახეთში".

ტექნიკური აღწერილობა შეგიძლიათ მიიღოთ გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის მისაღებში 13 აგვისტოდან სამუშაო საათებში (მისამართი: გაეროს სახლი, ერისთავის ქუჩა 9, თბილისი, საქართველო. ტელ: (995-32) 99-85-58, 25-11-26/28/29/31) ან გაეროს განვითარების პროგრამის ვებგვერდზე: წინადადებების მიღების ბოლო ვადაა ა/წ 22 აგვისტო, პარასკევი, 16 საათი.

## ხსოვნა

### ოთარ კუპატაძე



მართვის ევროპული უმაღლესი სკოლა იესემ-თბილისი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ოთარ კუპატაძე.**

ბატონი ოთარი 1994-2002 წლებში მუშაობდა იესემ-თბილისში პრორექტორად სასწავლო დარგში, ხოლო 2002 წლიდან დღემდე ეკონომიკის პროგრამის ხელმძღვანელად.

ოთარ კუპატაძე იყო ღრმა ერუდიციის, მაღალზნეობრივი, პროფესიონალი, მომთხოვნი და პრინციპული საქმეში, მაგრამ რბილი და დამთმობი პირად ურთიერთობებში. იგი გამოირჩეოდა თავისი ტაქტითა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით კოლეგებისა და სტუდენტების მიმართ.

ოთარ კუპატაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ინსტიტუტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის.

იესემ-თბილისი თანაგრძნობას უცხადებს ოთარ კუპატაძის ოჯახს.

**იესემის რექტორატი.**

## მადლობა

# მხედველობაც დამიბრუნეს და მომავლის იმედიც

ალბათ, მკურნალისათვის არ არის იმაზე დიდი ბედნიერება თვალის ჩინი დაუბრუნოს ადამიანს. მაგრამ, მერწმუნეთ, მისთვის, ვისაც დაემუქრა საშიშროება, ველარ იხილოს სამყაროს მშვენიერება, ეს კიდევ უფრო დიდი ბედნიერებაა. მე, პირადად, სრულიად შემთხვევით მიღებული ტრავმის გამო კინაღამ დავკარგე ერთ თვალში მხედველობა. კლინიკა „მზერამ" და შესანიშნავმა ოპერატორმა გიორგი ჩიჩუამ, ექიმმა მაია ნოზაძემ დამიბრუნეს მხედველობაც და მომავლის იმედიც...

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით უდიდესი მადლობა მოვახსენო ამ შესანიშნავ სპეციალისტებს და გულისხმიერ ადამიანებს, ვუსურვო მათ დიდი პირადი ბედნიერება და პროფესიული წარმატება.

**ჯუმბერ ნაზღაიძე.**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დირექცია სამძიმარს უცხადებს პროფესორ პროკოფი ხვიჩიას მეუღლის

ლიანა ბაბუნია-ხვიჩიას

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის მეცნიერებათა რეგიონალური აკადემია სამძიმარს უცხადებს აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოს) პროკოფი ხვიჩიას მეუღლის

ლიანა ბაბუნია-ხვიჩიას

გარდაცვალების გამო.

---

სს „ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ პროფესორ ოთარ ზენაიშვილს გარდაეცვალა სიძე

ნუგზარ წიკლაური

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ტროპიკოლოგის" თანამშრომლები იუწყებიან, რომ პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის პროფესორ ოთარ ზენაიშვილს გარდაეცვალა სიძე

ნუგზარ გიორგის ძე წიკლაური

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

---

საქართველოს კონტროლის პალატა თანაუგრძნობს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეს ქალბატონ თამარ ბიჭიკაშვილს

მამამთილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე თამაზ, შვილი ქეთევან გაფრინდაშვილები, შვილიშვილები თამარ, სანდრო ჯიქიები, ძმისწულები თამარ, დავით სვანიძეები, სიძეები მერაბ ჯიქია, იუზა ჭანკვეტაძე, ბიცოლა კატუშა ტოგონიძე, მული ნონა გაფრინდაშვილი, მაზლები ემზარ, მურად გაფრინდაშვილები, რძლები მავრა ჯაში, ლამარა შაფათავა, ლამარა სოსელია, გალინა, ლეილა გაფრინდაშვილები, თამარ ჭანტურია, მძახალი გუგული ჯიქია და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

ნაირა (ნანი) შალვას ასულ სვანიძე-გაფრინდაშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 14, 15 VIII, 5 სთ-ზე, გამოსვენება 16 VIII, 3 სთ-ზე, ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. 30 ა, III სადარბაზო, მე-6 სართული.

---

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეონიდე ვაშალომიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე დოდო გოგლიძე, შვილები მარინა, თამაზი, და მედეა ხოსიტაშვილები, შვილიშვილები ანა, ნინო იოსელიანები, ირაკლი, გიორგი ხოსიტაშვილები. ძმისწულები, დისწულები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი გიორგის ძე ხოსიტაშვილი

პანაშვიდი 12, 13 VIII, 5 სთ. გამოსვენება 14 VIII, 3 სთ. დიღმის მასივი, მე-5 კვარტალი, მე-8 კორპუსი, ბინა 4.

---

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი უთანაგრძნობს ინსტიტუტის თანაშრომელს, ექიმ-პედიატრს ეთერ კუპატაძეს ძმის

ოთარ კუპატაძის

გარდაცვალების გამო.

---

„საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის კადრების განყოფილების უფროსი

ვალენტინა კოკაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 12, 13 VIII, 5 სთ. გამოსვენება 14 VIII, 3 სთ. მისამართი: ვაჟა ფშაველას V კვ. III კორპ. ბინა 14. (ნუცუბიძის ქუჩის ბოლოში).

---

მეგობრები უთანაგრძნობენ მიხა არაბულს მეუღლის

სოფიკო ვარდანაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მარინა კოპალიანი, შვილები ზიზი, ვატო, და ნუნუ, შვილიშვილები მარიამ თოხაძეები, დათო ჩუბინიშვილი, რძალი ბაკო მარგველაშვილი, სიძე ცეზარ მოსიძე, სიდედრი ციალა ქობალავა, დისწულები მაკა, გიორგი, ირაკლი მოსიძეები, მძახლები მაია, გივი მარგველაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაური ვახტანგის ძე თოხაძე

პანაშვიდი 14, 15 VIII, 6 სთ. გამოსვენება 16 VIII, 3 სთ. მისამართი: ალ. ჭავჭავაძის 8/33.

---

ნუნუ, ცეზარ, მაკა, გიორგი, ირაკლი მოსიძეები უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ ვახტანგის ძე თოხაძე.

## საქართველოში პირველად

### მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი

# გთავაზობთ

**ჟურნალისტის** პროფესიის დაუფლებას ევროპული სტანდარტების დონეზე შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკისა"** და ტელეკომპანია **„იმედის"** ბაზებზე.

*გეძლევათ უნიკალური შანსი*

პარალელურად დაეუფლოთ **მეორე** პროფესიას

- პროგრამის წამყვანი და სარეჟისორო ხელოვნება
- საზოგადოებასთან ურთიერთობები
- პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია
- სამართალმცოდნეობა
- ქართულ-ევროპული ფილოლოგია
- ტურიზმი
- ეკოლოგია
- ეკონომიკური ურთიერთობები

და სწავლა განაგრძოთ **ერთწლიან მაგისტრატურაში.**

გათვალისწინებულია **შეღავათები, სტიპენდიები და დასაქმება.**

ფუნქციონირებს **კოლეჯი და ფილიალები**

**ოზურგეთში, სამტრედიაში, ზუგდიდში**

საბუთები მიიღება 29 აგვისტომდე.
მ. კოსტავას ქ. 14,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"
IV სართული, ოთახი 19.

ტელ: 93-35-99; 93-26-99; 38-94-33; 899 24-18-86; 899 17-21-21.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, ზურამ ბოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.